

ლიბერალური გაზეთი

№14(198) 14 - 27 ივლისი 2017

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

პროზა

რუსუდან
რუხაძე



პოეზია

ტარიელ ჭანტურია
გიორგი ლობჯანიძე
გიორგი კეკელიძე
კატო ჯავახიშვილი



ჩანახატები

ზაალ
სამადაშვილი



ინტერვიუ

თამთა
მელაშვილი



რეცენზია

ნიკოლოზ აგლაძე
ტარიელ ჭანტურიაზე

ნინო სადღობელაშვილი
გურამ გეგეშიძეზე



თარგმანი

მარიო
ვარგას ლოსა





ნატალიჩი სააღდგომო წვეულებაზე კარანაძეებთან გავიცანი. დიდ ოთახში შევედი თუ არა, მამიდაჩემის წარბზე გამოსახული მინიშნებით მეც იმ მწკრივში აღმოვჩნდი, რომელიც მომღიძვარ მოხუცს ემერიტუსის ნოდების მისალოცად რიტმულად უახლოვდებოდა. ღამენათევმა ნატალიჩს ნაძალადევად გაუღიმე და უსიტყვოდ ჩამოვართვი ხელი. მეცნიერმა ხალხებით მოჩითული ხელის მტევანი ამოაბრუნა, საჩვენებელი თითი უმისამართოდ გაიშვირა და დაბნეული მზერით მიმოიხედა. „შოთას შუათანა!“ — მამიდაჩემმა ნატალიჩს თავი ახლოს მიუტანა, მკერდზე ფარშევანგისგამოსახულებიანი მარაო დაიფინა და სიამაყით წარმადგინა. მისაღმება-მოკითხვები რომ მოვითავე, გახამებული პერანგის სახელოები ავიკეცე, აივინსკენ გადავინაცვლე და ბიძაჩემს გვერდით ამოვუდექი. ნატალიჩა ჩხეიძის ერთადერთ ვაჟს ნატალიჩი სწორედ ბიძაჩემმა შეარქვა და მისგან ვიცოდი ის ამბავიც, რომ გურამ ცოტაძეს თავისი ყოფილი სტუდენტი, ოცდაათი წლით უმცროსი მარიზა ჰყავდა ცოლად. იმ საღამოს ნატალიჩმა მარიზას შაკიკი მოიმიზეზა და წვეულება სხვებზე ადრე დატოვა — როიალისკენ გადაინაცვლებულ ქალებს გახედა, დამშვიდობებისას ხელები უცნაურად გაშალა და ერთადერთი სიტყვა თქვა: „ხსნილია!“

სამი წლის შემდეგ მე და ემერიტუსი მამიდაჩემის წყალობით ისევ შევხვდით ერთმანეთს. მარიზა ნაცნობ-მეგობრებში ეძებდა ვინმე მოცლილს და მეტყველს, ვინც მის ჩამოსვლამდე მოხუცს საღამოობით შეიქცევდა და წიგნებს წაუკითხავდა. მე კი ბიძაჩემის ვალი უნდა გამესტუმრებინა, რომლის დაბრუნებასაც ვერ კიდევ საახალწლოდ დავპირდი. შემოთავაზებზე დიდხანს არ მიფიქრია, თანხმობა არ დავუგვიანე და ნატალიჩმაც პირველი შეხვედრის დრო მამიდაჩემის პირით შემომითვალა.

იმ დღეს ბოლო ლექცია გავაცდინე და ქალაქის ძველ უბანში, ნატალიჩის სახლისკენ მიმავალ ქვაფენილს სვენებ-სვენებით ავუყევი. მისამართი ზუსტად მახსოვდა, მაგრამ იმის დასტურად, რომ შეხვედრა არ დამეინყებია, მამიდაჩემს დავურეკე და სახლის ნომერი გადავამოწმე. ჭიშკარი ღია დამხვდა. სახლში შესვლამდე კარზე დავაკაკუნე, მაგრამ არავინ გამოემხაურა. მორიდებით შევალე, მიმოვიხედე და ფეხაკრეფით დერეფნის ბოლოსკენ გაუყევი. კაბინეტის ზღურბლთან შევჩერდი და „გამარჯობა“ ძლივს ამოვილულულე. ჩემს მისალმებაზე არ გამოუხედავს, საქმე განაგრძო და სრულიად მოულოდნელი შეკითხვა მომაგება:

— მარიზას იცნობ? — ხალათის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ხელების წმენდას შეუდგა.

— არა, არ ვიცნობ, — ძველი წიგნების სუნისგან წამომახველა.

— აი, ჩამოვა და გავაცნობ, — ზედა თაროზე რალაცის ძებნაში კისერნაგრძელეულის ხმა დაუნერვილდა.

— მოგზაურობს? — თვალის ბუხრის თავზე ჩამოლაგებული სასმისების კენ გამექცა.

— არა! მარიზას მოგზაურობა არ უყვარს. აი, იანერის ბოლოდან იწყებს ზღვაზე ლაპარაკს. იცის, რომ არ გავყვები, მაგრამ — მაინც, ხან ისე შემომპარებებს, ხან ასე... ზღვაზე დასვენება მე არ გამოიგია! — წიგნი ფრთხილად ჩამოიღო და ფანჯრისკენ გადაინაცვლა.

— რატომ, ზღვა კარგია! — მეც ფეხდაფეხ მივყევი.

— არ გესმით, ყმანვილო. ზღვა ინახავს ყველაფერს, რაც ოდესღაც მოიშორე. აი, მარიზა! დილით ადგება, ონკანს ააჩხრიალებს და ცუდ სიზმრებს წყალს ატანს. და რა ჰგონია, ეს წყალი სად მიდის? ისე იქ არ დახვდება, სადაც ცუდი ამბების დასაფიქრებლად წავიდა? — მომიბრუნდა და ფანჯრის რაფაზე გადაშლილ წიგნთან მიმიპატიჟა.

— ჰო, ალბათ ასეთ! — მორიდებულად გადავდგი ნაბიჯი წინ.

— აქეთ მობრძანდით. ნახეთ... 1920 წელს გამოცემული რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი! მამაჩემის ბიბლიოთეკიდანაა, — კედელზე ჩამოკიდებულ ახალგაზრდა მამაკაცის გაყვითლებულ პასპარტუიან პორტრეტს გახედა.

— ტფილისი, ქალაქთა კავშირის სტამბა, პუშკინის 3, — წიგნს დახედე და ხმა-

ლა ამოვიკითხე.

— თითქმის საუკუნისაა, — განზე გადავა და ნება დამართო, წიგნი გადამეფურცლა.

— მაშინდელი იუსტიციის სამინისტროს გამოცემაა. ბევრი იშვიათი წიგნი მაქვს! ერთი საღამო მაგას დავუთმობ, თუ სურვილი გექნებათ, — თვალეში პირველად სწორედ ამ დროს შემომხედა.

— რა თქმა უნდა, კარგი იქნება! — კიდევ უფრო დამაბნია მისმა მზერამ.

— პერვია რესპუბლიკა! — საჩვენებელი თითი ზემოთ ასწია და პირველი სიტყვის პირველ მარცვალში „ე“ დაურბილებლად წარმოვთქვა.

მზერა თავფურცლიდან ყდის შიდა მხარეს, ფანქრით მიწერილი რუსული ასოებისკენ გადავიტანე. ОГУАЗКИВЛБ-ის ქვეშ ამავე ასოებით შედგენილი ორი სიტყვა — ВОКЗАЛ და БЛУЗКА ეწერა. წიგნის ფურცლებზე გაჩაღებული „სიტყვობანა“ უფრო საინტერესოდ მომეჩვენა, ვიდრე იმის გამორკვევა, თუ როგორ უდრდა რუსულად „საბაჟოზედ გამოპარული საქონელი“ ან „სათამაშო ხანდაზმულობა“.

— იცით, გადავწყვიტე ახალი აღარაფერი წავიკითხო. ძველ ტექსტებს



დავუბრუნდები, — წიგნების წყება ჟურნალის მაგიდაზე გადმოდო.

— თქვენი ნებაა, — თავი გვერდით გადახარე და წიგნების ყუებს ავაყოლე მზერა.

— ეს ყველაფერი თავის დროზე რუსულად მაქვს წაკითხული, ზოგიც — ინგლისურად. ახლა ყველაფერს თარგმნიან. მაინტერესებს, ქართულად როგორ უდრს. დღე არ გავა, მარიზამ ახალი წიგნი არ მოიტანოს, — ხელით ახალი გამოცემებით სავსე თაროსკენ მიმითითა.

— კი, ასეა. მეც წავალ, ვიყიდი და მერე ნახევრის წაკითხვასაც ვერ ვასწრებ, — ისევ წიგნის ფესტივალის კატალოგი დამიტრიალდა თავში.

— უჰ, ოთარია ასეთი! — ხელი ჩაიქნია.

— ოთარი? — გონება ისევ კარანაძეების სუფრის წვერებისკენ გამექცა.

— მეგობარია ჩემი. მთელი ცხოვრება წიგნებს ყიდულობს, მოუპარავს კიდევ, მაგრამ ანოტაცია თუ წაკითხვა, ეგეც საქმეა, — თავი ისე გააქნია, თითქოს კიდევ რალაცის თქმას აპირებდა.

— არა, მე მიყვარს კითხვა, — თავის მართლებასავით გამომივიდა.

— გჩვევიათ წიგნის ორჯერ წაკითხვა? — ნატალიჩმა ქვიშის საათი ამოაბრუნა და მაგიდის შუაში დადო.

— კი, არის ასეთი წიგნებიც, — ქვიშის ჩამოცლას არ დაველოდე, ისე ამოვაპირქვავე.

— ამ ასაკში მაინცდამაინც არ გირჩევთ. ახლა არ თქვით, რომ ვერ ასწრებთ ყველა სასურველი წიგნის წაკითხვას? — ნატალიჩმა საათი უკან დაიბრუნა და ფსკერი უცვალა.

— დიახ, ასეა, მაგრამ ხანდახან ძველი განწყობის გამეორება მინდება ხოლმე, ეს ერთი... — თითებზე დავინყე ჩამოთვალა.

— ახალი შთაბეჭდილებები ეძიეთ, — თვალის წიგნებით სავსე ოთახს მოავლო.

— პერსონაჟიც მომნატრებია, — ყველაზე იშვიათი მიზეზი დავასახელე.

— სხვაც შეგიყვარდებათ, — სათვალე ჩამოინია და გამომცდელად გამიღიმა.

— თან ნაცნობ გარემოში უფრო კარგად ვგრძობ თავს, ხომ გესმით?! — მესამე თითი გავშალე.

— ეგ მესმის! უცხო ქალაქში მეორედ ჩასვლა საუკეთესო მოგზაურობაა... კეთილი! დღეს ასე იყოს, ხვალ ამ წიგნებიდან კიდევ გადავარჩევ, წასაკითხ ტექსტებს მოვნიშნავ და დავინყვით, — წყალი მოსვა და შეთანხმების ნიშნად ხელი ჩამომართვა.

— კი, ბატონო, — შევბით ამოვისუნთქე.

— მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს, — საჩვენებელი თითს მეორე ხელის მტევანი შემოაჭლე.

— გისმენთ, — თმა გავისწორე და ნატალიჩს მივუახლოვდი.

— წვერგაუპარსავი და ნაბახუსევი ნუ მოხვალთ, თორემ უფრო დიდი თავი გამოგიჩნდებათ, — ხმა შეიცვალა და ხელებით თავის გარშემო წრე მონიშნა.

— გპირდებით, — თავი ჩავლუნე ღიმილის დასაფარად.

— და სანამ ვკითხულობთ, მობილური გათიშეთ, — თან ფანჯრის რაფაზე დადებული ტელეფონისკენ მიმითითა, რომ არ დამრჩენოდა.

— სამი გამოვიდა, — დაუფიქრებელი

ბძგა ბძგე ბძგი ბძგო ბძგუ... პტკა პტკი პტკე პტკო პტკუ...

მეორე დღეს, სანამ აღმართს ავივლიდი, გზად საარტიკულაციო მოთელვის საწარმოებიც შევასრულე, ხან „ვლექა“ და ხან ერთი ლოყიდან მეორეში გადავიტანე ჰაერის ულუფა. ნატალიჩის ოთახში შესვლის წინ ენა და ტუჩები წრიულად გავავარჯიშე, ხმა ჩავინმინდე და ომახიანი „გამარჯობა“ ვუთხარი.

ნატალიჩი მომზადებული დამხვდა. იდაყვებთან გაქეპილი ძველი პიჯაკი და ნაცრისფერი პერანგი ჩაეცვა. ჟურნალის მაგიდაზე ჩემთვის ჭიქა წყალი, თავის მხარეს ჩაი, შუაში კი ჩირით და თხილით სავსე ლანგარი დაედო. შერჩეული წიგნი სასურველ ტექსტზე გადაეშალა და მაჯის საათი სავარძლის სახელურზე გადაეფინა.

— ჩემს ყველა წიგნს ექსლიბრისი აქვს, რომ იცოდეთ. ერთ ნაცნობ გრაფიკოსს დავამზადებინე, საჩუქრად არ მინდა-მეთქი და თავი მოიკლა, კაპიკი არ გამომართვა! — წიგნი თავფურცლისკენ გადაშალა.

— ბაბუაჩემსაც ჰქონდა, მახსოვს, — ყურადღებით დავუწყე თვალისკენ ორნამენტულ წრეში მოქცეულ ხატოვან ინიციალებს.

— კარგად ვეღარ ვარჩევ. ხედავთ, ჩარჩო როგორი დაკბილულია? მაქმანი გეგონებათ! — თითი გადაუსვა ექსლიბრისს.

— მაგარი ნამუშევარია! — ცალი თვალი მოვხუჭე მზერის გასამახვილებლად.

— ბზაა. მთელი ორი თვე კვეთდა, წარმოგიდგენიათ?! — ვერცხლის ლანგარს გადასწვდა და ქლიავის ჩირით პირი გამოიკეთა.

— სალოლ! — თქმა და და სინანული ერთი იყო. ნატალიჩი პასუხად ამ სიტყვას ნამდვილად არ ელოდა.

— აკუტავაგას „წყლის კაცების ქვეყანა“ — დღეისთვის ეს მოვნიშნე, — ცივად მომიჭრა და წიგნი ჩემკენ მონია.

— არ წამიკითხავს, — პირველ ჯერზე ნაცნობი ტექსტი მერჩივნა.

— მგონი, ვერ მოვასწრებთ ამ საღამოს, მაგრამ დავინყვით! — საათს დახედა და დრო დაინიშნა.

— ვნახოთ, — პასუხად წიგნი გადავფურცლე, მოთხრობის დასასრულისგან დასასრულამდე გვერდები ხელში მოვიქციე და მეც იგივე გავიფიქრე.

— გისმენთ, — ნატალიჩი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— „ერთი ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი, ოცდამესამე ნომერი, ყველას უყვება ამ ამბავს.“

მკაფიოდ და ხმაშავლა გამოვთქვი პირველი წინადადება.

— სანამ გავგრძელებთ, ერთი თხოვნა მაქვს. შეიძლება თვალის ჩინი მაკლია, მაგრამ სმენა კარგი მაქვს. ცოტა ხმადამლა, თუ შეიძლება, — ხელის გაშლილი მტევანი ქვემოთ დაუშვა.

— გასაგებია.

პაუზა ავიღე და შედარებით დაბალ ხმაზე გავაგრძელე:

— „ის ალბათ ოცდაათს გადასცილდა, მაგრამ, ერთი შეხედვით, ძალზე ახალგაზრდად გამოიყურება. რაც მას თავს გადახდა... თუმცა სრულიადაც არა აქვს მნიშვნელობა, რა გადახდა მას.“

სამწერტილთან პაუზა ზემეტად რიტორიკული გამომივიდა.

— და არავითარი არტისტიზმი! განაგრძეთ! — სათვალის დაბინდულ შუშებს მზის შუქზე გახედა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

— კარგი! — მზერა სტრიქონებს შორის ამებნა, — თავიდან დავინყვით, თუ? — დაინყეთ თავიდან! — ფეხები დაბალ სკამზე შემოანყე.

ხმამალა კითხვა ჩემთვის იმაზე მეტად დამლული აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ერთდღიანმა მეცადინეობამ ვერაფერი მიშველა: ხან ყელი მიშრებოდა, ხან სუნთქვა არ მყოფნიდა და ხან ხმა მეზარებოდა. თან უთანასწორობის განცდა მტანჯავდა, ნატალიჩს შეეძლო, ჩემს ყველა ნაკვთს და მიმიკას გულდასმით დაკვირვებოდა, მე კი გადაფურცვლისას მხოლოდ ნატალიჩის შემუშავებულ თითზე შემოჭდობილი საქორწინო ბეჭდისთვის ვასწრებდი თვალის შევლებას.

წყლის კაცებთან სტუმრობა მესამე საღამოს დავასრულეთ. ბევრი არაფერი დამამახსოვრდა, ჩემი ფიქრი მხოლოდ იმას უტრიალებდა, ენა არ წამბორძიკებოდა და

ფთქა ფთქე ფთქი ფთქო ფთქუ...



უსიამოვნო არ ყოფილიყო ჩემი მოსმენა. წყლის კაცების წარმოსახვაც კი ვერ შევძელი, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში დანერგული იყო აღწერილი, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ისინი. ნატალინი უკმაყოფილო არ ჩანდა, მეტიც, ახალმა აღმოჩენებმა გაიტაცა.

— „კაპების ქვეყნიდან დაბრუნებული დიდხანს ვერადავურ შევეგუე ადამიანთა კანის სუნს, კაპები ხომ ჩვენზე გაცილებით სუფთები არიან. უფრო მეტიც, თურმე ისე მივეჩვიე კაპებში ყოფნას, ადამიანები, უბრალოდ, მახინჯები მეჩვენებოდნენ. თქვენ ამას ვერ გაიგებთ.“

ეს აბზაცი ორჯერ წამაკითხა. — ხედავთ, ის შეშლილიც მეორედ კითხულობს, ოღონდ — ადამიანებს. ისე აღარ მოსწონს, შეგუება უჭირს... არ აქვს მნიშვნელობა სივრცეში მოგზაურობა თუ დროში, დაბრუნება ყოველთვის რთულია, — საათს დახედა და ხუთ წუთში დავასრულეთო, ხელით მანიშნა.

— თუ არ ნახვალ, ვერ დაბრუნდები, — ტელეფონი ჩავრთე და წასასვლელად მოვემზადე.

— თქვენ როგორ აღიქვამთ ამ ტექსტს — როგორც უტოპიას თუ როგორც დისტოპიას? — ნატალინის შეკითხვამ დამაბნია.

— რა ვიცი, მომეჩონა, — მობილურის სენსორულ ეკრანს ავაყოლე თითი.

— ეს უკვე პასუხია. ყველაფერი გასაგებია!

პირველი ტექსტის წაკითხვამ შვება მომგვარა. ახლა უკვე ზუსტად ვიცოდი, რა შემქმნელი მე და რა სურდა ნატალინს.

— იპოვეთ, რასაც ეძებდით? — წასვლის წინ დაკარგული წიგნი მოვიკითხე და ისიც მაშინვე გავიფიქრე, კიდევ კარგი, ნატალინმა ჩემს მოსვლამდე აღმოაჩინა მისი გაქრობის ამბავი, თორემ ამ ზაფხულს სანათესაო სასამართლო არ ამცდებოდა-მეთქი.

რამდენიმე დღეში ხმა უფრო დამიმშვიდდა და რიტმს სუნთქვაც ავაყოლე. წიგნის ხმა მალე კითხვა სასიამოვნო და თავმჯდომარე საქმედ იქცა. ახლა სხვა ფიქრი შემეჩინდა — ნატალინს ისეთი რამ არ ეკითხა, რაც ჩემზე შთაბეჭდილებას ნაუხდენდა. თან თავს იმით ვიმშვიდებდი, ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს და უცებ არ გაახსენდეს, როგორ ვერ გავარჩიე ერთმანეთისგან უტოპია და დისტოპია-მეთქი. თავმონონების სურვილს იმის შეგრძნება მიღვივებდა, რომ ეს იშვიათი შეხვედრა იყო და ამ განსაკუთრებულ დღეებს მაშინაც ხშირად გავიხსენებდი, როდესაც ნატალინი უცხო ქალაქში გაემგზავრებოდა. ემერიტუსის მთავარი ხიბლი მისი ხანდაზმულობა, ასაკობრივი სიბრძნე და გულწრფელობა გახლდათ, რომელსაც თქვენობით საუბარი დიდხანს ვერ შეაკავებდა.

ის ლამე ნუმისმატიკის მეცადინეობაში გავათენე და დილისკენ ჩამეძინა. ფარდები გადაწეული დამრჩენოდა და მცხუნვარე მზემ მალევე გამაღვიძა. მამაჩემს ჩემთვის საუზმის მომზადებაც მოესწრო და სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა.

— როგორ მიდის საქმეები? — სარკეში პალსტუხის ნასკვი გაისწორა.

— არა უშავს. მგონი ავეწყეთ, — ყავა ჩამოვისხი და ისე დავდექი, სარკეში მამაჩემის ანარეკლი დამეჩინა.

— სხვათა შორის, არ არის ცუდი კაცი ნატალინი! — სიტყვა „კარგი“ მამაჩემისგან არასოდეს მსმენია. თავი ზემოთ ასწია და გაპარსული ყელი გულდასმით შეათვალიერა.

— ჰო, ეგრე ჩანს, — ყავა მოვსვი და ჭიქაში ნახევარი კოვზი შაქარი ჩავამატე.

— იცი, რა აცოცხლებს ამდენ ხანს? სულ ფეხით დადიოდა. ჩემი ტრანსპორტი 11 ნომერიაო, საკუთარ ფეხებზე ამოზბდა, — საჩვენებელი და შუა თითებით ფანჯრიდან შემოჭრილ მზის ბლიკზე გაიარა.

— ჰო, მაგარი ტაია! — მამაჩემს მივუახლოვდი და პიჯაკიდან თმის ღერი მოვაპორე.

— ისევ აცვია სახლში საშინაო კოსტიუმი? — ცხვირსახოცი ერთი ჯიბიდან მეორეში გადაიტანა.

— კი. ადრეც ეცვა ხოლმე? — ნატალინი საუბარმა და ცხელმა ყავამ გამომაფხიზლა.

— კოსტიუმის გარეშე მე ვერ მინახავს. სტუდენტობის დროს ხშირად დავდიო-

დი ხოლმე, ბევრჯერ დამხმარებია... არ აწყენინო, იცოდე! — ათლარიანი სარკესთან დადო და ხელით მანიშნა, მისი გასვლის მერე კარი ჩამეკეტა.

მამაჩემი რომ გავისტუმრე, სალამოდე ღრმა ძილი გამოვაცხვე სიზმარში ნანახი სიზმრებით. მერე ცივი შხაპით და ცივი კატლეტებით ენერჯიაზე მოვედი და ნვერი გავიპარსე. წინა დღეების მსგავსად, ნაშუადღევს ამინდი შეცვლილიყო — ძლიერად ნანვიმარი ჩანდა.

— აღარ გამოიძარებს, თუ იცით?! — შესვლისთანავე მკითხა ნატალინი.

ეზოში მოწყვეტილი დასტყვილი ვარდი მკვდარი ჩიტოვით ფანჯრის რაფაზე დაესვენებინა.

— მამიდაჩემს რომ კითხოთ, მეორედ მოსვლაა, — გაუღიმე და ფეხი ფეხზე გადავიდე.

— ოჰ, მეორედ მოსვლა! მეორედ წასვლა არ გამომაპაროთ! კარგი. დღეს რულფო მინდა, ნავიკითხოთ, ხუან რულფო, — ავტორის გვარი დამარცვლით წარმოთქვა.

— კი, ბატონო, — ჟურნალის მაგიდაზე მოფენილ წიგნებს გავხედე გაჩრილი სანიშნეებით.

— ადრე ასე სად ნახავდით უცხოურ ლიტერატურას?! ოთარს ჩამოჰქონდა ხოლმე, — ხველა აუტყდა ემერიტუსს, — ბებრული ხველაა, ავად არ გეგონო!

— ნუ ჩერდებით! — წყალი მოსვა და ხელით მანიშნა, ყურადღებას ნუ მომაქცევო.

ნატალინის ხველების გამო იმ სალამოს კითხვის ტემპი ვერ შევინარჩუნე, ხან ძალიან ნელა ვკითხულობდი, ხან კი სხვა ფიქრი გამიტაცებდა და კითხვისას სიჩქარის შეგრძნებასაც ვკარგავდი.

— „ეს მინა იყო მთელი მისი ცხოვრება. სამოცი წელი გაატარა მასთან ერთად, ფეხით ტკეპნიდა, თითებით ზელდა, სუნავდა, ისე, როგორც დიასახლისი ბაზარში ხორცის ნაჭერს სუნავს ხოლმე. მიდიოდა და თვალებით ფშვნიდა მინას, ისევე, როგორც ადრე ხელისგულზე იფშვნიდა და ტკებოდა მისი სურნელებით.“

ნატალინმა კითხვა შემანწყვეტინა. — ყმანვილო, რატომ ჩქარობთ? ხომ უნდა დავაგემოვნოთ, რასაც ვკითხულობთ. თვალებით ფშვნიდა მინასო, გესმით?!

მოთხრობა რომ დავასრულე, თავი არ ამინევია. მომდევნო ტექსტის კითხვა დავიწყე ჩუმად.

— „ღმერთი დიდია, ხუსტინო, ღმერთი არ გასწირავთ.“

ნატალინმა მოთხრობიდან ფრაზა გაიმეორა და ფორთოხლის წვენი მოსვა.

— ბატონო გურამ, შეიძლება, გკითხოთ? — წიგნი დავხურე და გამბედაობა მოვიკრიბე.



— სალბის აბებია კარგი. გამოგიყოლებთ ხვალ, — რულფოს წიგნის ყდამ მომიხილა.

— არაფერია, გამივლის. ნახეთ, რა გაჩვენოთ... რულფო მხოლოდ კარგი მწერალი კი არ იყო, ათასობით ფოტოსაც იღებდა! — ნატალინმა წიგნის კარადის ზედა თაროზე მიმითითა.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ტომების წინ მოცეკვავე ქალები პირველად შევამჩნიე. ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტო მეტი სიმყარისთვის დიდი ზომის მუყაოზე იყო დაკრული და ქვემოთ გაკრული ხელით ეწერა Juan Rulfo. ფოტო ქვედა რაკურსით გადაეღო და მოქუფრული ცის ფონზე ორი ქალის ცეკვა აღებეჭდათ. რაღაც სარიტუალო როკვას ნაგავდა, ცისა და მინის შემრიგებელს.

ნატალინმა ხელედი იმ ქალებივით გაშლა და მხრები შეათამაშა. მგონი, მაშინაც ასე წაიციეკვა, კარანაძეებთან ქალებს რომ დაემშვიდობა.

— კარგი, აი, ეს მოთხრობა შევარჩიე! — სანიშნე თავისთვის დაიტოვა და გადაშლილი წიგნი გადმომაწოდა.

„უთხარი, არ მომკლან!“ მოკლე მოთხრობა აღმოჩნდა იმის შესახებ, თუ როგორ მოეკითხა მოხუცს წლების წინ ჩადენილი მკვლელობა.

— „ახლა, როცა დანამდვილებით იცოდა, რომ მოკლავდნენ, სიცოცხლის ისეთი წყურველი მოეძალა, როგორც, ალბათ, მკვდრეთით აღმდგრებს გამოუცდიათ. მთელი ცხოვრება იმას ცდილობდა, სიკვდილს არ დაწებებოდა, სიბერემდე მიეღწია და ახლა უცებ არაფრის გულისთვის უნდა დაეთმო სიცოცხლე.“

ნატალინს ხველა აუტყდა და კითხვა უნებლიედ შევწყვიტე.

— გისმენთ? — დაეჭვებული მზერით შემომხედა.

— თქვენ გყავთ ღმერთი? ნატალინის შენიშვნა არტისტიზმზე აქაც გამომაღდა.

— ჰო, მეც მყავს... მაგრამ, აი, რომ იცინა ხოლმე, ცაშია ღმერთი, უჰალსტუხოდ ზის ღრუბელზე და საპენსიო ასაკისაა, სისულელეა!

— აბა, როგორია? — ღიმილი ვერ შევიკავე.

— იცით, სადღაც ჩვენს შორის მგონია. მე თუ მკითხავთ, კაცთა შორის სათნოებაა ღმერთი, — თქვა და თითქოს ჰაერში რაღაც უხილავს ხელის ნატიფი მოძრაობით შეეხო.

არ ვიცი, ამ გაბედული კითხვისთვის „დავისაჯე“ თუ სულაც უმიზეზოდ, მაგრამ იმ სალამოს ნატალინმა ყველაზე მოულოდნელი შეკითხვები დამისვა.

— გიფიქრიათ, რომ ტექსტს თავისი ალგებრა და გომეტრია აქვს?

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რომ ფინალი ხშირად დასაწყისთან გაბრუნებს და წრე იკვრება.

— ამაზე მეც მიფიქრია.

— უყურეთ — ეს წრე სათამაშო მოედანს შემოსაზღვრავს და ლიტერატურა სხვა არაფერია, თუ არა თამაში.

— მართალია!

— ახლა ციფრების ამბავი ნახეთ. მაგალითად, რას ნიშნავს ორის ნაცვლად ერთი? ძლივს მიდის თუ მილასლასებს?

— მილასლასებს.

— ხვდებით სხვაობას?

— რა თქმა უნდა!

— თქვენ კითხვისას შეიძლება, სულაც ვერ ამჩნევდეთ, როგორ მონაცვლეობენ დიდი და პატარა აბზაცები, ან ვრცელი და

მოკლე წინადადებები.

— სხვათა შორის, ჯერ ღიალოვებს ვკითხულობ ხოლმე.

— მკითხველს უყვარს თეთრი სივრცეები. ყველა ტექსტს თავისი არქიტექტონიკა აქვს.

— გეთანხმებით.

— ტექსტის მუსიკა თუ ჩაგვსმით? ამწვეთ ხოლმე სიტყვებს შორის ხმოვნებით და თანხმოვნებით შეთამაშებას? მაგალითად, „თხელი თხილნარი“. როგორია?!

— მაგარია!

— მოკლედ ასე! ხვალ ისევ შევხვდებით ერთმანეთს და უკვე ვიცი, რასაც წავიკითხავთ!

— რა შეარჩიეთ?

— წიგნი მოლოდინზეა. თქვენც ხვალ-ინდელ სალამოს დაელოდეთ.

იმ დღესაც ვერ შევხვდეთ მეთქვა, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი იმის გამო, რომ ერთი კვირის თავზე ისევ თქვენობით მომმართავდა და შენობით ლაპარაკი ბევრად უფრო გამიადვილებდა საქმესაც და მასთან მეგობრობასაც. სახლისკენ მიმავალმა მამიდაჩემის ზარს არ ვუპასუხე. ვიგრძენი, რომ ნატალინთან შუამავალი აღარ მჭირდებოდა.

ბოლო დღეები მარკესს დავუთმეთ. მოთხრობაში ბევრი არაფერი ხდება გარ-



ვალაგებ უჯრებს...

რა კარგია საფრანგეთი!
რა კარგი სალამოა!
რა კარგია ეიფელი...
მე წავალ და სხვა მოვა!

ტარიელ ქანტურია



ოცდახუთსა დეკემბერსა...

კარგი დღე (123)

იმნაირი დილაა,
იმნაირი წყნარი დღე,
დაუჯერებელია,
ახლა ღმერთთან არ იდგე!

იცოდა, იცის — ეჭვი ეჭვია...
ეჭვის შხამს მაინც ვერ შეეჩვია!

ახსოვდა, ახსოვს — შხამი შხამია!
მაინც განიცდის, თითქო ხამია...

ცხოვრება ვისთვის — დღეა ნათელი,
და ვისთვის კიდევ — ბნელი ღამეა!

საუკუნედ რომ შემოგასაღეს —
ისიც — წუთია! ისიც — წამია!

ანუ — ცხოვრება — მხოლოდ ეჭვია,
ანუ — ცხოვრება მხოლოდ შხამია —
სულ ერთად ამოგანთხევენებენ,
რაც შეგისვამს და რაც გიჭამია...

ბოლო იმედი მხოლოდ ერთია —
ერთად ქცეული რწმენა — ს ა მ ი ა!

საქორწილო ლექსარომატი

არის ყველაფერზე წმინდა, არის ყველაფერზე სუფთა,
არის ყველაფერზე ცხადი — სიყვარულის აბდაუბდა!
არა სოკო, არა მწვადი, არა ლუდი, არა გუფთა —
ყველაფერზე გემრიელი არის ბნელი აბდაუბდა!

სანაპიროზე

უთვალავი ცხოვრობს აქაც
მონტეგი და კაპულეტი —
სიყვარულის ასპარეზი —
რა ვქნა, მიყვარს ქობულეთი!

ვზივარ, ვფიქრობ, რა დავწერო —
როგორ ვაქო ქობულეთი!

ღამემ თვალეზი ამიხვია:
— სადა ხარ, თუ იცი!
...ვილაცა ვილაცას უქებდა ღამეს და
თოკსა და
სკამსა და
სუიციდს...

დილამ თვალეზი ამიხილა! —
თოვს... კიდევ ერთ სპექტაკლს ვესწრები!
და მაინც — რა სწრაფად მიფრინავს წუთები,
ეს დღე და
ეს თვე და
ეს წლები...

მინაწერი პასკვილანტის „წიგნზე“

ზის აგერ ლე და ნავით საქალაღებებს ავსებს;
ავიო, გვინერს კარგზე, კარგიო, გვინერს ავზე;
მწვანეო, გვინერს თეთრზე, ლურჯიო, გვინერს შავზე;
ფეხიო, გვინერს ხელზე, ტრაკიო, გვინერს თავზე;
ტორტიო, გვინერს ქაქზე, ცივიო, გვინერს ცხელზე;
კუჭიო, გვინერს შუბლზე, ფეხიო, გვინერს ხელზე;
არეული აქვს სანყალს ტვინში ნეზვი და ვაცი! —
ქალი ყოფილა თვითონ, თქვენ რომ გეგონათ კაცი!

მეფა-პოეტების თამაზა თითქმის იუმორესკა

მე რამდენადაც ვიცი,
არც ერთ რუს იმპერატორს
არ უწერია ლექსი!
მე გეკითხები: რატომ!
წერდა თუ არა ლექსებს,
ვთქვათ, მეფეთმეფე ქსერქსე!
შენ, ჩემო ვახტანგ-ვახო,
შენც, თეიმურაზ — თემო,
რა ლექსის წერა აგიტყდათ
მეფეთმეფენო ჩემო!
დაწერე? კარგი, ძმაო,
ოლონდ — შემოდე ზემოთ!
რა პოეტობა აგიტყდა,
დიდო ხელმწიფე ჩემო!
ჯობს მგოსნის პიედესტალს
მეფის პიედესტალი!
არ გჯერათ? კითხეთ აგერ
მ ე ფ ე ს და პ ო ე ტ ს — სტალინს!

პოპარისტების პრეტენზიები

— კარტის ყოველი მოთამაშე —
კაცი — კარტისტი —
რალაც დონეზე, რა თქმა უნდა,
არის არტისტი!
გურამი ჩვენი, საღარაძე!
მაგრამ — მურმანი? —

თან — პოეტი და თანაც კარტის
დიდი გურმანი!
ოთარ ჭილაძე, ან ჭაბუა ამირეჯიბი!
ეს იყო კარტში — სიტყვის მერე კარტში შეჯიბრი!
მოკლედ, ყოველი მოთამაშე —
კაცი — კარტისტი —
ყველა, არც მეტი, არც ნაკლები —
არის არტისტი!

ვე ისევ ვუცდი კარტს,
მე ჩემსას ვუცდი კარტს!
ჯვრის ტუზო, პიკის დამავ,
სად ჯანდაბაში ხართ...
ვილაც — დიდ სარეცხს ფენს!
ვილაც — მიათრევს ჯართს!
ვილაც — კითხულობს წიგნს!
მე ჩემსას ვუცდი კარტს!
რას მოუხერხებ გულს —
მის ვნებას, მის აზარტს...
წერენ დიდ წიგნებს. სვამენ.
მე ჩემსას ვუცდი კარტს.
იქნებ ვუშველო რამე
უუსაშველო დარდს!
შენ რომ ბრახდები, ისიც
ამიტომ უცდის კარტს.
რა ეკითხება შულერს,
ვის ატყავებს და ვის ლლიტავს!
რაც შენ იშოვე სისხლით,
ის ვერ იშოვის სისხლითაც.
თვალეზის ბოროტ ცეცებას,
შულერის თითებს მარდს
რას მოუხერხებს პოეტი —
ტყუილად ელის კარტს!
თუმც მოტანილი ქარების
ბოლოს გაყვება ქართ,
შენ მაინც შენსას ცდილობ —
ზიხარ და უცდი კარტს...

სიცოცხლე. განმარტება — შვილბის თხოვნით

გაუმარჯოს სიცოცხლეს — ერთს. ერთადერთს. უკვდავს.
ღმერთს. ბევრნაირს. უთვალავს. დარდს. ოცნებას.
მიზანს.

ოხვრას დაუსრულებელს. კასკადს სიხარულებს.
მდიდარს დაუჯერებელს. ენით ართქმულ ხიზანს.
ზღაპარს. იმედს. სასწაულს მიწისას და ცისას.
აუხდენელ იმედებს მოყვრისას და მტრისას.
გაუმარჯოს სიცოცხლეს — განუმეორებელს,
უნყვეტ ტავტოლოგიას მთავრისას და მზისას.
უბოლოო სიხარულს. უწყვეტ ბედნიერებას,
ტკივილს დაუსაბამოს მამისას და ძისას.
ნამდვილ უსასრულობას. არმოსაწყენ თამაშებს.
ღმერთს — ერთადერთს. სიკეთეს. უკვდავ ძალას მისას.
გაუმარჯოს სიცოცხლეს — ჩემსას! შენსას! მისას!
სხვისას... სხვისას... სხვისას...

— ასე, ჩემო მანასე!
ხან ისე და ხან ასე!
ხან ასე და ხან ისე —
ვართ ჩვენც ამ ქვეყანაზე!
მეც სულ ვფიქრობ ეკაზე,
ტარიკოზე, ანაზე,
მეც სულ ვფიქრობ სანდროზე!
ასე, ჩემო მანასე!
მდიდარზე და ღარიბზე,
ბატონზე და მონაზე,
სულელსა და ჭკვიანზე
ფიქრობ, ჩემო მანასე!
ცოდვილ წუთისოფელზე,
ამ დაწყვეტილ ხანაზე
ვწუხვარ, ვგოდებ, ვლიღინებ,
ასე, ჩემო მანასე!
...წერე — ხან ასე უბრალოდ,
მარტივ ანა-ბანაზე,
ხანაც — სიბრძნის ვანუხებ!
ასე, ჩემო მანასე...

სუპერ-სარჩალი

სხვა გზა არ დამრჩენია —
უნდა ღმერთთან ვიჩვილო! —
უნდა უფლის წყალობით
თავი გადავირჩინო...
რუსთველი ან კიტსი ან
ვაჟა ანდა ვინჩი რო
ვიყო... მაგრამ რომ არ ვარ? —
მაინც უნდა ვიჩვილო!

ღმერთმა იქნებ თავისთან
სულაც გამომიძახოს!

რა ვქნა! — ამათთან ყოფნას
მიჯობს ყოფნა მის ახლოს...

ავდგები და გაფურთმავ
გენიალურ იპოლიტ ტენს!

ბაანია, რა ჭკუაზე ხარ!

დავფიქრდი და ეს სიკვდილი
ახლა ისე მეადვილა —
ათი მქონდეს, სულ იოლად
დავტოვებდი მე ათ ვილას...

— როგორ გინდოდა, პარტიაზე
შენსავით მეთხზა მეც ოდები!
თუმც კაცი ვერ ხარ — თაობის კაცს
გპატიობ... რა ვქნა — მეცოდები!
მე პოეზიის მეფეთმეფევე,
გიჟი რო არ ვარ მე წოდების,
ეს განუხებ და ეს გაგიჟებს!
კი, ამის გამოც მეცოდები!
ალბათ ესა ჯობს, რომ არა მაქვს
ოქროს და ვერცხლის მე ზოდები!
მაგ უნამუსო სიმდიდრისთვის
ათასჯერ უფრო მეცოდები!
თუ ყველასათვის ენა არის
გ ა გ ე ბ ი ნ ე ბ ი ს საშუალება,
ენა ყოველთვის იყო შენთვის
კ ა კ ე ბ ი ნ ე ბ ი ს საშუალება!

...
ეს საცოდავი საქართველო
ბოლოს უთუოდ გადარჩება,
და შენი ცრუ სახელისაგან,
იცი შენ — ხურდაც არ დარჩება!

დანყვეტილი სერჰანტინი

ლექსპროზითი პირიქით

— ათს რომ თხუთმეტი დააკლდება,
თამუნა რეზოს დააკვდება!

გათხროვდა შუახნის ქალი

შინაბერობა შეწყვიტა
და ბერბიჭასთან შეწყვიტა!

N

რაც არ უნდა იჩათლახო,
ბოლოს მაინც მოკვდება,
თან ედემში პ რო ტ ე ქ ი ი თ
ვერაფრით ვერ მოხვდება!

ბავშვი ძუძუს წოვს
ზაქი ბალახს ძოვს
თოვლი გვინდა — წვიმს
წვიმა გვინდა — თოვს

მე — მკითხველი

თავი წიგნებით გამოვიტენე!
...დასკვნა მაინც ვერ გამოვიტანე!

ყურმოკრული დიალოგი

— პირველად თავის სიცოცხლეში მოიქცა სწორად!
— რა ქნა ასეთი, იქნებ გვითხრა?
— გარდაიცვალა!

??

— აქეთ — მ ე ს ი, იქეთ — მ ე ს ხ ი!
მ ე ს ხ ი ჯობს თუ მ ე ს ი ჯობს?
— მ ე ს-ხ ი! მ ე ს-ხ ი! — ნახევარი
დედამინა მესიჯობს!
ვისაც ახსოვს, არ ღალატობს
ვისაც მესხიერება —
იცის, რომ ვირტუალურად
მ ე ს ი ს მ ე ს ხ ი ერევა!

დეკოლტა

— ეხ, ვინ რა იცის, ქალავ,
რა შემოსაყლებს მალავ...

რეპლიკა

ეს ჟარგონი თუ მის გარდა
ვინმემ იცის, არ გონია! —
ავინწყდება: ეს ცხოვრება
ძირითადად ჟ ა რ გ ო ნ ი ა!

საქმე თუ მაქვს დალეული —
ვართავა იპოლიტეს

ცოლის აზრით...

— გამორიცხული არაა,
შენი პრობლემა — კ ა რ დ ი ო —
ანუ კ ა რ დ ი ო-პ რო ბ ლ ე მ ა
იყოს ეგ შენი კარტიო!

!

— ეს არ არის მისი ლექსი! —
პოლიციამ ჩაუდო!
მაგის არც ის წიგნებია! —
პოლიციამ ჩაუდო!

— თუმცა თვითონ ოცხელი
ალარ არის ცოცხალი —
დიდებული მხატვარი —
ცოცხალია ოცხელი!

!

კაცი ხარ და კინოფილმში
მუდამ ქალის გინდა როლი!
ვიცი, ცუდად გათავდება
შენი ვნება გენდერული!

გავიხსენეთ ის გ ა ლ ი...
გავიხსენეთ ის ქ ა ლ ი...

ნანი

შორს, ზუგდიდიდან, და იყურება!
მკითხველი ჩემი — და იყურება!
რომელმაც იცის — ერთ მშვენიერ დღეს
ძმაც ამ წიგნით დაიხურება...

ლექსპროზითი-დასკვნა

— მე — ჰომო ლუდენს, მე — მოთამაშე —
მთავარ სიმართლეს მივხვდი:
ვერავითარი მ ო გ ე ბ ა ვერ ცვლის
მთავარ ნ ა გ ე ბ ა ს — სიკვდილს...

— რა არის მაინც გენი და
რა არის მაინც გენები:
განაბის შვილი — პოეტი —
გახდა ლექსების განაბი!

— გმადლობთ, ბებო, შვილიშვილს რომ
აღუღება ანდე რძის! —
ჩემზე იყოს შეთხზვა შენი
მშვენიერი ანდერძის!

იმაღაცარუბული ლექსპროზითი

— ოჯახი ვერ შემინახავს,
ცოლ-შვილი ვერ მირჩენია!
რატომ გიკვირთ, ამ სიცოცხლეს
სიკვდილი რომ მირჩენია!

— აფერისტს და თაღლითს
ვერაფრით ვერ დაღლით!

სატანის მუქარა

— ეჰ, ჩემო დედამინავ,
ცოტა კიდევ დამაცა —
შეგაზიზლო ორივე —
კაციცა და დამაცა!

დაგვიანებული ქება

შენ მოგმართავ, პოეტ დას,
შენ, სიღვია პლათო —
არ მიჭირს შეგადარო
სოკრატეს ან პლატონს...

პოეზია

— ისე, ძმავ, მაგის სტრიქონს
მირჩევნია მაგის ტრიკო!
— მართალი ხარ! მაგის სტრიქონს
ნამდვილად ჯობს მაგის ტრიკო!

ია სულაბერიძე

— წინ წასულს ხომ ეწვეიან! —
და მეც ია
დამენია!

ადრე თუ გვიან, სიცოცხლე —
ვიციტ ჩვენ — გასაცვლელია!
სიკვდილი! სამოთხისაკენ
ეს ერთი გასასვლელია...

!

— მითხარით, თუ იცით,
რა იწვევს ს უ ი ც ი დ ს!

გაბრაზებული ქმრის ლექსპროზითი

— შენი კაბებისთვის
ამდენ ფულს რომ ხარჯავ,
ამიხსენი ერთი,
ც ო ლ ი ხარ თუ ხ ა რ ქ ა!

— ლექსი უნდა დაიწეროს
ალბათ ამის შესახებაც:
ოთხმოცდახუთი წლის ცოლი
მიდის თმების შესაღებად!

— თუმცა ბევრი ვიტანჯე —
ამ ტანჯვებსაც ვიტან ჯერ...

სავსე დედით, მამით,
და-მმით, შვილით, ცოლით... —
უმშვენიერესი
ც ა — სამოთხის პოლი!

პოეტი

— არავინ უსმენს ჩემს „კის“ და
არავინ უსმენს ჩემს „არას!“
მე ამ უყურადღებობამ
დამაბნია და შემზარა...

ათასი სახლი დაინვა!
ჩემი — ვერავინ დაწვა!
ვირტუალური მფარველი —
უფალი! — ჩ ე მ ი დ ა ც ვ ა!

— თქვი, გამახსენე მეფე,
ომზე უარი ეთქვას! —
პატივისცემის ნიშნად
მეც დავუდებდი ერთ ქვას!

მანიაქალური ლექსპროზითი

— ამ კარგმოკლულ სამყაროში
ვსე — პლახიე, სამ — ხაროში!

აგინებს ვადაბასულ დადაისტებს

— ერთი მაგათი დადაც...



ერთ საღამოს, ძველ მოთხრობაში, სადაც პიტერ აკროიდის ვიციტირებ, შეცდომა აღმოვაჩინე. წინადადებაში — „1730 წელს თომას ბრაუნს უთქვამს, ლონდონში იმდენი ტრაქტორი და ლუდხანაა, ვინმეს ეგონება, ამ ქალაქში ღმერთებიდან მხოლოდ ბახუსს ეთაყვანებიანო“ — უზუსტობაა გაპარული. ამ შეფასების ავტორი მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა და 1730 წელს დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. სხვა თომას ბრაუნს იმონებებს აკროიდი, თარიღები აერია, თუ რედაქტორის ან კორექტორის დაუფერობასთან გვაქვს საქმე — არ ვიცი. მე კი ჩავასწორე ეს ადგილი მოთხრობაში, გადავასხვავე და არ დავმალავ, რომ ტექსტმა მხოლოდ მოიგო ამით.



საკუთარ მოთხრობებს ძალიან იშვიათად ვუბრუნდები, თუმცა მათი უმეტესობა კარგად მახსოვს. „ავტოპორტრეტი ნიგნების ფონზე“ ბორხესის კითხვისას „ამომიხტა“. არგენტინელი კლასიკოსი, რომელიც სერ თომას ბრაუნის პროზას „განსწავლულობით და სრულყოფილებით“ გამორჩეულს უწოდებს, მის ბიოგრაფიასაც აღწერს და დაბადების და გარდაცვალების თარიღებსაც მოუთითებს. ავტორი ფრაზისა — „გემი მრავალჯერ დამსხვრევია, მაგრამ ქარიშხლებსა და ზღვის დინებებზე არ განვრისხებულვარ“, 1605 წელს დაბადებულა და 1682-ში აღსრულბულა...

ზოგადად კითხვას რაც შეეხება, ამ საქმისთვის ჩემთვის საუკეთესო დროს, წინის ხელში ალუბა დილაადრიან მორჩენია, შვიდიდან რვა-ცხრა საათამდე. ხანდახან ბლოკნოტსაც დავწვდები ხოლმე, უეცრად „აღმოცენებული“ აზრების ჩასანერად. ნაშუადღევს რომ წავიკითხავ სისხამ დილით ჩანერილ სტრიქონებს, უკმარისობის გრძობა მეუფლება. თუ ჩანანერი დახევას გადაურჩა, მას საღამოსხანს ვათვალიერებ მუშტრის თვალთ. ფიქრის მდინარებისა და ქვევის მიხედვით „ჩემი დღე“ სამ ნაწილად იყოფა. პირველი მონაკვეთი — მაქსიმალისტური, ემოციური გადანყვეტილებების მოკარნახე, მეორე — სიმშვიდით, ლომობიერებით და მელანქოლიურობით აღსავსე და მესამე — დავინყვებას გადარჩენილი ამბებისა და სიზმრების აღდგენის, უზუსტობების აღმოჩენის, მათი გასწორების ოთხი საათი.

სამივე მონაკვეთი ორი რიცხვით, 7-ით და 11-ით არის შემოსაზღვრული.

კარის შეღება პატარა, მყუდრო კაფეში და ზარის განკარუნება — ერთია. შემოგეგებება ულვაშიანი ჭალარა კაცი, გაგიღიმებს, ხელს ჩამოგართმევს. მანამდე ის მაღალ დახლთან იდგა და რბილი ნაჭრით ჭიქებს აკრიალბდა. ყველაფერი განკრიალბებულია ირგვლივ — ხის იატაკი, ხისავე ჭერი, ვიტრინა, საიდანაც ქვით მოკონწყული ქუჩა, ტოტებგაბარჯული აკაცია და ერთმანეთს მიყუდებული ძველი სახლები მოჩანს. პრიალი გააქვთ ყავისფრად გალაქულ მრგვალ მაგიდებს და ვენურ სკამებს. სისუფთავე და სითბო გამოსჭვივის შეუღესავი კედლების ავურებიდან. იმდროინდელი კედლებია, თახჩების გარეშე რომ არ შენდებოდა გინდა სახლი და გინდა სარდაფი. აქაურ, მომცრო თახჩებში ადამისყამინდელი ლითონის ჯამები, ლანგრები და გვერდებმეჭყყილი თუნგებია გამოწყობილი. ფოტოებიც ბლომად არის, უმეტესად შავ-თეთრები, სიძველისგან გახუნებულები — ყოჩალი ბერიკაცების, მხიარული მუსიკოსების,

ზაალ სამადაშვილი კალამს მიღვნიებით დანარილი

ლამაზი ქალების, კუშტი მემამოხეების — ჩარჩოებში ჩასმულები, მინით დაფარულეები. დღისით მზის სინათლე ირეკლება ამ მინებში, საღამოს კედლის ლამპების მოყვითალო შუქი. ერთადერთი რამ, რაც არ პრიალებს — დახლის ზედაპირია, ნაკანრებითა და ნაჭდევებით დასერილი სადურგლო დაზგასავით. თუ ახლოდან დააკვირდები, ნაკანრები კი არა, სიტყვები შეგრჩება ხელთ, იმ ადამიანების სახელები და გვარები, ვისაც სამ ჭიქა ღვინოზე მეტი დაუღვია დახლზე ცალიდაყვი ჩამოყრდნობილს. ჭალარა მასპინძელი სასმელს შორის, უპირატესობას ღვინოს ანიჭებს და ძველებური ბუფეტის თაროებზე მხოლოდ წითელი და ქარვისფერი ღვინოებით სავსე მუცლიანი, მსხლის მოყვანილობის ბოთლებია ჩამწყვიებული. კერძებიც, იოლად მოსამზადებლები, ყუათიანები, სულ ღვინოებსაა მისადაგებული. პურია დიდ პატივში, მაღალი, დაბრანულქერქიანი, სურნელოვანი — დაუჭრელს მოგართმევს, ცალკე თავად. კაფეში ყველა მაგიდა არასოდეს არ არის დაკავებული, ამ მხრივ, ის ვერც მოდურ რესტორნებს გაეჯიბრება და ვერც იაფფასიან დუქნებს. არც ეჯიბრება. ჭალარა კაცი იმითაც კმაყოფილია, რომ თავი გააქვს და ზარის ნკარუნი დღეში ათჯერ მაინც ჩაესმის ყურში.

გაგიკვირდებათ და, მართლა კაფეს კი არ აღვწერდი, მწერალზე ვყვებოდი, მის მიერ შეკონინებულ სამყაროზე. თამამად შეგიძლიათ იფიქროთ, რომ ულვაშიანი ჭალარა კაცი მე ვარ, პატარა, მყუდრო კაფე — ჩემი ნიგნები.

ტვისტი რა არის, იცით? ჩაკოსტუმებული ლითლ რიჩარდი რომ დგას და ისე რომ უბერავს როიალზე, წრეზე გოგო-ბიჭები რომ სხედან, გოგოებს ფრიალა კაბები რომ აცვიათ, ბიჭებს პულოვერები. წრეში მსუქანი, ძალიან მსუქანი ბიჭი და თხელი, სიფრიფანა გოგო რომ შემოდიან საცეკვაოდ. გოგო ანგაროს რომ უწევს ბიჭის სიმსუქნეს, მხრების მსუბუქი მოძრაობით რომ ჰყვება გიჟურ რიტმს, ფეხებსაც ძუნნად, გამოზომილად რომ დაასრიალებს იატაკზე, ბიჭი ისეთი მოუქნელი რომ არ აღმოჩნდება, როგორც თავიდან ეგონა ვინმეს, მისი თითოეული გატოკება ერთიერთში რომ ემთხვევა პარტნიორის ყველა ილეთს. მაყურებლის სიცილი, მის გამორჩენას რომ მოჰყვება, ტაშით და მოწონების შეძახილებით რომ იცვლება. ტაშს თავადაც რომ უკრავენ, მაგრამ რომ ხურდებიან, ხელს რომ უშვებენ, რომ სცილდებიან ერთმანეთს და ისე რომ აგრძელებენ ცეკვას...

არც ჯინსების, არც სლაქსების, თუ მაინცდამაინც, როკეროლის თაობა ვართ ჩვენ, გასული საუკუნის ორმოცდაათიანებში დაბადებული, ათას დავიდარაბას გადარჩენილი ხალხი.

ჩაკ ბერი ერთი გიჟმაჟი კაცია, მაღალი, ხმელი, ზეთისხილივით მზინავი თმით, წვრილი ულვაშით — ზედა ტუჩს ზოლივით რომ გასდევს. არათითზე თვლიანი ბეჭდის წამოცმა უყვარს და თეთრ შარვალზე ჭრელი პერანგის მოგდება. მისი მოგონილია ცალი გეხზე ჩაჯდომა, მეორის წინ წაწევა და ასე მოძრაობა, ლამის სირბილი დაკვრის დროს. ახლაც სცენაზე დგას, გიტარა მხაროლოვ ჰკიდია, შუბლზე ოფლის წვეთები აზის. ვიდაცას უხმობს, კულისებში მყოფს, ხმამაღლა, დაჟინებით. ისიც გამოიბის, მოკლე, შავ-ყვითელი კაბა თქმობს ძლივს უფარავს — თან ქალია, თან ლეოპარდი. შეუბერავენ. „Rock n roll music“ ჰქვია სიმღერას, ქალს — თინა ტერნერი. ვისაც ერთხელ მაინც აქვს ნანახი ეს დუეტი, მანსი არ არის დავიწყდეს მჭახე შეძახილი ბოლო „ა“-ზე მახვილით:

„Come on, Tinaa!!!!“

აი, ის მსუქანი ბერიკაცი, გვერდით მჯდარ ერიკ კლაპტონს რომ უსმენს საკუთარ

გიტარას ჩამოყრდნობილი, ალტაცებისგან თვალები რომ უბრწყინავს და დროდადრო ცერა თითს წევს მაღლა — აუ, რა მაგარი-აო, ნანახი მყავს. თბილისში, ვერაზე. ქუჩაში არა, ფილარმონიაში.

კონცერტზე ნაცნობმა შემეყვანა, გოგოს ელოდებოდა, არ მოვიდა და ბილეთს ხომ არ გავაფუჭებ, წამოდიო.

სცენაზე კუბოკრულ პიჯაკიანი ძია ბლუზს უკრავდა, დარბაზის კედლები კიდევ „ხეებში იჯდა“ რაიკომის მდივნის კაბინეტივით. ტანჯულ ხალხში დაბადებულ მუსიკას დარდის გადაყრა რომ შეეძლო — იმ დღეს გავიგე. არადა, რა ნაღველი მანვა 1979-ში, ანდა მანვა თუ არა, არ მახსოვს. მაშინ ის ძია მსუქანი არ იყო, უფრო მსხვილი ეთქმოდა. აამოძრავებდა თითებს სიმებზე, ჩახხვევდა, მაგრამ რას ჩახხვევდა, გულისგულამდე მოგიტანდა რალაც მელოდისა, მერე გიტარას განეცდა, ილლიაში ამოიდებდა და ახლა თავის გულვიდან ამოუშვებდა ხმას. ორივე ერთად, დაკვრა და სიმღერა — ნურას უკაცრავად...

ბი ბი კინგზე ვყვები, ბევრი გულის ერთ გულში გამაერთიანებელ კაცზე...

გიჟმაჟები ბლუზის დამკვრელებში უნდა ნახო...

დილაბნელის ბინდბუნდებია, ლიანდაგებს შორის, შპალებზე, კაცი მოდის. პალტოს საყელო ანუელი აქვს, ვინროფარფლებიანი შლაპა — ცოტა ჩამოფხატული. მორზვილი ჩანთას მოაქანავებს. განათებული პლატფორმა გამოჩნდება, პატარა ქალაქის სარკინიგზო სადგური. კაცი ამ სადგურის პერონზე ადის. ერთერთ ბოძზე გიტარა ხედება ჩამოკიდებული. ჩანთას ძირს დებს, გიტარას ხელში იღებს და სიმებს უსინჯავს. დაკვრას იწყებს. პირველი აკორდები, პირველი ნამღერება და ტაში. თურმე ნუ იტყვი, ლიანდაგებს გადაღმა მეორე პერონიც არის, სადაც რამდენიმე რიგად სხედან ლაბადებსა და ქურთუკებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები. შლაპიანი კაცის გვერდით კალათებია ახოსილაღვებული, კალათებს მიღმა კი, პიანინო დგას, რომელსაც ასევე საყელონამონეულ პალტოიანი ძია უზის, ოღონდ იმას კეპი ახურავს, მუშაკაცების ქუდი. კარგად რომ ირიურაჟებს, ახლა ის შეუდგება დაკვრას. თან უკრავს, თან ლაპარაკობს, ამბობს, სადაცაა დაიკოროზეტა შემოგვეერთდებოთ. არც მეტი, არც ნაკლები, ცხენებმული ოთხთვალა გამოჩნდება რკინიგზის გასწვრივ გამავალ გზაზე. ოთხთვალამი კიდევ, ჩალისფრად თმაშელებილი ხორცსავსე დეიდა. პიანისტი გზაზევე შეეგებება, ჩამოსვამს და ხელიხელგაყვრებით სულ ცეკვა-ცეკვით წამოვლენ პერონისკენ. დაიკო როზეტაც იმ გიტარას მოიმარჯვებს, წელან კაი ხელს რომ ეჭირა. მთლად ისეთის არა, მაგრამ თვითონაც კარგი ხელისა აღმოჩნდება, ერთიმეორეზე უკეთესებს ჩამოჰკრავს და იტყვის. ჰო, ეგრე, ბლუზს აამბობენ...

ეს ქალი თარფია გვარად, როზეტა თარფი. გამთენიის ბინდბუნდებში მოსული კაცი, გვიან მგზავრს რომ ჰგავდა — მადი უოტერსი. კეპიანი პიანისტი ვინ არის, არ ვიცი. ბლუზის და გოსპელის ფესტივალი დაიწყო ასე, აუჰ, როდის, 1962-ში.

ტრიალ მინდორზე რომ იყო, ქარი რომ უბერავდეს და მაგრად წვიმდეს, თავიდან



ფეხებამდე გალუმპული კოჭებამდე ტალახში რომ მიბოტებდე. მიტოვებულ შწნობას რომ მოჰკრა თვალი, სახლს კი არა, უფრო ფერმას. ნაბიჯს აუჩქარო, გაიქცე, ნანატრ სიმშრალეში შედგა ფეხი. სველი ძალივით შეიბერტყო ტანი. სანამ სიბნელეს შეაჩვევდე თვალს, ვიდაცამ რომ დაგიძახოს, ერთი აქეთ მოინიეო. რო გაიხედო, საიდანაც ეს ხმა მოდის და შუშებჩაღენილ ფანჯარასთან ჩამჯდარი, მუხლებზე ხელებშემოხვეული კაცი რომ დინახო, კაცი და აკორდეონი, ისიც კედელს მიყუდებული. მისი კლავიშები უფრო რომ ანათებდნენ იმ კუთხეს, ვიდრე ფანჯარიდან შემოსული შუქი. ვინა ხარ, აქ რამ გადმოგავდოო, რო გკითხოს და შენ პასუხს, რავი, რამსები მაქ არეულოო, ეგრევე რომ მოაყოლოს, ხელი დაარტყი, ერთ ბედქვეშ ყყოფილვართო. სიგარეტი გააქვსო? რო გკითხოს და გაეცინოს, რა სიგარეტი გადაგიჩრებოდა ამ თავსხმაშიო. სველი კოლოფი რომ ამოიღო ჯიბიდან, დამბალი ღერები ამოალაგო და აკორდეონის თავზე დაუპირო დანყობა გასაშრობად. მანდ არა, ძმაოო, თავი რომ გაგიქნოს, თვითონაც ჯიბეზე გაიკრას ხელი, ჟანგინი „ზიპო“ გააძროს და ალზე გაატაროს ჯერ ერთი და მეორე მეორე ღერი. კარგად, ბოლმა ცოტა გამათბოო, რომ თქვა მოწვევის შემდეგ და თითები მოიფშვნიტო. კაცმა კიდევ, ისევ რომ გაიკრას ხელი, ამჯერად დაძინილი პიჯაკის გულისჯიბეზე და ბრტყელი ბოთლით არაყი ამოაძვინოს. რიგრიგობით ორ-ორი ამოყუდების მეორე აკორდეონს რომ დანვდეს, მკერდზე მიიკრას და კლავიშებზე თითები აასრიალოს. იმღეროს, ხან ხრინჩიანი ხმით, ხან დანმენილით. მიტოვებული ფერმის გამურული კედლებივით პირქუში ამბებიც მოჰყვებს და ძარღვებში არაყით და მდებელი ბალადებიც. გული რომ გადაგიშალოს და გითხრას, რას გადაყრია ცხოვრებაში და როგორი კვალი დაუტოვებია იღუმალ გზებზე ხეტიალს. რო ჩაგეძინოს და გაღვიძებულს, ნასული დაგხედვს. შენც რომ აღარ იყო ტრიალ მინდორზე, უულად მდგარ შენობაში. შინ იჯდე, საგარეშოში და წელწელა იაზრებდე, რო სიზმარი ნახე. გონება რომ დაძაბო, ძილში ნანახი კაცის გარეგნობის აღდგენას შეეცადო. რო შეძლებ, გაგელიმოს, თურმე ის დაგსიზმრებია, ვის მუსიკასაც ჯერ კიდევ იმ დროიდან უსმენ, როცა აუდიოკასეტებს მალაზია „Music box“-ში ყიდულობდი — ტომ უეიტსი...

რა თქმა უნდა, გულამოღებულ პულოვერებსაც მოიხდენდნენ, ორთქლმვალშებმულ მატარებელშიც აბარგდებოდნენ, ზანზალაკებიან მარხილებსაც შეახტებოდნენ, გალიპულ ფერდობებზეც დაეშვებოდნენ თხილამურებით, ალპინისტურ ქოხშიც შელაგდებოდნენ ფეხების ბაკუნით, ლამაზ გოგონებსაც გამოიწვევდნენ საცეკვაოდ, „სისხლიან მერისაც“ ჩამოისხამდნენ ნათალ ჭიქებში, მაგრამ ყოველივე ეს ისეთი მიმზიდველი და მჩქეფარევე იქნებოდა, დიდ მინდორს, მთის პატარა სოფელს შუაზე რომ ჰყოფდა „მზიური ველი“ არ ერქმეოდა და საბჭოეთის მოქალაქეები, თუნდაც „სტილიაგები“, ვერასოდეს შეიტყობდნენ ტენისის შტატის რომელიღაც ქალაქის სახელს — ჩატანუგა, რომ არა ერთი გამხდარი, სათვალნი ტრომბონისტი. კაცი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ თავისი „სამოქალაქო“ ბენდი დაშალა და ახალი, სახმდრო ორკესტრი შექმნა, რათა ფრონტზე მყოფი ჯარისკაცები გაემხნეებინა. ამერიკის საჰაერო ძალების მაიორი გლენ მილერი 1944 წელს დაიღუპა, ლონდონიდან უკვე თავისუფალ პარიზში გადაფრენისას, კონცერტი უნდა ჩაეტარებინა „ოლიმპიაში“, რომელსაც ალბათ „Sentimental journey“-ით დაიწყებდა.

შეიძლო დაძახებისთანავე მოეხსნა გრძელი, ნახურხის ბუსუსებარული ნაჭრის წინსაფარი, მიეტოვებინა თლა, ჭედება, გაშალაშინება, ამოერბინა ღრმა სარდაფის უსახელურო კიბე და გამოცხადებოდა შვილიშვილებს. მისი დამძახებლები და სახელოსნოდან ამომხმობები ისინი იყვნენ, სამი ბიჭუნა, შვიდი, რვა და ცხრა წლისა — თუ ზამთარი იდგა, ერთმანეთის



გამონაცვალ, გაქუცულ პალტოებში ჩაფუთვნილები, ყელზე შინაქსოვ შარფები-მემოხვეულები, თუ გაზაფხული, სასკოლო ფორმებში გამოწყობილები, წელზე ვერცხლისფრად მოელვარე ლითონის ბალთიანი ქამრებით. პაპას აუცილებლად უნდა ეკითხა ბიჭუნებისთვის, აბა, რა საქმეზე მიხმობთ, თითქოს ვერ ხვდებოდა, რა უნდა მოეთხოვებოდა მისგან და როგორც კი უპასუხებდნენ, სასიეროდ წაგვიყვანეთ, მოუცლელობა უნდა მოემიზებინა, თავპატივი გამოედო ვითომ. უნდა შემოხვეოდნენ პატარები და ხალათის კალთებზე დაბლაუჭებოდნენ. ამ ხეობით უნდა მიეღწიათ პაპას თანხმობისთვის და ყოფინა უნდა დაეცათ მაშინვე, როგორც კი ჭიპკისკენ დაიძრებოდნენ.

გასიერებას თავისი წინასწარ განსაზღვრული, არაერთგზის გამოცდილი და მოწონებული თანმიმდევრობა ჰქონდა. ის ტრამვაიში ასვლით იწყებოდა. დიდ ქუჩაზე რომ ჩავიდოდნენ, ორმხრივად, ერთმანეთის საპირისპიროდ მოძრავ ვეგონებს შორის იმაში ავიდოდნენ, რომელიც პირველად მოვიდოდა. ან ერთი შორეული უბნისკენ უნდა ემგზავრათ, ან მეორისკენ. ბიჭუნებს ის გზა ერჩივნათ, რომელიც ვინრო ქუჩებზე, ძველებურ, მდიდრულ სახლებს შორის მიიკლავებოდა; მაგრამ მეორე, გვიან აშენებულ კვარტლებში მგზავრობისას, იმ ადგილებთან დაკავშირებული ამბების მოსმენით ინახლავდნენ სილამაზის დანაკლისს. კარგად ჰყვებოდა პაპა, ღრმად ეფიქსებოდა რომ გასცდებოდნენ და ავტალისკენ აიღებდნენ გზას, ერთ მაგარ ფალავანზე დაინყებდა ლაპარაკს, ვაჟა ფშაველას რომ მოუგროვებდა ფული სწავლის გასაგრძელებლად. ვაჟა ფშაველა ხომ ისედაც იცოდნენ ბიჭებმა, მის მოთხოვნებს დედებიც უკითხავდნენ და დიდდაც, „შეღლის ნუკრის ნაამბობზე“ ეტირებოდათ. ფოტოც ჰქონდათ ნანახი ვაჟასი, მასავით წვერმოშვებულ, ჩოხიან კაცთან ერთად გადაღებული.

ვინრო ქუჩებით თუ მოუწევდათ მგზავრობა, უკანა გზაზე კათოლიკურ ეკლესიასთან მდებარე საფუნთუშესთან ჩამოხტებოდნენ. იქ აცხობდნენ სურნელოვნებითა და სიმსუბუქით განთქმულ კრემიან ფუნთუშებს, ცალკე რვა კაპიკად და მათი ჩაკბენისას ბიჭებს შაქრის მტვრის თეთრი უღვაშები „უკეთდებოდათ“ ტუჩებზე. შინ დაბრუნებით არ სრულდებოდა „გასიერება“, მთავარი ამბავი წინ ედოთ დიდებსაც და პატარებსაც. პაპას დიაფილემების გამშვები აპარატი უნდა ჩამოედო კარადის თავიდან, ციციქა კოლოფებით სავსე ყუთიც უნდა მოეყოლებინა, კოლოფებს შორის ერთი ამოერჩია, იქედან მრგვლად დახვეული ლენტი ამოეძვინა და აპარატში მოეთავსებინა. მერე სინათლე უნდა ჩაექროთ, კადრებად დაყოფილი ნახატები უკეთ რომ გამოჩენილიყო პროექტორიდან წამოსული შუქით განათებულ კედელზე. ნახატების ქვეშ ჩანიკნიკებულ სტრიქონებს მუდამ პაპა კითხულობდა. მოყოლისა არ იყოს, ხმამაღლა კითხვაც კარგად გამოსდიოდა — ხან ინვრილებდა ხმას, ხან იბოხებდა, პერსონაჟებს ბაძავდა და „ჩვენებას“ ამხიარულებდა...

დიდი დრო რომ გავიდა და შვილიშვილები პაპის ხნისა მოიყარნენ, ყველაზე უფროსმა მისი გახსენებისას თქვა — ჩვენი ბავშვობის გამლამაზებელი...

მეორემ დაამატა — ბავშვობის და სიღარიბის...

მესამემ იკითხა, აბა ყველაზე ხშირად რა ეცვაო?

მუქი ფერის შარვალ-ხალათით დაუდგათ თვალნი. ხალათი ზემოდან გადმოშვებული, იმის მსგავსი, იმდროინდელ საბჭოთა „ლაგერებში“ გამწვანებულ წესიერ მოქალაქეებს რომ ეცვათ.

შეიძლება არც უფიქრია სამოსის ამ ნიშნით შერჩევაზე, მაგრამ გულისგულში ალბათ მაინც პატიმრად მიიჩნეოდა თავსო... — მესამემ თქვა.

სასადილოები და სასაუზმეები ბლომად იყო ქალაქში, ოღონდ სადაც ლუდს ჰყიდდნენ, იქ სოსისს არ ხარშავდნენ და სადაც სოსისით გამასპინძლება შეეძლოთ, იქ ლუდს ვერ ჩამოგისხამდნენ ნახევარლიტრიან კაობხში. რატომ ხდებოდა ასე, ძნელი ასახსნელია, დაახლოებით ისეთივე სირთულის, როგორც ორსაათნახევრიანი ფილმის შუაზე გაჭრა, ორსერიანის დარქმევა და მეორე სერიის თვენახევრის მერე „გაშვება“, როცა პირველი სერია მთლად კარგად აღარ გახსოვს. ერთადერთი ადგილი, სადაც ცხელ სოსისს ცხარე მდოგვში ამოაწობდი, ჩაკებნი და კაობის პირზე მომდგარი ქაფის სულის შებერვის შემდეგ ცივ ლუდს დააყოლებდი, ძველი საბურთალოს მტკვრისპირა სერზე მდგარი ფარდული იყო, რომელსაც მისი დახლიდარის საპატივცემულოდ „სპარტაკას დუქანი“ ეძახდნენ. ფარდული პატარა გახლდათ, ხოლო ნაბახუსევის ჭმუნვებისგან თავის დაღწევას მსურველი — უამრავი.

ციციქა ნაგებობის შიგნით, სადაც სკამის ჭაჭანება არ იყო და მაგიდების მაგივრობას კედლებზე მიმაგრებული ვინრო დახლები სწევდნენ, დიდი-დიდი ათი კაცი ეტეოდა. ამიტომ დანარჩენებს, ვინც მანქანებით იყო მოსული, პლასტმასის თეფშები და სველი კაობები გარეთ გაჰქონდათ და თავიანთი „მოსკვირებისა“ და „ვოლგების“ კაბოტებზე აწყობდნენ. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ხალხი აქაურობას ეტანებოდა, იმ დროისთვის უჩვეულო და იშვიათი თანასწორობა გახლდათ, რომელიც სტუმართა შორის სუფევდა. აქ ყველას ერთნაირად ემსახურებოდნენ. არავინ გაგატარებდა ურიგოდ, არავინ ჩამოგისხამდა „გვარდისკის“ იმიტომ, რომ მრისხანე, თვალზემოწკურული ძველი ბიჭი იყავი, ან მძვინვარე, უფორმოდ მოსიარულე მილიციელი. „გვარდისკი“ კაობის ბოლომდე გაეგებას, გალიპოპებს ნიშნავდა, როდესაც ჩამომსხმელი ქაფის დანრეტას უნდა დალოდებოდა და ონკანიდან უფრო წვრილ ნაკადად გამოემუქა მუქი ქარვისფერი სითხე. „გვარდისკის“ ერთი მიყუდებით და ყველაზე გემრიელად მოთამაშები ცლიდნენ, დილაადრიან, დუქნის გაღებისთანავე რომელიმე კონსპირაციული ბინიდან მოსული კაცები, რომლებსაც ბანქოს თამაშში გატეხილი ლამის ბობოქარი ნაკვალევი აჩნდათ სახეებზე; სავსე კაობების ჩაპირქვევებით თითქოს ხანძარს იქრობდნენ სადაც შიგნით. ლოთებისგან, მათ ირგვლივ რომ წრილად დგნენ ხოლმე გამასპინძლების მოლოდინში და ეს მოლოდინი თითქმის არასდროს უმტყუნდებოდათ, მოსმენდით ამბავს იმის შესახებ, როგორ გადასცა ერთმა ცნობილმა მოთამაშემ მეორეს „გაზ-21“-ის გასაღები ნაგებული თანხის სანაცვლოდ და როგორ გაუყვა გზას ფეხით „საბაგროსკენ“. იმ დროს ვახუშტის ხიდი ჯერ არ იყო აშენებული და საბურთალო მსხვილ ტროსზე მოძრავი ვაგონეტებით უკავშირდებოდა დიდუბეს...

როდის გაქრა „სპარტაკას დუქანი“, ვეღარ ვიხსენებ. იქნებ მაშინ, როცა „დიად საბჭოეთში“ სოსისების ცელოფანში გახვევით დაკავდნენ და ხორცის ამ ნაწარმის დაგემოვნებისთვის გარსის შემოცლა გახდა აუცილებელი ცივი წყლის მეშვეობით; ანდა მაშინ, ქუჩებში ჩეხური ლუდის გაყიდვა რომ დაიწყეს ლიტრანახევარ რუსულ არაყთან ერთად და „ჩვეულებრივი“ სოსისების მოპოვება მოსახლეობის პრივილეგირებული ფენისთვის განკუთვნილ ეგრეთ წოდებულ „სპეცმალაზიებში“ რომ გახდა შესაძლებელი მხოლოდ და მხოლოდ...

გემო კი, არ დამეჩვენებია, ამყვა — ცუდად გამოცხვარი რუხი პურის, წყალწყალა მომჟავო ლუდის, ცემინების მომგვრელი ცხარე მდოგვის — ეპოქის გემო.

რუსუდან რუხადიკე
მეორე ნაკითხვა

დასასრული

— ვიცი. ხვალ დავასრულებთ მარკესს, — ზურგჩანთიდან ნატალიისთვის დაპირებული საღებავის ამბები ამოვიღე.

— ახლა რა ხდება, იცი? სანამ მარიზა დაბრუნდება, ბიჭები ვიკრიბებით ამ საღებავს. სულ ოთხი შემოვრჩით კლასიდან, გესმით? ოთხნი! ვაჟთა გიმნაზიაში ვსწავლობდით, ზოგი დაგვეკარგა რალაცნაირად, ბევრი აღარც არის, — გულზე ხელი დაიდო და თვალები აუწყლიანდა.

— სად იკრიბებით? — ნატალიის წამლის ვერცხლისფერი ფირფიტა გაუწვინდა.

— ოჰ, მადლობა! როგორც წესი, ზაალთან სახელოსნოში. პორტვეინის დამახვედრებენ ბიჭები და ცოტა რომ არ დავლიო, არ გამოვია, — თაროდან წნევის აპარატი ჩამოიღო.

— ო, პორტვეინი არ არის ცუდი! — უკვე წარმოვიდგინე, ვის ექნებოდა მეორე დღეს დიდი თავი.

— ერთია, ოთარი არ დათვრეს ისე, რომ საღებავი ჩაგვიშალოს. ორი ჭიქის მერე ათას სისულელეს ლაპარაკობს, ხშირად უწყინებია კიდეც, მაგრამ ბავშვობის მეგობრები ვართ და ვუძლებთ! — კიდეც ერთი გაკვეთილი ნატალიისგან.

— აბა, კარგი დრო გაატარეთ! — ნიგნში სანიშნე ჩავდე და დავემშვიდობე.

— ისე, რომ იცოდეთ, ნიგნის უხილავი ხიბლის დანახვა ყველას არ შეუძლია. ქვეტექსტები, ფარული ციტატები და ალუზიები ფსკერზეა, უნდა ჩაყვინთოთ! — გამოსვლისას მხარზე დამარტყა ხელი.

მარიზას ჩამოსვლის წინა საღამოს მე და ნატალიამ მარკესის კითხვა დავასრულეთ. მისვლისთანავე შევამჩნიე, რომ ხასიათზე ვერ იყო და ნაბახუსევს დავაბრალეთ.

— „შუადღის პაპანაქება“ იდგა. კანტორაში მზის სხივები იღვრებოდა. ხვალთ მოთენთილ პოლკოვნიკს ქუთუთოები დაუმიძიდა და მაშინვე ცოლის სახე დაუდგა თვალნიდან.

კითხვისას მაგიდაზე ნატალიის თითების ჭქნება ჩამესმა.

ვიგრძენი, რომ ალელვებული მისმენდა და მეც ავფორიაქდი. მოთხრობის ფინალი იმაზე მოულოდნელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა, თუმცა ისიც ადვილი მისახვედრი იყო, რომ ნატალიის ნაცნობი დასასრულის გამო არ გადაუწყვეტია ნიგნის მეორედ წაკითხვა. ის სულ სხვა შრეებს ექებდა და პოულობდა კიდეც.

— ეს მოთხრობაც მძიმეა, როგორც ყველა ტექსტი მოლოდინზე. თუმცა, უსასრულო არაფერია, — კონვერტში ჩადებული ფული ჩემკენ გამოაცურა.

— დიდი მადლობა ყველაფრისთვის. დანარჩენს ჩავეყვინთავ და დავინახავ! — შუა ფრაზის დროს ხმა ჩამიწყდა.

ნატალიამ დამშვიდობება არ იჩქარა და წინა საღამოს წვეულებაზე წამოიწყო ლაპარაკი. ორმაგ ფინალს იმ დღეს ნამდვილად არ ველოდი.

— იცით, გუშინდელს მერე ძალიან ცუდი განწყობა გამომეყვა. არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო — კამპანია კარგი, სუფრა — უკეთესი!

— მოხდა რამე? — თითქოს არაფერი. ძველი ამბები გავიხსენეთ, ვიცინეთ. ოთარმა თავისებურად ილაზღანდარა და იქვე ჩამოეძინა.

— ხდება ხოლმე.

— უცებ გოგი ჩუმად მეუბნება — „მკითხველი“. თავი დავუქნიე, გახლავართ-მეთქი. ცოტა ხანში ისევ გადმოიხარა და ჩამჩურჩულა: „მეთვალყურე“... ვახ! გავიდა კიდეც სუთი სუთი და ახლა ხმამაღლა მეუბნება: „სტამბოლელი“!

— მერე?

— მესამე მინიშნებაზე მივხვდი, რასაც გულისხმობდა! „ნიკიპურტი“ ვუთხარი და თავი დავუქნიე.

— და რას გულისხმობდა?

— გახსოვთ, პირველ დღეს რომ მოხვედით, ერთ ნიგნს ვეძებდი...

— როგორ არ მახსოვს!

— ეს ოთხივე სიტყვა იმ ნიგნის ავტორის ფსევდონიმებია. ჰოდა, — გიორგი გვაზავას ფრანგულად ნათარგმნ „ვეფხისტყაოსანზე“ მიმანიშნა, — 1938 წელსაა გამოცემული და, აი, იქ, მესამე თაროზე მყავდა დაბინავებული.

— იზოვეთ ნიგნი?!

— გოგამ, შენ რომ ინფარქტით იწევი საავადმყოფოში, მარიზამ ფული ისესხა ოთარისგან.

— რას ამბობთ!

— ოთარს კიდეც ჩვენი ბიბლიოთეკიდან რამდენიმე ნიგნი გამოუთმევია სანაცვლოდ, — ხმა აუთროლოდა ნატალიის.

— კარგი, ოთარს ხომ იცნობთ?! გუშინ თქვენ თვითონ ამბობდით... — წინადადება აღარ დავასრულე და წყალი მივანოდე. ნატალიამ ხელები სავარძლის სახელურებს ჩამოაყრდნო, გაშლილ მტევნებში თავი ჩარგო და ცხოვრების ხაზებით დაღარული შუბლი, თვალის უბეები და ხელის გულები ერთბაშად გადაშალა. რამდენიმე წუთი მდუმარედ და გაუძრევლად იჯდა. თავი უხერხულად ვიგრძენი და მინერალური წყალი ჩამოვიხსი. ვიფიქრე, იქნებ ჯობს, გავეცვალი და ხვალ შემოვიყარო დასამშვიდობებლად-მეთქი. ის იყო, წამოდგომა დავაპირე, ნატალიამ მოულოდნელად თავი ასწია და ხელით მანიშნა, დაჯექო. ყელი ჩაინიშნა, მოკუმული ტუჩებით რამდენჯერმე შეაკავა სათქმელი და ბოლოს ალელვებული ხმით დაინყო:

— იცი, რას გეტყვი?

პირველად მომმართა შენობით.

— გისმენთ! — მოულოდნელობისგან წამომახურა.

— ტრაკი რომ იყო, ვიცოდი... — თავი სავარძლის სახურგზე გადადო და ერთხანს თითქოს სუნთქვაც შეაკავა.

გული ამიჩქარდა და პერანგის ღილი შევიხსენი. უნებურად გავიფიქრე, ნეტავ, ახლა არ დალოოს სული და მერე არავინ მოიკითხოს ემერიტუსის ბოლო სიტყვებ-მეთქი. უცებ მკვეთრი მოძრაობით წამოხტა, ღრმად ჩაისუნთქა, საჩვენებელი თითი გაბრაზებულმა რამდენჯერმე გააქნია და თვალთ თვალში გამიყარა:

— მაგრამ პროჭი ყოფილა!

სავარძლის სახელურებს მოვეჭიდე, რულფოს ქალებს გავხედე და გავიფიქრე: „ხსნილია.“





კოეზია — ჩემი რელიგია

პოეზია რელიგია კი არ არის, რომ მოგატყუოს, არარსებულ სივრცეებში შეგიყოლიოს... ვიდრე ცოცხლობ, სიცოცხლე რომ აღარ გაცალოს, გითხრას, ეგ რა სიცოცხლეა, მოკვდები და ყველაფერი მერე იწყება: მოყვავილე ბაღებიც და ცეცხლის ბურბურიც, სიყვარულიც მერე, მერე, როცა მოკვდები, როცა სულზე ეგ სხეული აღარ გეცმევით, კოცნას ამბორი დაერქმევა, ხვეწნას — ალერსი...

მაგრამ მე უფალს ანგელოზად არ შევეუქმნე. ისიც მიყვარს ჩემში მისგან, რაც მინის არის...

მახსოვს, უდაბნოს მინა იყო, რითიც მომზილა, ამიტომაც ბურბურიც და ცეცხლიც აქ არის, ამიტომაც მესიზმრება ოაზისები...

ისიც როგორ გგავს, ღმერთო, ქვეყნად ვინც შემავყარე, როგორ გამოსდის, რომ სიცოცხლე გადამივადოს... მხოლოდ შორიდან იყოს ჩემი და არ მეჩვენოს, სულ მპირდებოდეს, მალე, მალე, მალე გნახავო, ცოტა ხანიც და მალე გნახავ, როცა... მოკვდები...

ერთადერთი პოეზია არ მერიდება, სადაც წავალ, თან დამყვება — ჩემი თავივით... მომავლით კი არ მანუგეშებს, ანმყოს მიხარებს, წამიერად როგორიც ვარ, ისეთს მირეკლავს, არასოდეს არ გამირბის სხვების სირცხვილით...

ამ მინდორში ყვავილები მდულარესავით მოიფრქვევიან, პატარ-პატარა საყვარელი გეიზერები...

იონჯა, გაზაფხულზე რომ მოვა, ვირებმა ჭამონ...

მე ეს მდულარე წყაროსთვალელები ყველაფრად მყოფნის, პოეზია ახლანდელიდან რომ მოჩუხჩუხებს, ემბაზივით, წუთიერს რომ ნათლავს თავის მდულარებაში...

ის არ მატყუებს და ცხოვრებას კი არ მივადებს, პირდაპირ და ახლანდელში თქმა ემარჯვება... მეუბნება: ვისაც ელი, უთუოდ მოვა, ოღონდ ახლა არა, ახლა ნუ ელოდები: მერე, მერე, მერე, როცა თვალებს დახუჭავ, როცა სულერთი გაგიხდება, მოვა თუ არა... როცა იონჯა აყვავდება უდაბნოებში...

„ადამიანები ჩრდილში და ადამიანები ნათელში ვნახე.“ სოკრატე სეფეჰრი

ზუსტად აღარ მახსოვს როდის, მაგრამ ზუსტად მახსოვს, რომ ვნახე ადამიანები, ბედნიერები იყვნენ ერთმანეთით და ისე ლაღად მიდიოდნენ, გეგონებოდათ, გაზით ამჩატებული საჰაერო ბუშტები არიანო. გაზის კამერებში ვნახე ადამიანები, ვიდრე გაზს გაუშვებდნენ და სახრჩობელაზე ორი ყმანვილი, ყულფში თავგაყრილები რომ დადგნენ და ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს,

გიორგი ლობჯანიძე



რადგან სხვა რამის გაყრა ერთმანეთისათვის, რასაც თვითონ სიყვარულად აღიქვამდნენ, იმ ქვეყანაში სიკვდილით ისჯებოდა. და იდგნენ ასე და სიყვარულგამოვლილი სიკვდილითა თუ სიკვდილისაკენ მიმავალი სიყვარულით ისევ ისე ერთმანეთს უყურებდნენ... ადამიანები წყვილად სინათლისკენ განვდილი მავედრებელი მზერით, ადამიანები ნათელში ჩრდილისაკენ წახრილი სხეულებით, ადამიანები პროფილში და ადამიანები ანფასში, შემოსილი ადამიანები და ტიტველი, დედიშობილა ადამიანები ვნახე, რომლებმაც მითხრეს: რომ სიშიშველეც კი შეიძლება საუკეთესო სამოსი იყოს, ალაღმართალ გულზე თუ გაცვივა ბერის კაბასავით... ადამიანები ყელამდე ფულში და ადამიანები ყელამდე მძლერში ვნახე, ადამიანები ძილში და ადამიანები ღვიძილში ვნახე, ადამიანები სიმთვრალეში და ადამიანები მწუხარებასა და ადამიანები სიფხიზლეში ვნახე, ადამიანები სიმდიდრეში და ადამიანები სიღარიბეში ვნახე ადამიანები სიმღერაში და ადამიანები მოთქმა-გოდებაში ვნახე, ადამიანები რწმენაში და ადამიანები ურწმუნოებაში ვნახე და ზოგის ურწმუნოება ზოგის რწმენას სჯობდა, როგორც ზოგის სიკვდილი სჯობს ხოლმე ზოგიერთის სიცოცხლეს. ადამიანები ყინვაში და ადამიანები სიცხეში ვნახე, ადამიანები წვიმაში და ადამიანები ქარიშხალში ვნახე. ადამიანები, დიას, დიას... ზუსტად მახსოვს, რომ სწორედ ისინი,

მაგრამ ვერ გეტყვით, ბოლოს როდის ვნახე ადამიანები... ადამიანები ყელამდე ფულში და ადამიანები ყელამდე მძლერში ვნახე, ადამიანები ძილში და ადამიანები ღვიძილში ვნახე, ადამიანები სიმთვრალეში და ადამიანები მწუხარებასა და ადამიანები სიფხიზლეში ვნახე, ადამიანები სიმდიდრეში და ადამიანები სიღარიბეში ვნახე ადამიანები სიმღერაში და ადამიანები მოთქმა-გოდებაში ვნახე, ადამიანები რწმენაში და ადამიანები ურწმუნოებაში ვნახე და ზოგის ურწმუნოება ზოგის რწმენას სჯობდა, როგორც ზოგის სიკვდილი სჯობს ხოლმე ზოგიერთის სიცოცხლეს. ადამიანები ყინვაში და ადამიანები სიცხეში ვნახე, ადამიანები წვიმაში და ადამიანები ქარიშხალში ვნახე. ადამიანები, დიას, დიას... ზუსტად მახსოვს, რომ სწორედ ისინი,

თაზო ვაჩნაძეს

ისეთი კარგია ჩემი მეგობარი, ისეთი მშვიდი და არაამქვეყნიური, როგორც სიტყვები: „ბედნიერი სიყვარული“, ასეთი რამ ბუნებაშიც რომ არსებობდეს... ის უთუოდ ჩემს მეგობარს ემსგავსებოდა, რომელიც ერთხელ გაგიჟდა და ჭკვიანებმა ოთხკედელში სამკურნალოდ გამოამწყვდიეს... როგორც ჩამდგარი ქარიშხალი, რომელმაც ერთხელ თავის გაზაფხულს უღმობელი მეხთატეხით გადაუარა... ახლა კი დადის თავისსავე ოთხკედელში გამომწყვდეული...

იეზუსა და ყოჩივარდებსაც შიგნით იყვავებს, მხოლოდ დროდადრო გამოჟონავს ბაგებიდან ეს ყვავილები, როგორც ღიმილი, რომელსაც ჩვენ, ჭკვიანებს, გვიყრის

და გვეუბნება, რომ არსებობს ის — ბედნიერი სიყვარული — მაგრამ მხოლოდ ოთხკედელში, სიგიჟეში, ყვავილებში შესაძლებელი...

ბორენას

ხომ მოგენატრა? ხომ სამი დღეც ვერ გაძელი იმის გარეშე? შენც ხომ მოგინდა, დაგენახა სხეულებრივად, ერთხელ კიდევ გაგეგონა უღერა მისი ხმის? იმას დები მაინც ჰყავდა, დამტირებლები... ჩემს მეგობარს კი არავინ არ დარჩენია... არც და ტიროდა და არც ვინმე ნათესავთაგან. მხოლოდ შემოილი პოეტები, რომელთაგან ერთმა სულაც ასე იტირა: „სადაღა ვნახავ შენს ბრიალა, ლამაზ თვალებსო!“ იცი, მართლა რა ლამაზი თვალელები ჰქონდა — ორი პატარა მზე, გიზგიზა სევდაჩასახლებული... ის ერთადერთი იყო ჩემ ირგვლივ, ვინც სახელი თვითონ დაირქვა, ზრდასრულობისას, როცა თვითონ მიხვდა, ვინც იყო! და გეხვეწები — შენ დაარქვი ამ ქალს ლაზარე, და ალაღვინე, ალაღვინე! გემუდარები! როგორც შენი მეგობარი! რადგან მე, მის უძლურ მეგობარს, სხვა არაფერი შემიძლია ცრემლების მეტი..

იაგო ხეჩიას

შენ მითხარი: ყველაფერი იყიდება და ყველაფრის ზუსტი ფასი, სწორედ ის არის, რამდენადაც იყიდება, ზუსტად ის ღირს, არც მეტი, არც გროვით ნაკლები. ჩემს ეზოში ვისხედით და ვლაპარაკობით. მაშინ ძალიან გავბრაზდი შენზე, მაგრამ ბრაზი მოგარიდე, ჩუმად გითხარი: რომ ამ ეზოს და ამ სახლ-კარს არასოდეს არ გავყიდი, მირჩევნია, შეგყურებდე, როგორ ინგრევა, მასან ერთად დავიშალო მეც აგურ-აგურ, დუღაბი რომ მოერღვევა, მეც ავტორტმანდე, ისე თითქოს ქვაკუთხედი გამომეცალა... ეს ხეები მამაჩემის დარგულია, ყვავილები დედაჩემის გაზარებული და ვერავინ ერთ ხესაც კი ვერ გადარგავს ჩემი მიწიდან... სინამდვილეში, აქ ყველა ხე არის ტაძარი, სადაც ღამით ქარი ლოცულობს და თავზე ჯილად ეხურებათ ვარსკვლავების კანდელები... არც გასაბერი ტაძრების მნამს, არც რობოტი მღვდლების, მე მნამს მხოლოდ ცოცხალი ღმერთი, რომელიც ზამთრის ჯვარზე გაკრული, გაზაფხულზე ბაიებად ამოანათებს და ენძილების ხელს დამიქნევს მეგობარივით... შენიცა მნამს, რადგან ჩემი მეგობარი ხარ, ამიტომაც: ვერასოდეს ვერ გავყიდი, რადგან მუდამ არის რაღაც, რასაც ფასი არ დაედება, არ გასხვისდება, არ გაჩუქდება ამ მიწასავით...



სამი წერილი ბაღის შიშვარაბულს, ღმერთმა რომ აღარ ნაიყვანა

1

ხანდახან ზამთრის სილამაზეც უსამართლოა. გინახავთ თოვლით დაფენილი ბავშვის საფლავი? თითქოს გეძახის, მიატოვე ეგ სიმართოვე, გამოდი, გუნდა გააკეთე და მეთამაშე. არაფერია ასეთ თოვლზე უსასტიკესი — თუ ერთხელ ნახე, აღარასდროს აღარ გადნება, თითქოს შენც მარტის მოჭიანო თოვლად იქეცი და ტკივილები გამოყინე ტანში მადნებად. მე შევამჩნიე თოვლიანი საფლავი შენი, და შიშვარაბულს გაეხსენა ჩემი სწრაფ ნაბიჯები და გვიან მივხვდი, რომ ეს შიში არც ისე მშვენიერია, თუმცა უცნობი ფორიაქი ვერ დავადინჯე. და გნერ წერილებს, ცისკენ მზერას გიგზავნი სიტბოდ, მზერას — წერილებს ბარათებად გზად რომ აცვია. შენ შეგიძლია ამოიცნო და ნაიკითხო ჩემი ფიქრების საშინელი კალიგრაფია.

2

ხან ისე ჩუმად, უსხეულოდ სალამოვდება — ნღების უკნიდან შენი ფეხის ფრთხილი ხმა ისმის, და შენს ნაბიჯებს ღამით ვაცემე შენს უცხო სხეულს — დიდი ხანია შევისწავლე ხელობა სიზმრის. თუმცა რა აზრი აქვს დილით ავდგე, დავლიო ყავა, სარკეში მზერა გაეინწორო, მერე საყელო, თუ მესიზმრე და ცხადის ფილმად ეს აღარ გავა — ნყალს სიზმრის ნაცვლად ეგებ სჯობდეს რომ გავაყოლო ეს ჩემი თავი — ჰა, ძარღვებიც ამაღლდებიან — ნყალს სისხლად გავყვე, ძველი სახლი ვაქციო გვამად და იქ გიპოვო, სადაც უკვე თეთრი ზღვებია, ცხელი ზღვებია და ეს ზღვებიც ზღვებს აღარ გვანან.

3

შენ ცხოვრობ უფლის სიახლოვეს, სხვა ქარებს იტყე, იცვლი სამოსებს — დღის და ღამის — ძველ სავარძელზე. ხან დღე მოკლე გაქვს და სიფხიზლის მოძენილ სვიტერს სხვა ფერის ძაფით — ღამის შუქით ქსოვ და აგრძელებ. ხანდახან ღამე არ გეტყვა, კისერში გიჭერს, და გინდა მთვარის ნარღვევიდან კისერი გაყო, რადგან სიზმრების აცხადების გაფლანგე ნიჭი, და ყავის ჭიქის ბილიკები გახადე სამყო — არცერთმა ვიცით, როდის ვნახავთ ერთმანეთს, რადგან ვერ გავთვლით, დღე და ღამე როდის შემოგვერღვევა — როცა ორივე აღმოვჩნდებით იმ ბაღის კართან, რომელსაც ალბათ არ ერქმევა საბავშვო ბაღი, ანდა რა იცი, შეიძლება ასეც ერქმევა.

მზის მარსიები ანუ მაღამ მარსოს საღილი ენობრივი თამაშების მცირე კავთილები

„ყელშია ც ამომდიოდა...“ ვაჟა-ფშაველა („დევეების ქორწილი“)

პირველი Chinawoman — Party Girl (Party Mix)

მარილი დაიბნა. ჩვენ, ყველამ ერთმანეთს კბილებშუა დავუნწყეთ სიტყვების ფათური, რომ (მოგვენახა საერთო ენა). სკამებმა ატეხეს ჭრიალი, მაგიდა ბანცალებს — მუცლების ქარია. ღვინო დანადგრელზე მარილი (დაიბნა და განითლდა) — ვთქვი მე.

მეორე Kim Basinger — Let's Do It

როცა გავიდა ცხრა კვირა და კვლავ ნახევარი, მათ მოუნდათ ერთად ყოფნა, ერთ-ხორც ყოფნა, ერთმანეთში დაბრუნება და (გაცვალეს) სიტყვა და სუნთქვა და თვალებს და ხელებს (აცეცებდნენ) სხეულებზე და კვნესა და თმები (გააბეს), მაგრად ამაოდ. მაშინ მიხვდა და სხვანაირად (მიუდგა) და იქცნენ ერთ-ხორც და ორ-სულ და მერე ვიშვით — ამოიხორა მეთოთხმეტემ და მეთხუთმეტეს მნიფე ჰალსტუხს გახედა შიშით.

მესამე Dr. Alban — Born in Africa

ფოთლები ოქროს თევზებივით ცურავდნენ ქარში, მერე ჩამოცხა — ქარმა დაიკლო, ქარი დაშრა და თევზები ფსკერზე მომაკვდავ ფოთლებივით ცემდნენ.

გიორგი კეკელიძე

მე კი ვიჯექი ურმის ბანზე, დარდებს ვთლიდი, ჭერში ვანყობდი. სალამი, დათვო, მგელო, მელა! არა, მე ცხვრები თვალითაც კი არ დამინახავს, აი, კბილები, სუფთა, როგორც ბარძიმი კვირის! — თქვა მერვემ, მზერა ნაიგრძელა და თვალებით დაყნოსა ქვირითს.

მეოთხე Asala — Hayati Arabic Jazz

დილით, როცა ცხელ და მრუშ სხეულში კვლავ ტყუპი სიზმარი ჩაისახე — ქუთუთო მუცელივით გაგებერა და მერე (ცხრა თვლემამდე) დაგიძიძა, მერე მთვარის ჩრდილი გათელილ თივად და ღამეს გომურით შეეფარე, მერე მთვარის ჩრდილი გათელილ თივად და ღამეს გომურით შეიფერე და მერე ჭუჭყიან ბებია-ქალივით მოგადგა ცბიერი ძილი.

დილით, ციხე, ისე გატყდა, როგორც სჩვეოდა — შენი ჩადრი გაიბზარა და მდულარე თმა გადმოგელვარა და თმების ჩრდილი, ნლობით დაგუბებული, რომლესაც მუცელს ნაადრევად მოწყვეტილი სიზმრების სუნი და ნაშვილვეი ოცნებების უშენო სუნი და ვარდის ღვინოთ მობანილი ღიმილის სუნი და სიკვდილამდე გაპარული ცხრა სულის სუნი კი არ ჰქონდა, ახლა იპოვა — თეთრ ხალიჩაზე დაგექცა და უმაღლე აშრა, რადგან ციხე ისევ შელესე — თქვა მეცამეტემ და დაიხედა ღორის ქონით დასვრილ ხელებზე.

მეხუთე David Gray — Babylon

სიჩუმეს კვირის მკვდრის სუნი აქვს — სიტყვები ყარან ანუ დუმილი გარდაცვლილი ხმა და მზერის ზენარი დავაფარეთ, მივინყების ბუზებს ვუქშევთ და მერე, როცა მოლამდება,

სიტყვის მძორები ფიქრის ძველი ურმებით გაგვაქვს, ზოგი გზად გვცვივა, ზოგსაც ვმარხავთ და საფლავზე ამოსულ ბალახს, მოგონება რომ დავარქვით, ვკრეჭთ და ალაგ ვთხრით, ალაგ ვრწყავთ და ალაგ მალულად სხვისი ეზოდან ნამოღებულ ყვავილებს ჩავრგავთ — თქვა ასმეხუთემ, ჩაახველა და გადასწვდა ვერცხლისფერ ჩანგალს.

მექვესე Billie Holiday — Strange Fruit

სიკვდილი ისევ მარტივია — ტკივილმა ტანში (გამიარა) და (გამიარა). წელან მეორედ დავიბადა და აქ მოვედი, რომ თქვენთვის მეთქვა. სხვა რა, (ჩალა ვარ და ნაბადზე) ღვინო ცეცხლივით მომეკიდა და თვალბუზე ნამწამების ნახშირს მაყრის, მაგრამ ახლა ძილი არ მინდა — შუადღის სიზმარი უმ ხორცს გავს ან ნათხოვარ საბანს — თქვა მეჩვიდმეტემ, გააბოლა და გაინაბა.

მეშვიდე Tom Waits — Down The Reeperbahn

ენა გამეჭრა — სიტყვა წვეთ-წვეთ ნამომივიდა, სიტყვები პირში დავიგუბე და გადავყლაპე. ახლა მინდა ამოვაფურთხო: მზე, რომელიც გამოვიგონე, ახლა ყვითელ ჭერზე კიდეა, წელან გავფინე და მალევე (გამიშრა ენა), ნიშნავს ბევრი ვილაპარაკე: სიტყვა, რომელიც ჩაზებრეთ საგნებს, დაბერდა და კბილით უჭირავთ. მალე ის მოვა, ყველა საგანს სახელს (ამოხდის) და საგნებს მალე დაუმარხავ მკვდრების ავი ქარი აუვათ, აი, (სიტყვამაც მოიტანა) ნაცნობი სუნი. ასე ვერ გავძლებთ ამ სუფრაზე — აქ ყველა თევი და ყველა მდინარე მტკნარია, ყველა ზღვა მტკნარია და ყველა სიცრუე. მარილი დაიბნა, მარილი აკლია ყველაფერს, ვთქვი მე და (მარილზე გავედი).

XIII





1

მახსოვს ჩემი ძველი ლექსი და ბავშვებით მიხარია.

„ლიტერატურულ გაზეთსა“ თუ სხვა პერიოდულ გამოცემებში ტარიელ ჭანტურიას პუბლიკაციები არც მე დამეზინყებია. „სიყვარულის შავი ყუთი“, პრაქტიკულად, ჩვენ თვალწინ, მკითხველის თვალწინ იქმნებოდა, მაგრამ სად შეყვარებულის მეტყველების ფრაგმენტები, და სად — სრული სტენოგრაფია.

პოეტის ბოლო კრებულებში (საიტ.უმლო ბარათებში) ტარიელ ჭანტურიას კარგად ცნობილ ლექსებს ახლები ისე ემატებოდა, როგორც ნიჟარის ცენტრში მოქცეულ ქვიშის მარცვალს სადაფის ფენები ედებოდა ხოლმე. „შავ ყუთში“ ეს ტრადიცია დაიღრმავდა ნიგინი, „დანყვეტილი სერპანტინებისა“ და კიდევ ორი-ორი შემთხვევის გამოკლებით, სრულიად ახალი ლექსებისგან შედგება. ისინი რაიმე ცალსახა, საყოველთაოდ გასაგები ლოგიკის გარეშე დალაგებული და ამგვარი არეულობა („თავის ქალა არიული / შიგ არხები არიული“) ნიგინის საერთო კონცეფციით უნდა ავსხნათ.

2

დღემდე შეუსწაველია სიყვარულის შავი ყუთი.

შესწავლას ვინ ჩივის, ის მაინც დაგვადგენინა, რა არის, ან, უფრო სწორად, რა შეიძლება იყოს ეს იდეალი და გამოუცნობი „სიყვარულის შავი ყუთი“. სიყვარულის თუ არა, შესიტყვება „შავი ყუთი“ მაინც როგორ უნდა ნავიკითხოთ ამ კონტექსტში?

ლიტერატურული გამოცანებისა და თამაშების დიდოსტატმა ამჯერადაც მშვენიერი ეტიუდი შემოგვთავაზა — ამოხსნის უამრავი ვარიანტითა და უზარმაზარი სიამოვნებით, რომელსაც პროცესი გვიპირდება. მაშ ასე, რა არის შავი ყუთი? თვითმფრინავის ბორტზე არსებული მონაცემებისა, რომელიც სრულად აფიქსირებს მიმდინარე მოვლენებს, ან იქნებ პიპოთეტური ხელსაწყო, რომლის შიგნით მიმდინარე პროცესი დამკვირვებლისთვის უცნობია, ხოლო მსჯელობის საშუალებას მხოლოდ შემავალი და გამომავალი ინფორმაციის თანაფარდობა გვაძლევს?! მგონი, ამ მეტაფორის გახსნის მცდელობისას მთავარია არა არჩევანის გაკეთება, არამედ მისგან თავის შეკავება.

მართლაც, თუ შავ ყუთს თვითმფრინავის ბორტზე არსებულ ჩამწერად განვიხილავთ, ერთი შეხედვით გასაგები შეიძლება აღმოჩნდეს ნიგინის კონცეფცია — ჩვენ ნინაშეა კრებული, რომლის მიზანიც, ამ სიტყვის თითქმის პირდაპირი მნიშვნელობით, ყველაფრის ასახვაა. თითქოს, არა პოეტურ კრებულს, არამედ ხმების დოკუმენტურ ჩანაწერს ვკითხულობთ. ამგვარი მიდგომა დიდ სირთულეს უქმნის ინტერპრეტაციას. ავტორისეული ხმა ან საერთოდ არ არსებობს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთ-ერთია მრავალ სხვას შორის. მაშინ, გამოდის, რომ თითოეულ ლექსს მხოლოდ ცალკე ალბომს აქვს მნიშვნელობა, მისი ინტერპრეტაცია კი ყოველგვარი კონტექსტისა თუ ჩარჩოს გარეშე, მხოლოდ მისი საკუთარი, „მნიშვნა“ მნიშვნელობის გააზრებით უნდა მოხდეს. განსახილველ კრებულთან მიმართებით, ასეთი მანიპულაციის ჩატარება, ერთი შეხედვით, უპრიანიც კი ჩანს, იმდენად მრავალფეროვანია მასში შემავალი ლექსები როგორც ფორმის, ასევე თემებისა და შინაარსის მიხედვით. თუმცა, ტექსტები ერთი ყდის ქვეშ გარკვეული მორიგობითაა მოქცეული, მათ ერთიანი სათაური აქვთ შერჩეული ავტორის მიერ და, როგორც ჩანს, გარკვეულ ერთობად მოიაზრებიან.

მეორე მხრივ, თუ „შავ ყუთს“ მისი კიბერნეტიკაში მიღებული მნიშვნელობით მოვიარებთ, მართალია, ზემოთ აღწერილი პრობლემების ნაწილი გადაიჭრება, სამაგიეროდ, მათ ადგილს სხვა (გ)ამოცანათა მთელი სპექტრი დაიკავებს. ასე მაგალითად, თუ „შავი ყუთი“ ბორტმწერი, მეტ-ნაკლებად გასაგები ხდება და დავას არ უნდა ინვესტირებთ საკითხში, რომ ჩვენ, მკითხველს ამ ხელსაწყოთი ჩანერილი მოვლენების სტენოგრაფია გვიპყრია ხელთ. ტარიელ ჭანტურიას კრებული ერთგვარი პიპოთეტური ფირის გამოფრვას შედეგია. მაგრამ, თუ „შავი ყუთი“ სათაურში კიბერნეტიკული სისტემის მნიშვნელობას ატარებს, მაშინ ის მეტაფორა გამოდის, რადგან დაბეჭდილი ნიგინი პირდაპირი მნიშვნელობით „შავი ყუთი“ ვერ იქნება. მკითხველს სხვა გზა არ რჩება, იფიქროს

ნიკოლოზ აგლაძე ივლისის თვისისა და ავიაციის შესახებ

მეტაფორის გახსნაზე და სცადოს დაადგინოს, თუ რა არის ან სად არის ეს „შავი ყუთი“.

ლოგიკურად დასაშვები ვარიანტები მრავლადაა. პირველ რიგში, „შავი ყუთი“ შესაძლოა გავიგოთ, როგორც ავტორის ცნობიერება, მისი თავი (რომელიც, მართალია, პირდაპირი მნიშვნელობით შავი აღარ არის, მაგრამ რთული კიბერნეტიკული სისტემის მაგალითად ნამდვილად გამოდგება). შევნიშნოთ, რომ ასეთი მიდგომა, სხვა მრავალის გარდა, საინტერესო შესაძლებლობას წარმოშობს, დავინახოთ სათაურის ერთგვარი გადაძახილი გალაკტიონის ცნობილ „არტისტულ ყვავილებთან“, რომელთა სრულ სათაურში (Crane aux fleurs artistiques) თავის ქალა ფიგურირებდა. მეორე მხრივ, „შავი ყუთი“ ბევრად იმპერსონალური და, შესაბამისად, რთული, უმართავი სისტემა უნდა იყოს. ამგვარად, ის შეიძლება აღვიქვათ, როგორც ენის, ან პოეზიის მეტაფორა. სწორედ მათი პრიზმით გარდატყდება სამყარო და შედეგად ვიღებთ პროდუქტს — კონკრეტულ კრებულს. მისი საშუალებით, მართალია, შესაძლებელი რეალური სამყაროს, ივ ბონფუას ტერმინით რომ ვთქვათ, პრეზანსის (ანმყოფობის) აღდგენა, მაგრამ არა იმ პროცესისა, რომელმაც გარესამყაროს კონკრეტული ფაქტების შესაბამის ლიტერატურულ ნაწარმოებად გარდაქმნა გამოიწვია.

3

სიყვარული ერთდროულად სიცოცხლე და სიკვდილია ლალატი და ერთგულეა კატორლა და იდილია.

სანამ „შავი ყუთის“ მრავალმხრივან და პოლივალენტურ მეტაფორას განვიხილავდით, ყურადღებას მიღმა დავტოვებ სათაურის შემადგენელი მესამე ლექსემა — „სიყვარული“. მართლაც, ხომ არ შეიძლება მისი გათვალისწინებით ტარიელ ჭანტურიასეული სათაურის ინტერპრეტაცია ნაკლებ საორჭოფო გახდეს?!

ერთი შეხედვით, სიტყვა „სიყვარული“ ზემოთ შემოთავაზებულ არც ერთ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, არც რაიმე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენს თამაშში (დიახ, სწორედ თამაშში, რომელშიც ავტორმა სრულიად ვირტუოზულად ჩაგვიტოვია, შეკითხვა დაგვისვა, თვითონ სცენიდან გავიდა და ჩვენგან პასუხს ელის). თუმცა, როგორც ნებისმიერ ჭეშმარიტ ლიტერატურულ გამოცანას შეჰფერის, ტარიელ ჭანტურია დამატებით მინიშნებას გვაძლევს. ლექსში მრავალმნიშვნელოვანი სათაურით „?“ ავტორი თითქოს ნიგინის კონტექსტისათვის სიყვარულის რელევანტურ განმარტებას, გააზრებას უნდა გვთავაზობდეს.

სხენებული ლექსის თუნდაც ეპიგრაფად გამოტანილი სტრიქონები ცხადყოფს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, მსგავსი არაფერი ხდება. ლექსში სიყვარულის ურთიერთგამომრიცხავ განმარტებებს შეერევა ასოციაციითა უმართავი ნაკადი, რომელიც ზოგჯერ არსებითებისა და ზედსართავების სახითაა მოცემული („ტირილია სიცილია / ლამაზია მახინჯია...“) ზოგჯერ კი გარკვეულ ნარატიულ მონაკვეთებად ფორმდება („კაბაც ბევრი უკერავს / და ტორტიც ბევრი უცხვიან“). სასვენი ნიშნების არქონა ტექსტის აბსოლუტურ დაუნაწევრებლობას უსვამს ხაზს და მასში რაიმე ნახის იერარქიის არსებობას გამორიცხავს. სულ ბოლოს კი, ჩნდება ლირიული მე, რომლის არსებობით მარკირებული პირველივე რეპლიკა ასრულებს ტექსტს:

„რა მაინც არეინ იცის რა თქმა უნდა არც მე ვიცი.“

4

ამას ნინათ ცხოვრება რომ თვალწინ ისევ ჩამიარა, გამიკვირდა, ის ცხოვრება სხვისი იყო, ჩემი — არა. დასავლეთის პოეზიის უზენაეს მიზნად, საზრისად წინა საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს, კოლეუ დე ფრანსში ნაკითხულ მოხსენებაში, დიდმა ფრანგმა პოეტმა ივ ბონფუამ ნიგინისა და ადამიანის პრეზანსის (ქართულ შესატყვისად



შესაძლოა პირობითად „ანმყოფობა“ გამოვიყენოთ, რადგან ფრანგული სიტყვა ერთდროულად რეალურ არსებობასა და დროსივრცულ კონკრეტულობას მოიაზრებს) შენარჩუნება დასახა. მისი აზრით, ენა შეიმუშავებს ცნებებს, რის შედეგადაც, მაგალითად, ვარდი მხოლოდ ბიოლოგიურ ლექსიკონში ასკილის გვერდით შეიძლება იქნეს განლაგებული. მაგრამ ვერ ითვალისწინებს, რომ იგივე ვარდი რამდენიმე ტიტასთან ერთად ერთად ძველი კედლის მახლობლად შეიძლება ყვავდეს. ობიექტისა და ადამიანისათვის სიცოცხლის, კონკრეტული და არა ცნებაში დატყვევებული არსებობის დაბრუნება პოეზიის მიზანია. ამის საშუალებას კი, ბონფუას აზრით, პოეზიას ხმა აძლევს: სწორედ ის ალვიძებს მეხსიერებაში საგნების რეალურობის განცდას, მათ პრეზანსთან დაკავშირებულ მოგონებებს და აღადგენს ახალ სიცოცხლეს, სათაურის სძენს განმარტებულ ცნებებს.

სწორედ ხმების სიუხვეა დამახასიათებელი კრებულისათვის „სიყვარულის შავი ყუთი“ ყველაზე მეტად. ავტორი თითქოს განზრახ მისისწრაფვის ურთიერთგამომრიცხავ, ან, სულ მცირე, აბსოლუტურად განსხვავებულ მოსაზრებებს, თემებს, დისკურსებს მოუყაროს თავი. ნიგინის ფურცლებიდან ისმის ჰომოფობიური და ტოლერანტული, სიკვდილით შემინებული და „უშიში, ვითარცა უხორცო“, მარადიულ საზრისებზე ჩაფიქრებული, თუ ყოველდღიურ საზრუნავზე მოწუნუნე ათეულობით ხმა. ამას გარდა, კრებულში გაერთიანებული ტექსტები საოცრად მრავალფეროვანია ფორმალური მახასიათებლების მიხედვით. მკაცრად გარიტმულ, კონვენციურ ლექსს აქ ვერლიბრი ან მონორიმი ენაცვლება, უზადო პუნქტუაციით გაფორმებულ ტექსტებს კი — ნერტილმიძიმეს სრულად მოკლებული ნაწარმოები.

სათაურის პოლივალენტურობითა და ტექსტების ნაირგვარობით კრებულში შექმნილ პოლიფონიას, რომ არ ვთქვათ, გაურკვევლობას, ტარიელ ჭანტურია, თითქოს განზრახ კიდევ უფრო ამძაფრებს და „სიყვარულის შავი ყუთის“, ალბათ, საუკეთესო ლექსებში სწორედ შესაძლებელა მრავალგვარობის, ვარიანტულობისა და ვარიაციულობის თემებს წამოსწევს ნინა. „?“-ის გარდა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, აუცილებლად ცალკე უნდა გამოვიყოთ ლექსი „ალტერ ეგო“, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ კონცეფტებზე თითქმის პირდაპირ მინიშნებას შეიცავს:

„მარტო ღილინებ! ხომ არ ჯობს — ადგეთ, ორივემ ერთად ჭექოთ! ... (ისე, რა ვიცი, იქნებ ღმერთსაც ყავს თავისი ალტერ ეგო)...“

5

ყველაზე მეტად მე თვითონ ამის გაგება მსურს... „სიყვარულის შავი ყუთის“ ავტორი ერვინ შრედინგერის შინაურ ცხოველს მოგვაგონებს. ვერასოდეს ვიტყვით დანამდილებით, არსებობს, მყოფობს თუ არა ის რომელიმე ლექსში. ღმერთის როლის

ერთ-ერთ განმარტებაში, პასკალი იყენებს მეტაფორას, „წრენიერი, რომლის ცენტრი ყველგანაა, მსაზღვრელი წირი კი — არსად“. სწორედ ამგვარ პოზიციას „სიყვარულის შავ ყუთთან“ მიმართებით მისი რეალური ავტორი — ტარიელ ჭანტურია. მართალია, ერთი შეხედვით, ტექსტები მან შექმნა და შესაბამისი თანამიმდევრობით მანვე დააღაგა, მაგრამ შედეგად მივიღეთ პარადოქსული სიტუაცია — ამგვარი მოქმედების გზით შექმნილი ნიგინის ფურცლებიდან არა ერთი — ავტორისეული — არამედ მრავალი ათეული ხმა „ჭექს“, ჩურჩულებს, ქიჩილებს, ხუმრობს, მოთქვამს, გოდებს, იგინება, მონატრებისა თუ სიყვარულისას მღერის... არც ერთი კონკრეტული, ცალკე ალბომი ლექსის მიმართ არ შეიძლება (თუ ასეთ მსჯელობას საერთოდ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ლეგიტიმაცია) ალბათობის რაიმე ხარისხით ითქვას, რომ ისინი ავტორისეული ხმის, ან მისი პოზიციის გამომხატველია. ამგვარი მცდელობა წინასწარ განწირულია, რადგან პიპოთეტური, ან იდეალური ავტორების, ალტერ ეგოების უზღვავე რაოდენობა, ფილმ მატრიცაში ავენტის სმიტების მსგავსად იკავებს ფურცლების მოყვითალო სივრცეს და რეალური ავტორის შეცნობის საშუალებას არ იძლევა.

ამდენად, სრულიად უაზროდ მესახება განსახილველი კრებულის ცალკეულ ლექსებზე საუბარი — მით უფრო, მათ მიხედვით ტარიელ ჭანტურიას პოეტის ანალიზი. მიზნად ამგვარი ავანტიურის განხორციელება რომც დამესახა, მრავალტომიანი კვლევა არ იქნებოდა საკმარისი და შედეგად არა ერთი, არამედ მრავალი (მშვენიერი, ზოგჯერ — გენიალური, სხვა შემთხვევებში — საეჭვო ნიჭის მქონე) უსახელო პოეტური ალტერ ეგოსადმი მიძღვნილ კრებულს მივიღებდით.

6

მისი ღვანტი, — ერთადერთის, ერთის — ...

კრებული „სიყვარულის შავი ყუთი“ თავად სიტყვა „ერთადერთის“ წინააღმდეგ მიმართულ თავისებურ მანიფესტადაც უნდა განვიხილოთ. ავტორი განზრახ და გამიზნულად არაფერზე აცხადებს მონობილიას; ვერაფერი სხვა: მეთოდ, ენა, მსოფლმხედველობა თუ სოციალური ნორმა იკავებს დომინანტურ პოზიციას კრებულის ფურცლებზე. იქნება ღია სტრუქტურა, რომელიც მრავალგვარად შეიძლება იქნას ნაკითხული. არ აკრებობს და მეტიც, არ შეიძლება არსებობდეს „სიყვარულის შავი ყუთის“ სწორი, იდეალური ინტერპრეტაცია. ცალკე ალბომი არც ერთი ნაკითხვა არ ხსნის ნიგინი დასმულ ყველა საკითხს და შექმნილი ჩიხიდან ერთადერთ გამოსავალს ყველა ზემოთ მოცხანილი თუ მკითხველის თავში გაჩენილი ინტერპრეტაციის ერთდროულად დაშვება წარმოადგენს.

ივ ბონფუასეულ გააზრებაში პოეზიის მიზანს კონკრეტული საგნებისა და ადამიანების პრეზანსის აღდგენა, „გაცოცხლება“ წარმოადგენს ხმის საშუალებით. „სიყვარულის შავი ყუთი“ ამ იდეის ერთგვარი განვითარებისა და ხელახალი, თავისებური გააზრების საშუალებას გვაძლევს. კრებულში ხომ არა ხმა, არამედ ხმებია თავმოყრილი. და შესაბამისად, ეს ხმები არა კონკრეტული საგნის, ან ადამიანის, არამედ მათი ერთობლობის, სისტემურად უსისტემო თანაარსებობის ანმყოფობას აღადგენენ. ამ გზით, „სიყვარულის შავი ყუთი“ სამყაროს პრეზანსს აცოცხლებს. დანაწევრებული, დაქუცმაცებული ხატების ნაცვლად კრებული ერთიან სურათს ქმნის: სივრცულ გამოხატულებას, რომლის მიზანია გარემოს ანმყოფობის აღდგენის გზით ადამიანს საკუთარი პრეზანსის დაფუძნების საშუალება მისცეს.

აქ კი შეუძლებელია არ მოვიხველიოთ „სიყვარულის შავი ყუთიდან“ გაძევებული, ექსორიაქმნილი სიტყვა — „ერთადერთი“. დანამდილებით უნდა ითქვას, რომ ერთადერთი თანამედროვე ქართველი პოეტი, რომელსაც მსგავსი მასშტაბის ამოცანის საკუთარი თავისათვის დასახვა და შემდგომ სრულად განორციელება შეუძლია — ტარიელ ჭანტურიაა. ტარიელ ჭანტურია, რომელიც ამ წლის თერთმეტ ივლისს ოთხმოცდახუთი წლის შესრულდა და მიუხედავად ამ ასაკისა, რჩება უმნიშვნელოვანეს ქართველ კონცეპტუალისტად, რაც მშვენიერი, მაგრამ დამაფიქრებელი ფაქტია.

კატო ჯავახიშვილი

დამთავალიარაგალი

უკან ბავშვობა და ცხოვრება და ამბები, რომლებსაც შლიდი და მაინც გახსოვს, ან არ გახსოვს და უკან შენს სახლს გაქცეული ფანჯრები და ფანჯრიდან უცებ გაპარვა ღამით, უკან ქალაქი, ყველაზე შენი, რომელშიც ცხოვრობდი და აგრძელებ ბრუნვას მარჯვენადან-მარცხნივ, ან პირიქით. ან ფარავ ვალებს, ან იღებ კრედიტს სიცოცხლისთვის. და უკან დედა, ბავშვობაში დარჩენა შენი და უცებ შვილი, შენხელას გავს და შენი შვილის პერანგი დაუთმო და, უნდა საუზმე გაამზადო, ისუნთქო უნდა, და მალევე დაიხრამ გაგახსენოს, რომ დრო არ არის, არცერთი დღისთვის, რომელსაც შენ მომავლით ხედავ. არცერთი წლისთვის, რომელსაც შენ მომავლით აცდი. და უკან ბრძოლა იმისთვის, რაც უკვე იყო, რითიც შორეულ წარსულში უშენო ღამე, იბადებოდა და კვდებოდნენ და ხნავდნენ მინებს და მოსავალი მაინც ისევ წვიმისა იყო და უკან მთელი სიყვარული, რომელიც უცებ მომავალს მოგთხოვს, და შენ დგახარ არსაით მდგომი, და იცი, რომ წინ არ არსებობს, ეს უკვე მოხდა და სულ არავინ არ გიჯერებს, რომ უკვე იყო და უკან დარდი მარტოობის, რომელიც მოვა და გახსოვს შენი მომავალი, რომელშიც ჩანხარ.

ქუჩიდან

ქუჩაა გადაღმა. ქარი და ბუნკერი. ბუნკერში კატა დაეძებს ნარჩენებს. გადაღმა ქუჩაა. გადმოღმა სახლებს აწყდება ქუჩა და ხეები ეზრდება. სახლს ვერსად ვაჭევ. მეზობლის ქალებმა გაკიდეს ამბები ძალიან ახლოს —

სადღაც ჩემს აივანს და ქუჩის სიცოცხლეს რატომღაც შორის. სადღაც ჩემს ფეხსანმენდს და ქარის მოტანილს ეხება, თითქოს. სადღაც ხომ ომია და ამბებს ერთმანეთს ცეცხლი აშორებს. სადღაც რომ სიტყვაა და მაინც რატომღაც ვერაფრით ითქმის —

რომ სადღაც ფანჯრებთან, ქალის მოუქნელი და ტლანქი ტანი ეყრდნობა დაღლას და, — სიზმრები, ამბები, რატომღაც სხვების. გადმოღმა ქუჩიდან — შვილები, დედები, რაფაზე დგანან. ქუჩაა გადაღმა და ქუჩის პირდაპირ ქალი არ იხდის.

სახლი ჩანს ფანჯრიდან, ნაჩხაპნი კედლებით სიჩუმეს მალავს. ქუჩაში მანქანებს ეტყობათ ზარმაცი თოვლი და სადღაც შორს, როგორც წერტილი, ბავშვები მიდიან სკოლისკენ, მალე გამოვლენ იქიდან დიდები და სადმე ღამეს

ვინმეში ნახავენ, იქ, სადაც აღმართებს იწყებ. ხელს იშვერ: გადაღმა ომია. გადმოღმა მგზავრები დუქანში სვამენ. გამვლელებს ხელები სურსათით ევსებათ. თვალები — შიშით. რამდენი ხანია ოთახში არავინ. ორი, არც სამი.

მოკლდება მანძილი ოთახებს შორის და იზრდება ქუჩის. ამ ქუჩის გადაღმა, ამ ქარის გადაღმა, გადაღმა სახლის. მეზობლის ქალებმა გაკიდეს ამბები ძალიან ახლოს — ამბების გადაღმა, ცხოვრების გადაღმა, გადაღმა სახლის. ქუჩაა გადაღმა და ქუჩის პირდაპირ ქალი არ იხდის.

შიშიდან

მე ვნატრობ შიშს და ვნატრობ სირცხვილს და ვნატრობ მანძილს. და ყველა დროს და ყველა რიცხვს, — ეს ხერხემლის მოხრა. და ყველა მოხუცს, ვინც ცხოვრებას ნახევრად გაძლებს. და ყველა ბავშვს — ვინც ცხოვრებამ ნახევრად ნახა.

მე ვნატრობ გზას და ვნატრობ დროს და ვნატრობ მერე. და ვნატრობ მაშინ, როცა დროა. ან დრო არ არის. და როცა გზისგან დაიცლები, — ვერაფრით გტკენენ. და როცა გზაა დასაცლელი, — არ გყოფნის ღამე.

და ნატრობ დღეს, ან ნატრობ ხვალ, რომ ნახევრად გაცვდე საკუთარ თავს და სანახევრო მომავლის სახლში დარჩე. თუ დროა გასანელი, — შეკუმშვის ნაცვლად. დარჩე. თუ დროა შესაკუმში, ეს როცა მნახველს

ვერაფრით იღებ, რადგან ნატრობ ყველაფრის ნაცვლად და ყველას ნაცვლად, ვინც დაბერდა და ნაცვლად — ვინც, ვერ. მაგივრად მათ, ვინც გაცოცხლდა, ან დროში გაცვდა და ნატრობ შიშს და ნატრობ სირცხვილს. და ნატრობ მერეს.

სიფხიზლიდან

ეს კარი არის შორის ჩემ და სიფხიზლეს. ანდა შორის ამინდებს. ანდა შორის ქვეყანას. იქნებ ეს კარი არის შორის ზმნას და არსებითს. განდობ ადრეულ გზებს და გვიან დაღლას. და გნიშნავ პირქვე

წოლით. და ჭერში დროის უცებ მოხაზვას თვალთ შორის ამინდებს. ანდა შორის ქვეყანას. იქნებ ეს კარი არის შორის ზმნას და არსებითს. განდობ ადრეულ გზებს და გვიან დაღლას. და გნიშნავ პირქვე

წოლით. და ჭერში დროის უცებ მოხაზვას თვალთ შორის ამინდებს. ანდა შორის ქვეყანას. იქნებ ეს კარი არის შორის ზმნას და არსებითს. განდობ ადრეულ გზებს და გვიან დაღლას. და გნიშნავ პირქვე

წოლით. და ჭერში დროის უცებ მოხაზვას თვალთ შორის ამინდებს. ანდა შორის ქვეყანას. იქნებ ეს კარი არის შორის ზმნას და არსებითს. განდობ ადრეულ გზებს და გვიან დაღლას. და გნიშნავ პირქვე

წოლით. და ჭერში დროის უცებ მოხაზვას თვალთ შორის ამინდებს. ანდა შორის ქვეყანას. იქნებ ეს კარი არის შორის ზმნას და არსებითს. განდობ ადრეულ გზებს და გვიან დაღლას. და გნიშნავ პირქვე

ბალიშის დაკვრა ცხელ ასფალტზე — ბუმბულის ტომრის თონის პურივით დაბრანული თხელი გვერდები. უკან ნასული არ მობრუნდეს, ან ვითომ გტოვებს, ვითომ შემთხვევით ამ ქუჩაში დგახარ, ბერდება

ქალაქი. სახლი. შორის ჩემ და სიყვარულს. თითქოს. ირწევა სადღაც შიმშილსა და სირცხვილებს შორის. „უნდა გავიდე ამ კარიდან“, — დგახარ და ფიქრობ. „უნდა დავბრუნდე“, — აქაც ისევ დგახარ. გაშვერილ

ქუჩებში ხალხი. სადღაც შორის ქვეყანას. ანდა. მახინჯი ბავშვის შუქნიშანთან ურცხვი თამაში. ქალაქი არც კი მახსოვდა კარგად, მგავდა თუ არა, ვიცოდი მხოლოდ, რომ ჩემიდან უნდა გამეშვა

სადმე. და ამბებს შორის ზმნას და არსებითს. ვაჩვევ ყოფნას და იქნებ გარდა ქვეყნის. ან შორის. სადმე. ხომ გვექონდა მთელი სავეს ღამე და ღამეს ქუჩა ძილის სანაცვლოდ, ხმაურიან სახლებში რგავდა.

ოთახიდან

ოთახი არ დარჩა სახლში. ორპირი ქარია. ცივი. და სტუმრად მოსული ქალი ოთახს ჩემიანად ცლიდა. ბარგი შეუკარი ნივთებს. თვალებს მივამაგრე ფარდა. ოთახი ნავიდა სადღაც. ოთახში უჩემოდ ლანდავს. ზურგიდან ფანქრების ტყე და წინიდან მაგიდა. ლამფა. ოთახში არ არის სკამი. ოთახი სახლიდან გაქრა.

და როცა ხმაურობს ქუჩა. და როცა მნახველებს იღებს. მთავრდება ხმაურით სავეს მაინც უწყინარი ის დღეც. ქუჩებში სახლები დგანან, და როგორც წვიმისას ძაღლებს ისე მათაც უნდათ ჩქარა, თავი შეაფარონ სადმე. ზურგიდან ქალაქი მოგდევს. წინიდან პოულობ ადგილს ოთახში, რომელიც გაქრა, ოთახში, რომელშიც დარჩი.

თვითმფრინავები

წურბელებით ამევსო პირი. ჩემ სიტყვებს ჭამენ დაუსრულებლად.

სიტყვა სიტყვას თუ აღარ ებმის, — ეს სიმუნჯეა?!. ჭამი წყალი თუ ადრე დაშრა, თვალმა მიმტყუნა?!.

სად არის ღმერთი, რომ ვარდისფერი ენის მიკვრით მყოფე სასაზე მივასრისო. საით მიდიან ჩემი ფიჭვისსუნიანი ნაბიჯები. მატარებლების უდღეური ფორმულებისკენ თუ იქით, სადაც ფეხებს უკვე ველარ ვენევი. რა საზიზღრად მგავს ეს ქალი, კომიქსებში რომ დაუხატავთ.

ზუსტად ისეთი თვალები აქვს, ამობრუნება არ სჭირდება. ყბის დასაფარად, მაინც ცოტას გავაბაცებდი.

თუ კაცი ომში ისე მიდის, თმას არ იჩეჩავს, ეს სიმშვიდეა?

თუ მუხლში უკვე წყალი ჩადგა, მხოლოდ მენისკი?..

თუ ხელები ვერ გვიგრძელებს სხვისი ამბისთვის?!.

თვითმფრინავები მოდიან ღამით გადარჩენილთა გადასაყვანად. ამბის გახსნას გადაუფრენენ. უცნაურია,

სიტყვა სიტყვას თუ გადაება, უკვე ლოცვაა, მე კი მინდოდა მეთქვა მარტო „ამინ“ და მორჩა.





მწერალი

თამთა მელაშვილი

ინტერვიუ თამთა მელაშვილთან „ლიტერატურულ გაზეთში“ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა, როცა მხოლოდ ერთი, თუმცა ძალიან ცნობილი რომანის ავტორი იყო. მას მერე დრო გავიდა, თუმცა მწერლისა და მისი ტექსტების მიმართ ინტერესი არ განელებულა. ქალი და ქალთა უფლებები საქართველოში თამთა მელაშვილის თემაა, მისი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი თუ პედაგოგიური საქმიანობის განმსაზღვრელია. ახლახან მწერალმა თავისი პირველი პროზაული კრებული გამოსცა და ის ქალები გაგვაცნო, რომლებსაც იშვიათად უსმენენ. დღეს ის მათი სახელითაც ილაპარაკებს.

— „გათვლა“ თქვენი პირველი რომანია. ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი წიგნი ქართული ლიტერატურისთვის და, ვიტყვოდი, ავტორისთვისაც, იმიტომ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა სწორედ „გათვლით“ გაგიცნოთ. ჩვენ „გათვლაზე“ წინა ინტერვიუშიც ვილაპარაკეთ, მაშინ ის ახალი გამოცემული იყო და თქვენ, როგორც წლის საუკეთესო დებიუტის ავტორი, როგორც „საბას“ ლაურეატი, მესაუბრეთ. თუმცა „გათვლის“ ამბავი ამით არ დასრულებულა, ის ძალიან სიცოცხლისუნარიანი წიგნი აღმოჩნდა, მისი თემატიკის, მისი ენის, შინაარსის გამო, და დღემდე განაგრძობს სიცოცხლეს. „საბას“ შემდეგ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მიიღეთ „ახალგაზრდული ლიტერატურაში გერმანიის ეროვნული პრემია“, ახლახან „გათვლა“ ქართული თეატრის სცენაზეც დაიდგა. მოკლედ, ინტერესი მის მიმართ არ ნელდება.

როგორ ფიქრობთ — ახლა, როცა მისი დაწერიდან უკვე წლები გავიდა — რა არის ამ რომანის წარმატების მიზეზი?

— მეც მიფიქრია, რატომაც „გათვლა“ ასეთი სიცოცხლისუნარიანი. თუმცა ფაქტი, რომ სიცოცხლისუნარიანია, რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს. დღევანდელ სამყაროში სწრაფად იცვლება ყველაფერი, შესაბამისად, დავინყებაც ჩქარა ხდება. ამიტომ, ამ ფონზე, როცა წიგნები, მაგალითად, ევროპულ ბაზარზე საშუალოდ ორი-სამი წელი ცოცხლობენ, „გათვლა“ მართლა დღევანდელი გამოდგა. გერმანულენოვანი ვერსია რამდენჯერმე გამოიცა რბილი ყდით, რაც იმას ნიშნავს, რომ წიგნი აინტერესებთ და იყიდება, დაიდგა სპექტაკლებიც გერმანიასა და შვეიცარიაში. მგონია, რომ რომანის მიმართ ინტერესი არც საქართველოში განელებულა. პირიქით, გამძაფრდა და ამას ძალიან შეუწყობს ხელი რეჟისორ გურამ მაცხოვრებლის სრულიად არაჩვეულებრივმა სპექტაკლმა. იმ დღემის მერე „გათვლა“ ბევრად მეტმა ადამიანმა გაიცნო. საბოლოოდ, წარმატების მიზეზი, ალბათ, მაინც თემატიკაა — ომი, ცოტათი სხვა, ახალი პერსპექტივით, თინიჯერი გოგოების თვალთ დანახული.

— მგონია, რომ თქვენი ცხოვრება ძალიან საინტერესო და განვითარდა, არა მხოლოდ მწერლობის თვალსაზრისით, არა მხოლოდ ლიტერატურის თვალსაზრისით, საზოგადოებრივ-სოციალური აქტივობის თუ პედაგოგიური საქმიანობის კუთხითაც. არ ვიცო, რატომღაც მგონია, რომ თქვენი ეს გზა, გარკვეულწილად, „გათვლაშიც“ განაპირობა. ასეა?

— არა, ასე არაა. ჩემი აკადემიური საქმიანობა, მწერლობა და აქტივიზმი ტექნიკურად არა, მაგრამ შინაარსობრივად კავშირშია ერთმანეთთან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვას, რა თქმა უნდა, „გათვლის“ გამო ვერ დავიწყებდი. დავიწყე იმიტომ, რომ შესაბამისი განათლება, პროფესია და, რაღა თქმა უნდა, დიდი მოტივაცია მქონდა. ძალიან მომწონს სტუდენტებთან ურთიერთობა, მეტად ცოცხალი და საინტერესო პროცესია ჩემთვის. მგონია, რომ დღევანდელი სტუდენტები ბევრად უკეთესები არიან, ვიდრე, თუნდაც, ჩემი თაობის სტუდენტები იყვნენ. ძალიან მომწონს ის, რომ სოციალურადაც აქტიურობენ და ამიტომ ყოველთვის ვგულშემოტივობ სტუდენტურ მოძრაობებს. რაც შეეხება ჩემ საქმიანობებს შინაარსობრივად, რა თქმა უნდა, იქ ბევრი რამ იკვეთება — პირველ რიგში ის, რომ აკადემიაშიც, აქტივიზმშიც და მწერლობაშიც ფემინისტი ვარ, მაქვს ჩემი ღირებულებები და პრინციპები.

— რაკი თქვენს საზოგადოებრივ-სოციალურ საქმიანობას შეეხებო, ბარემ გავაგრძელოთ: გენდერის სპეციალისტი ხართ და გენდერის მაგისტრის ხარისხი გაქვთ. კითხვობთ ლექციებს თემაზე: „ქალთა ისტორიის შექმნა, თეორიები,

მეთოდოლოგიები და არქივები“. ქალების თემა ძალიან მტკივნეული და საყურადღებო თემაა თანამედროვე საქართველოში. ეს თქვენი თემაა. მის მნიშვნელობაზე გვითხარით, და იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდით, თუ შეიძლება ითქვას, ქალთა მოძრაობის ეპიცენტრში.

— ამჟამად ვერ ვიტყვოდი, რომ ეპიცენტრში ვარ. ეს უფრო ადრე, რამდენიმე წლის წინ იყო, თუმცა ქალთა და ქალებთან დაკავშირებული საკითხები დღესაც უპირველესი მნიშვნელობისა ჩემთვის და ბოლომდე ასე იქნება. ქალთა ისტორიის რაც შეეხება, ბოლო რამდენიმე წელია, დავინტერესდი და, პრინციპში, ეს თემა გახდა ჩემი ერთგვარი აკადემიური აქტივ-



იზმის ფორმაცა და გამოხატულებაც. საქართველოში ძალიან შინაარსიანი და მრავალფეროვანი ფემინისტური წარსული, ნამდვილად საამაყო მემკვიდრეობა გვაქვს, რომელსაც ინტენსიური კვლევა, წინ წამოწევა და საჯარო სივრცეში წარმოშობა სჭირდება. ამ მხრივ, მისარია, რომ ჩემი კონტრიბუცია გამაჩნია. ძალიან მეამაყება, რომ კატო მიქელაძის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფემინისტის კრებულზე ვიმუშავე, რომელიც ჰაინრიხ ბიოლის ფონდმა გამოსცა და, სხვათა შორის, ახლახან კრებულის ხელახალი ვერსია დაიბეჭდა, რაც, ასევე, ნიშნავს, რომ ის წიგნიც ძალიან სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და ინტერესი მიქელაძისა და, ზოგადად, ქართული ფემინიზმის ისტორიის მიმართ, ძალიან იზრდება. მომავალშიც ამ კუთხით ვაპირებ მუშაობას და მინდა, რომ ჩემი სადოქტორო კვლევაც საქართველოში ქალთა საქმიანობის წარსულს მიუვლიდნა. განსაკუთრებით აღმაფრთოვანებს და მოტივაციას მმატებს ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ფემინისტი წარსულში, ასევე, მწერალი გახლდათ, მათ შორის, მაგალითად, ძალიან ცნობილი ეკატერინე გაბაშვილი. მათთვის მწერლობა ერთგვარი ფემინისტური აქტივიზმის ფორმა იყო. ეს ჩემთვისაც ასეა, რაც ძალიან მომწონს და ალბათ, გარკვეულწილად, ჩემს ემოციურ ბმასაც რაღაცნაირად უფრო ინტენსიურს ხდის ძველ ფემინისტებთან. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ ქალთა ისტორიის წერა ახლა საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი და პოლიტიკური პროცესია. აუცილებელია, ვიცოდეთ ის, რაც იყო და რაც მიზანმიმართულად დაივიწყეს. ეს, პირველ რიგში, საქართველოში ქალთა თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიას შეეხება და იმ სახელების ცოდნასა და დამახსოვრებას, ვინც იმ ბრძოლაში მონაწილეობდა — იქნება ეს ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი, კატო მიქელაძე თუ სხვა ნაკლებად ცნობილი, უსამართლოდ დავიწყებული სახეები და სახელები.

— სამწუხაროდ, აქამდე არ ვიცოდი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს გენდერის კვლევის

პროგრამა. განათლება, ალბათ, აუცილებელია ქალთა უფლებების დაცვის და, საერთოდ, საზოგადოების ღირებულებების ჩამოყალიბების, რაღაცების გადაფასების, პოზიციის თვალსაზრისით. და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს სწავლება აკადემიურ სივრცეში მიმდინარეობს.

— დიას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამა უკვე რამდენიმე წელია, არსებობს და ბევრი ისეთი კურსდამთავრებული გვყავს, ვინც დღეს საზოგადოებრივ საქმიანობასა და ქალთა აქტივიზმში ინტენსიურადაა ჩაბმული და ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. ფემინისტური ინიციატივა იქნება, თუ რაიმე სხვა ტიპის გაერთიანება ან ნამოწყება, შეუძლებელია ჩვენი კურსდამთავრებული არ მონაწილეობდეს. მაგალითად, ძალიან ცნობილ და პოპულარულ პლატფორმაზე „ქალები საქართველოდან“ სწორედ ჩვენი კურსდამთავრებულები — იდა ბახტურიძე და მაიკო ჩიტაია მუშაობენ. ასევე, ძალიან მეამაყება ის, რომ ორიოდე თვის წინ გენდერის კვლევის ინსტიტუტმა გამოსცა

„მესამე რომანის დაწერა მინდა“

პირველი თემატური აკადემიური ჟურნალი „ხმა ქართველი ქალისა“. ჟურნალს ზუსტად იმ ფემინისტური გაზეთის სახელი დავარქვით, რომელსაც კატო მიქელაძე გამოსცემდა 1917-1918 წლებში, ქუთაისში. ერთგვარად, აღვადგინეთ გამოცემა, ოღონდ, სამეცნიერო-პუბლიცისტური გამოცემის ფორმა მივეცით. ჟურნალში აკადემიური ნაშრომები ქვეყნდება, ფემინიზმსა და გენდერს რომ მიუძღვნეს ავტორებმა, ის ნაშრომები ჩვენს სივრცეში შეიქმნა, ავთენტურია და წარსულისა და დღევანდლობის გადაზრენას ცდილობს. მგონია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია.


— თქვენ ხომ ბუდაპეშტში მიიღეთ გენდერის მაგისტრის ხარისხი. იქ რა ვითარებაა, რამდენად განსხვავებულია საზოგადოების მიდგომები, ან რითი შვავს ჩვენსას, თქვენ როგორ აღმოჩნდით იქ?

— დიას, მე ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში ვისწავლე. ის პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში იმიტომ, რომ ცოდნით გავამყარე ის, რაც ჩემთვის მანამდე გაუცნობიერებელი იყო ან შეიძლება გაცნობიერებულიც, მაგრამ ისეთი, რასაც სახელს ვერ ვარქმევდი. იგივე ფემინიზმი, მაგალითად, როცა გავიგე ფემინიზმი რა არის, მივხვდი, რომ ფემინისტი ვარ. თან ფემინისტი ვარ, რაც თავი მახსოვს — გამოდის, რომ ღრმა ბავშვობიდან. ჩემ თავსაც დავარქვი ფემინისტი. ეს, ალბათ, სადღაც ათი წლის წინ მოხდა ან შეიძლება უფრო ადრეც. მაშინ ფემინიზმს ნაკლებად იცნობდნენ და ერთი-ორი შერისხული ფემინისტი თუ ჩანდა საჯაროდ, თუმცა მე ჩემი თავის ასე იდენტიფიცირება არ გამჭირვებია, არ შემშინებია და არც მომრიდებია. დღეს ბევრად მეტი ქალი არქმევს თავს ფემინისტს, მათ შორის საჯაროდაც და მათ შორის, ძალიან ახალგაზრდებიც, სრულიად არაჩვეულებრივი გოგოები. ფემინიზმს ნამდვილად აქვს მომავალი საქართველოში.

— ქალებს უკავშირდება თქვენი მხატვრული ტექსტებიც, თითქმის ყველა ტექსტი, რაც კი დაგინერათ. „აღმოსავლეთი“ — თქვენი მეორე რომანია, რომელშიც მთავარი ქალია. მკითხველისთვის ერთგვარ ინტრიგად იქცა ან-

ოტაცია, სადაც ახსენებდნენ ელენე დარნიანის „საიდუმლოებით მოცულ ისტორიას“. თუმცა ავტორმა მზამზარეულად არ მიართვა საზოგადოებას ყველა პრობლემისა თუ ყველა საიდუმლოს გასაღები, შესაბამისად, შეფასებები ორგვარი იყო, ზოგი ცოტა იმედგაცრუებულიც დარჩა. მითხარით, როგორ ინერტობდა „აღმოსავლეთი“ და როგორც ავტორს, რა ამოცანა გქონდათ, რა სურვილი გამოძრავებდათ?

— „აღმოსავლეთით“ ჩემი საყვარელი რომანია. ის „გათვლაზე“ მეტად მიყვარს, შეიძლება იმიტომ, რომ „გათვლისგან“ სრულიად დისტანცირებული ვარ. გარდა ამისა, მგონია, რომ ის არანაკლები ტექსტია, ვიდრე „გათვლა“. არ ვიცი, შეიძლება უხერხულია ამის თქმა საკუთარ რომანზე, მაგრამ „აღმოსავლეთით“ კარგად დანერგული წიგნია. უბრალოდ, როგორც აღმოჩნდა, არსებობს თემები, მაგალითად, ომი, რომელიც აქტუალურად ითვლება და რაზეც ადამიანები ინყებენ მსჯელობას; და არსებობს თემები, სადაც ტოტალურ დუმილს ამჯობინებენ. ვაგინიზმით და დეპრესიით დატანჯული ერთი რიგითი ახალგაზრდა ქალის ისტორია აღმოჩნდა ის თემა, სადაც დუმილი გახდა უპირატესი, როგორც რეაქცია. მე მესმის ის ერთგვარი იმედგაცრუებაც, რაც ელენე დარნიანის თემატიკამ მოიტანა. ყველამ ჩათვალა და, შესაბამისად, ასეთი მოლოდინიც გაჩნდა, რომ წიგნი იქნებოდა პაოლო იაშვილისა და ელენე ბაქრაძის ვენებიან სიყვარულზე, მთელი თავისი დრამებითა და თავგადასავლებით. საბოლოო ჯამში, კი მკითხველს ის ისტორია მშრალი ბლოგის სახით შევაჩერე, თანაც, ის ამბავი, რომელსაც მთავარი გმირი — ახალგაზრდა ქალი იგონებს და თხზავს. ეს სრულიად მიზანმიმართულად გავაკეთე — ჩემი მიზანი არ ყოფილა მერვენიზინა, რა კარგია, როგორი ვენებიანი და დრამატულია ქალისა და კაცის სიყვარული და ეს პაოლო იაშვილისა და ელენე ბაქრაძის სასიყვარულო ურთიერთობის ვერსიაზე ამეგო. პირიქით, მე ვაჩვენე დღევანდელი ადამიანების სასიყვარულო ურთიერთობა, ვაჩვენე, თუ რატომ არის, უმეტეს შემთხვევაში, ილუზორული, დამანგრეველი, ტყუილზე ან დუმილზე აგებული რომანტიკული ურთიერთობა ქალსა და კაცს შორის. პეტერორომანტიკული ზღაპრის დაწერა კი არა, მისი დეკონსტრუქცია მინდოდა. მგონია, რომ გამომივიდა, მაგრამ მკითხველისთვის ეს არ აღმოჩნდა მთლად მისაღები. ესეც მესმის. ადამიანების უმეტესობას მითებით და ილუზიებით ცხოვრება ურჩევნია, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ამ პროცესში, ალბათ, მაინც ის წეროლები იყო, რომელსაც სოციალურ ქსელში უცნობი თუ ნაცნობი ქალებისგან ვიღებდი, სადაც მეუბნებოდნენ, რომ ეს მოდათ და გრძნობდნენ იმას, რაც ამ რომანში მთავარია. ეს მოდათ ირინასი, მთავარი გმირის, მისი ემოციების, განცდების, მისი დუმილის, დეპრესიის, იმედგაცრუების. მგონია, რომ ეს ავტორისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა — მკითხველმა ასეთი რამ გითხრას, თან პირველ რიგში, მკითხველმა ქალებმა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უარყოფილი იყვნენ, მათ შორის, როგორც მკითხველები.





— ახლახან თქვენი პირველი პროზაული კრებული გამოვიდა — „მარინეს ანგელოზები“, რომელშიც 2006-2017 წლებში დაწერილი მოთხრობებია შესული, თუმცა, მათ რაღაცნაირად ტექსტი-მანიფესტები მიჩვენია ვუნოდო. იმ ტექსტებიდან ზოგიერთი „წეროს“ გამარჯვებულია, ზოგიც „15 საუკეთესო მოთხრობის“ სხვადასხვა წლის გამოცემებში მოხვდა. თითქოს მრავალი ხმა გაერთიანდა და ქალებმა სცადეს, ასე მიეწვინათ ხმა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. ძალიან ეფექტური იყო მარინესნაირი ქალების თავმოყრა და ჩვენ წინაშე დაყენება.

— გმადლობ. მეც ასე მგონია, თუმცა კრებული საკმაოდ პატარაა, მასში მხოლოდ 8 მოთხრობაა და ვფიქრობდი, რამდენად ღირს-მეთქი მისი გამოცემა. თუმცა, მერე მივხვდი, რომ კონცეფციის გამო ღირდა. კრებულში რვავე მოთხრობა ქალებზეა, სხვადასხვანაირი, თუმცა მაინც მარგინალ ქალებზე, ვინც არ ჩანს, ვისი ხმა არ ისმის, მითუმეტეს, ლიტერატურაში. ეს იქნება ნარკოდამოკიდებული, პენსიონერი თუ ლესბოსელი ქალი. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გამომცემლობას „ნიგნები ბათუმში“. როდესაც იდეა შეეთავაზა, ისე აიტაცეს, რომ მოტივაცია, კრებული გამოემცა, გამოიშვა. ასევე დიდი მადლობა დიზაინერ ნატა ავალიანს, რომელმაც სრულიად არაჩვეულებრივი ყდა შექმნა კრებულისათვის.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად აუცილებელია მწერლების საზოგადოებრივ-სოციალური აქტიურობა? ვგულისხმობ შესაბამის თემებზე შექნილ მხატვრულ ტექსტებს, ერთგვარ მანიფესტებს.

— დღეს ყველა მწერალი უნდა იყოს პოლიტიკური. თუ მწერალი პოლიტიკური არაა, ის ჩემთვის მწერალიც არ არის. „პოლიტიკური“ ვგულისხმობ იმას, რომ სხვადასხვანაირი ფორმით, და არა მხოლოდ მწერლობით, უნდა ეხებოდეს აქტუალურ თემებს, როგორც ლოკალურად, ასევე გლობალურად. მწერალი ხან მიწისა და ხან ცის არ არის, ის ერთმნიშვნელოვნად მიწისა და მისი მოვალეობა სწავლება და დამოძღვრა კი არა, კითხვების დასმა მგონია. კითხვების დასმა და დაფიქრება იმ საკითხებზე, რაც ადამიანებს ანუხებთ ამ და, თუნდაც, სხვა ქვეყანაში. ვგულისხმობ სოციალურ საკითხებს, მაგალითად, მუშათა საკითხებს, ქალთა საკითხებს, გარემოს დაცვას. მე ძალიან მომწონს, რომ ამ მხრივ ბევრი ახალი ხმა ჩნდება ქართულ ლიტერატურაში, ქალებისაც და კაცებისაც, ისინი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს ახმანებენ ლიტერატურაში და თავადაც იმ ჯგუფებიდან არიან. ეკა ქვეანიშვილი, მაგალითად — ალექსო შულღაძე, ზურა აბაშიძე, ცოტნე ცხვედიანი.

— ახლა თუ მუშაობთ ახალ ტექსტზე? ან რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში?

— ამჟამად არ ვწერ, მაგრამ მაქვს იდეა. მესამე რომანის დაწერა მინდა, რომლისთვისაც დრო და მომზადება მჭირდება. პირველ რიგში, ემოციური მომზადება. ეს არ იქნება მარტივად დასაწერი ტექსტი. მინდა, გულაგში ქალების გამოცდილება აღვწერო და ამას ემოციური მომზადების გარდა, სხვა მომზადებაც სჭირდება. მეტის ცოდნა საბჭოთა ტოტალიტარიზმზე. ეს პროცესი დავიწყე და მინდა, გითხრა, ძალიან რთულია. ერთი ძალიან ცნობილი ავტორის წიგნს ვკითხულობდი გულაგებზე და იმდენად მძიმე იყო, რამდენჯერმე წიგნი გვერდზე გადავდე. ვეღარ წავიკითხე. ამიტომაც, მგონია, რომ სხვა ბევრ რამესთან ერთად, ის ტექსტი ემოციურადაც ძალიან დატვირთული იქნება ჩემთვის. წიგნის დაწერა არაა მხოლოდ მუშასთან ურთიერთობა და რაღაც ზეციური პროცესი. არცერთ შემთხვევაში. წიგნის წერა შრომაა და ჩემთვის, პირველ რიგში, ემოციური შრომა.

— როგორც ვიცო, სულ მალე მიემგზავრებით ჩხეთში, სადაც, სხვა ქართველ მწერლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებთ საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ავტორთა კითხვის დღე“.

— დიახ, ფესტივალი წელს მეთვრამეტედ ტარდება, ის ჩხეთის ქალაქ ბრნოდან დაიწყება და ოთხ ქვეყანასა და ხუთ ქალაქს მოიცავს. ტრადიციულად, ყოველ წელს ფესტივალის საპატიო სტუმარი ერთი კონკრეტული ქვეყანა და მისი ოცდათერთმეტი ავტორია. ამჯერად, საპატიო სტუმრის სტატუსი საქართველოსა და ქართველ მწერლებს ერგო, რაც ძალიან სასიხარულოა. ეს ნიშნავს, რომ მთელი ერთი თვის განმავლობაში ვიმოგზაურებთ სხვადასხვა ქალაქში, გაემართავთ საჯარო კითხვას, შევხვდებით აუდიტორიას, ძალიან ცოცხალ და საინტერესო პროცესში ჩავერთვებით. ეს ნიშნავს იმასაც, რომ საქართველოსა და ქართველ ავტორებს უფრო ახლოს გაიცნობენ და ასე მგონია, ნაკლებად სტერეოტიპული წარმოდგენა შეექმნებათ ჩვენს ქვეყანაზე. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქართველი ავტორების ტექსტები იმ ოთხი ქვეყნის ენებზე ითარგმნება.

— რომელია თქვენთვის ძირითადი საქმიანობა — მწერლობა თუ საზოგადოებრივი სარბიელი?

— ორივე. ხან ერთი, ხანაც მეორე. ასე უფრო კომფორტულია ჩემთვის — მეტი სივრცე მოქმედებისთვის. გარდა ამისა, ასე უფრო საინტერესო და ინტენსიურია ჩემი ცხოვრება. თან ორივე სფერო ისეთია, სადაც მომწონს ყოფნა; უფრო მეტიც — მიყვარს და სიცოცხლისუნარიანობისა და შინაარსიანობის შეგრძნებას მანიჭებს. მგონია, ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია.

ესაუბრა თამარ ჟურული

გიორგი კეკელიძე

სამშობლო

თანამოსასმენი — Massive Attack — Black Milk

1.

თქვენი სტომაქის ასავსებად სიტყვა არ მყოფნის: ქარი თქვენი მწყალობელი შაშვივით გალობდა და წამოვიდა. აღარც მახსოვს, მართლა იყო თუ არა იყო რა. იყო ერთი უბედური მეზადური და ქალი.

(ოთხი საქმე. გამოსვლა)

2.

მშვიდად ვინეკი, ცაზე ღრუბლის ნეკნებს ვითვლიდი, ცრულ რომ შემოიპყრეს და დილეგში გამომანყვდიეს. მწყუროდა და წყალი მონამლეს, მშობოდა და პური ძაღლებს უწილადეს. ჩემი კვარტი დახიეს და ცოლებს წესთა დღისთვის დაუყვეს. მათ პირი შეკრეს. მე შიშის თასმით სუნთქვა შევიკარი და ლოცვები დავიგუებ. ხოლო სამსჯავროზე სხვა კაციც იდგა და ხალხმა მე მომიტევა. მშვიდად ვწევარ, ცაზე ღრუბლის ნეკნებს ვითვლი.

(დაბადება)

3.

ჩემი კოჭი ფეხმძიმეა უცხო სულით, ხოლო კლდე შეკრთა — ბუნვის ხიდი დაახამხამა. დაფრთხა შავი აქლემი და გაჯიუტდა. ამოვიღე ბუმბული და მოვიხმე. მოფრინდა მშვიდი ფასკუნჯი, შემისვა ზურგზე და გავფრინდით. დაეკალი აქლემი და ხორცს ვანვდიდი. ვერ გაძღა და ფრთა გაეყინა — მე სისხლი, შემემინდა, მოვიჭერი სარცხვინელი და ვაჭამე.

(შვილი. შიში)

4.

ის ბოძთან ცეკვავდა და ყვავილების ქამარს უწნავდა — ჩემი სული ბოძში ეგონა. გამეცინა და მივასწავლე: „ცხრა ზაფხულს იქით, შემოდგომის პირზე თეთრი ირემი ქვას ძოვს, დანის პირზე დგას და ეშმაკს სიფრთხილე შეპირდა — ისე ჩქარია, გაფრენისას ჩრდილი წყდება. ირმის რქებში, აჯანყებულ ძარღვებით რომ გამოჩრია, ჩემი სული გამოქსოვა მწვანე ობობამ“. სუნი მცემდა და სუნმა გასცა — ნავიდა ცოცხის უკან დამალული ვაჭი ირმის მოსაკლავად — ქალი მეხვევა და მილიმის — ვწევარ წითელ წყალში, ათას თვალს ვატრიალებ, ვეხვევი და ვტირი.

(სხეული. ტკივილი)

5.

ვთქვით — მთებს, ჩვენი მიწის ჩალურჯებულ მუხლებს მზე გუშინდელი სისხლივით აჩნდა და დედამ არ მობანა ანუ საღამოა, რომელსაც ვერ წაშლი, თუნდაც ჩვენი თმები დაეუნთოთ ნათლიას და ღამე შევთხოვოთ ან დილა შევთხოვოთ ან შუა დღე შევთხოვოთ და ხან, როცა მზერა უკან გამექცევა — გაუმვას — შევთხოვოთ. ნათლია მკაცრია, თხილის სალამურით და მწვანე წეკლებით მოდენის გაქცეულს და კვლავაც საღამოს მკვდარ მინდვრებს აძოვებს. მე ვზივარ სახლის წინ, ცოცხის ტარს ვაბოლებ, შენ კი მთელი წელი მილოკავ მუხლებს და კოჭებს და ხერხემალს.


ყოველ დიდხუთშაბათს (როცა სადაცაა) მჭედლები მოდიან და ისევ მამრთელებენ.

(მოსვლა. ამირანი)

6.

თბილი ოთახიდან მთვარის თოვლში ამოსვლა ნიშნავს ღამეს, დაობებულ საპურეს რომ გავს. ხოლო სიზმარში დღე ჩამესმის. ათასი ხმა და ნაბიჯი ათასი წლის ამბავს მაგონებს — მზემ დამწყევლა და ასე ვწევარ. დედაჩემი — ჩემი უნებლიე ცოლი მივლის და გარს მივლის, ჩემი თვალის გასაღებს ეძებს. საღამოსხანს ნავა და ვიღვიძებ. თბილი ოთახიდან მთვარის თოვლში ამოსვლა ნიშნავს ღამეს, დაობებულ საპურეს რომ გავს. სიჩუმეა. სხვების ნაკვალევს ვაკვირდები, სახლს ზურგზე ვიკიდებ და მივდივარ.

(გზა. დღისით მკვდარი)



კატო ჯავახიშვილი

ტყუილი

ჩემი შვილები გამრავლდნენ. ისინი გადაიქცნენ: დედად, მამად და შვილებად. დედა-შვილი, მამა-შვილი, ნამდვილად ჩემი შვილი და მე გავმრავლდით და გადავიქციეთ სამშობლოდ. სამშობლო მწარე ხახვია. ვტირი.

სთხოვეთ, როგორღაც დამირეკოს, მელაპარაკოს. როგორც ძილის წინ საკითხავი, ისე მომიყვეს, რომ გამთენიას კაცმა მოკლა ცოლის ტანი და მერე უცხვირო თოჯინიდან ქალი ააწყო. ეს წვრილკისურა ბავშვები კი, როგორც სტუმრები, წრეზე უვლიდნენ მშობლიურ სახლს, თითქოს საკუთარ, უპირობო ცხოვრებაში დააგვიანდათ. იმ ცხოვრებაში, ერთხელაც კი რომ არ ყოფილან იმ ცხოვრებაში, სადაც ზამთრის სქელი „ჯემპრედან“ ხელის ჩუმად გადმოცოცება ნიშნავს შიმშილს, ან სათამაშოს გადმოვარდნას სახლის სხვნიდან. და როცა უწვერული მღვდლები ჯიპებში ჩასხდებიან და ზურგზე ეკლესიანამოკიდებულები სამშობლოში დადგებიან და ექსპორტზე გატანილი ჩემი ტანი ელექტროენერგისავით სწრაფად გაიყიდება, როცა პრეზიდენტი იტყვის, რომ კონსტიტუცია უნდა დაინეროს ჩემი შეცდომებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლადაა დასაშვები, ამ დროს კი ეროვნული ვალუტა ასაკოვანი ბოზივით გაუფასურდება, როცა ავტოსავაზო შემთხვევის შედეგად გადარჩენილები

სიკვდილის უფლებას მოითხოვენ და მეშახტეები ჯერ მოკვდებიან და მერე გაიფიცებიან, როცა ლურჯი ვეშაპი ჩვენი შვილების ღამეანთებული მონიტორიდან თეთრ კბილებს და შავ ზღვას აატორტმანებს, როცა გავიგებთ, რომ ქალს სახელად ნ. აქვს ათი ზომა ძუძუ და შესაფერის ბიუსტჰალტერს ვერაფრით შოულობს, როცა ერთად ნოლა გახდება ფიზკულტურის გაცდენილი გაკვეთილი და ფესვებამოყრილი ხეები მიწაში ვეღარ მოთავსდებიან და როცა ყველა ადამიანი გამოიყენებს დუმილის უფლებას და უდანაშაულობის პრეზუმცია გახდება თვალის ამოთხრაზე ოდნავ მეტი და როცა სადარბაზოებში გაუპატიურებული პატარა ბიჭები ტყუილს იტყვიან და დიდი კაცების სასქესო ორგანოებს დაივიწყებენ და გოგოები პირველ ღამეს მზითვად ნაბოძი ძროხებივით გაატარებენ, რომ ცხრა თვის შემდეგ ჩამოწველილი შვილებით გაამართლონ თავიანთი არსებობა და როცა საერთაშორისო ფონდები სახეზე მოჩვენებით მზრუნველობას აიფარებენ და სახალხო დღესასწაულები ჩატარდება ხალხის გარეშე და ქუჩებში ივლიან ადამიანები, რომლებიც წლებია წიგნებს გაზის, შუქის და ნავის ქვითრებზე კითხულობენ და როცა ევროპისკენ მიმავალი გზა მშვიდი ბავშვების თვალელებზე გაივლის და როცა შინაგან საქმეთა სამინისტრო ზეგ დილით მალაზიიდან კარაქის მოპარვის ფაქტზე ორ პირს დააკავებს: 19.. რაღაც წელს დაბადებულ ბ.კ.-ს და ა.გ.-ს, რომლებმაც უკვე დაბადებიდანვე ყველაფერი დააშავეს,


სთხოვეთ სამშობლოს, რამე მითხრას, მელაპარაკოს.

„პლუადის“ წევრობის შესახებ შეტყობინების ცნობა ყველაზე დიდი პედნიერება იყო ამ მწერლის ცხოვრებაში, თუმცა უკვდავი შედეგების ავტორისათვის ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. 2016 წელს „პლუადამ“ რჩეულთა რიგებში მიიღო მარიო ვარგას ლიოსას ვრცელი და დიდი პროზაული შემოქმედება. ოთხმოცი წლის პერუელი მწერალი შარშან, მარტში, დიდი ლიტერატურული თანაგვარკვლავების ცოცხალ ლეგენდად იქცა.

მარიო ვარგას ლიოსა გახლავთ 12 რომანის, უამრავი მოთხრობის, სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომისა და პიესის ავტორი; ასევე — 2010 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. არის უამრავი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი. მისი პირადი ცხოვრება უცნაურობებითაა აღსავსე. 19 წლისას შეუყვარდა თავისი ბიძის ცოლი, 10 წლით უფროსი ხულია ურკიდი, რომელსაც უძღვნა რომანი „დეიდა ხულია და ვაი-მწერალი“. ლიოსამ სანადელს მიადნია და იქორწინა კიდევ ხულიაზე. 1964 წელს, მასთან განშორების შემდეგ, ცოლად შეირთო თავისი ბიძაშვილი პატრისია, რომელმაც სამი შვილი გაუჩინა. ერთ-ერთი მათგანი — ალვარო ვარგას ლიოსა — მწერალი გახდა. 2015 წელს, პატრისიასთან 50 წლის თანაცხოვრების შემდეგ, მარიომ ენრიკე ივლესიასის დედაზე, 64 წლის იზაბელ პრესლერზე იქორწინა. აი, ასეთი უხმოსავლიანი გახლავთ ბატონი ლიოსას ცხოვრება და შემოქმედება. ქართველი მკითხველი მწერალს იცნობს ამირან გაბესკირიას („ქალაქი და ძაღლები“, „დეიდა ხულია“ — „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) და ლანა კალანდიას („ვაცის ნადიმი“, „ცუდი გოგოს ოინები“ — გამომცემლობა „ინტელექტი“) თარგმანებით. ვთავაზობთ მის ინტერვიუს ციკლიდან „დიდი საუბრები“, რომელიც ალექსის ბროკამ ჩამოართვა.

მთარგმნელი

მარიო ვარგას ლიოსა: „თუ ლიტერატურას სიკვდილი უნერია, ეს მწერლის ხელით არ უნდა მოხდეს“



— „პლუადის ბიბლიოთეკა“ ყველა თაობის მწერლისათვის ერთგვარი ტაძარია. რა შეგრძნებაა მისი წევრობა?

— „პლუადის“ არსებობა ახალგაზრდობაში, ჯერ კიდევ ყმაწვილმა, აღმოვაჩინე და გადავწყვიტე, სან-მარკოს უნივერსიტეტში, ლიმაში გამეგრძელებინა სწავლა ფილოლოგიისა და სამართლის ფაკულტეტზე. პარალელურად კი „ფრანგულ ალიანსში“ გაწევრიანდი. ჟიულ ვერნის, ალექსანდრ დიუმას და ვიქტორ ჰიუგოს მოკლემარევიანი ბიჭების საკვირველი თავგადასავლებით მოხიბლულს ფრანგული ენის შესწავლა მინდოდა. მათი უსაზღვრო გავლენის ქვეშ მყოფს, როგორც ყველა სამხრეთამერიკელ ახალგაზრდას, მეც მიმაჩნდა, რომ პარიზი კულტურისა და ხელოვნების დედაქალაქი იყო და, რომ სწორედ საფრანგეთიდან იმართებოდა მსოფლიო ლიტერატურა და ხელოვნება. დიას, ვფიქრობდი, რომ ყველას, ვისაც ლიტერატურა და ხელოვნება იტაცებდა, ამ სფეროს ავანგარდში მოსახვედრად, აუცილებლად საკუთარ ტყავზე უნდა გამოეცადა ფრანგული ინტელექტუალური სკოლის ავ-კარგი. აი, ამიტომ ვისწავლე ფრანგული ენა. ახალგაზრდობაშიც კლასიკური და თანამედროვე ფრანგული მწერლობით ვიყავი გაჯერებული.

— როდის დაიწყო ფრანგი მწერლების ორიგინალში კითხვა?

— ფრანგული ენის სწავლის დაწყებიდან ექვს თვეში. სწორედ მაშინ ლიმაში „საფრანგეთის ალიანსის“ ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე „პლუადის“ მწერლების საოცარი კოლექცია. ამ სფეროფანა გვერდების თითები და გონებით ფერებ-ფერებში ნავიკითხე მთელი ბლზაკი, მარტინ დიუგარის „ტიბოს ოჯახი“, ზოლა, მონტენი, ბოდლერი, რემბო, ფლობერი სტენდალი, პრუსტი და ბევრი სხვა. ლიმაში, სან-მარტინის მოედანზე მდებარე ერთი პატარა წიგნების მაღაზიის მესამე კალბატონი ორტიბო დე ზეგლოსი მინახავდა ხოლმე „პლუადის“ ახალ ტომებს და, რადგანაც წიგნები ძვირი ღირდა, ნაწილ-ნაწილ მახდევინებდა ფულს. თავადაც ისეთი დამუხტული იყო ლიტერატურით, რომ, როდესაც ჩემი პირველი რომანი ვაჩუქე, მაშინვე მოაყოლა: „ვიმედოვნებ, ფრანგულად მაღე თარგმნება. ერთი სული მაქვს, ფრანგულად როდის ნავიკითხავ.“ ამ დროიდან მოყოლებული, მთელი ჩემი მწერლური საქმიანობის განმავლობაში, რომელიც არცთუ უმნიშვნელოა, სანუკვარ ოცნებად მქონდა ქცეული იდეა, რომ ერთ დღესაც რაღაც გაუგებრობით ან

სასწაულით შევალწევი იმ მეტრთა შორის, რომლებმაც დამსახურებულად დაიმკვიდრეს თავი „პლუადამ“. დღეს კი, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე პედნიერი დღე ჩემს მწერლურ ცხოვრებაში იყო რვა წლის წინანდელი ერთი დღე ბარსელონაში, როცა ჩემმა მეგობარმა და ლიტერატურულმა აგენტმა კარმენ ბალსელმა ანტუან გალიმარის წერილი გადმომცა. „დადგა დრო, ვარგას ლიოსამ „პლუადის“ კარი შეაღო“ ვერა იმ წერილში. მერწმუნეთ, ნობელის პრემიის მიღებამაც კი ვერ დაჩრდილა ეს დღე. იმის გაგებაზე დიდი სიხარული, რომ ჩემი დაწერილი წიგნები გვერდს დაუშვებდნენ ავტორებს, რომელთა წიგნებზეც ვიზრდებოდი, არ არსებობს. ჩემს მწერლად ჩამოყალიბებაში ხომ სწორედ ჟაკ შიფრინის მიერ მსოფლიო მკითხველთა გულის გასახარად 1931 წელს შექმნილმა „პლუადის ბიბლიოთეკამ“ ითამაშა უდიდესი როლი.

— თქვენი ყველა რჩეული ფორმალურად გამომგონებლურია, რთული იდეებითა და ბატალური სცენებით, მაგრამ მაინც ყველასთვის გასაგები. თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია ეს?

— ვფიქრობ, ლიტერატურას ფართო მასების დაინტერესება უნდა შეეძლოს. თანაც ისე, რომ უარი არ თქვას ახალი ლინგვისტურ-ტექნიკური შესაძლებლობებისა და კვლევების გამოყენებაზე. არ მიმაჩნია, რომ ლიტერატურა ერთი რომელიმე პრივილეგირებული ჯგუფის პრეროგატივაა, ის თანაბრად უნდა მოიცავდეს ზოგადად მკითხველს. განაპრუსტის ცნობილმა რომანმა „დაკარგული დროის ძიებაში“ ან ჯოისის „ულისემ“ ნელ-ნელა და დამაჯერებლად არ დაიპყრო მთელი საზოგადოება?! მართალია, ჩვენ განსაკუთრებულად რთულ დროში გვიწევს ცხოვრება — როცა ტელევიზია აქტიურად ცდილობს ნიგნის შევიწროებას, მაგრამ სწორედ მწერლებს გვევალება ვებრძოლოთ ყველაფერს იმას, რაც ნიგნს დასამარებას უპირებს. ამიტომაც აუცილებელი, მწერალმა ისე შეაღწიოს რიგით მკითხველის გონებაში, რომ არც თანამედროვე საშუალებებზე ათქმევინოს უარი. სწორედ ამას ახერხებდნენ დიდი მწერლები — ჰომეროსიდან დაწყებული, ფოლკენერით დამთავრებული. და, თუ ლიტერატურას სიკვდილი უნერია, ეს მწერლის ხელით არ უნდა მოხდეს.

— მხატვრული ლიტერატურის ყველა ყანრს მოერგეთ — სატირას („პანტალონი და ვიზიტორები“), ისტორიულ რო-

მანს („სამყაროს დასასრულის ომი“), პოლიტიურ რომანს („ვინ მოკლა პალომინო მოლერო?“)... საიდან ეს ყოვლისმომცველი ნიჭი?

— ეს ჩვეულებრივი ამბების მოყოლაა და არა მათი რომელიმე ჟანრში მოქცევა. სიუჟეტებიც იმ გამოცდილებებიდან იზადებიან, რომელნიც ჩემში ინტერესისა და ბუნდოვანების გამო ისტორიულ ემბრიონებად იბუდებენ და მაფიქრებენ. ეს ამბები თავისთავად მოითხოვენ ხან ხანგრძლივ კვლევა-ძიებასა და სიტყვაზე ტექსტობრივ ქსოვილს, ხან კი მსუბუქ იუმორისტულ-კომედიურ ენას. ზოგჯერ ინტრიგას თავისით მიყვარს. პოლიტიური მეტოდეების აღწერამდე, მათ გასახსენლად ან პირიქით, მათ დასაძაბად... ჩემთვის კი ეს ჩვეულებრივი სიუჟეტური ქარგაა, რომელიც თავისთავად ქმნის ლიტერატურულ ჟანრს. თუმცა, მე ყოველთვის ვაჯერები ბუნდოვანებას ბუნდოვანებისთვის, რაც ზოგიერთ მწერალს, ვფიქრობ, შეცდომით, ტექსტის სიღრმის მაჩვენებელი ჰგონია.

— პირიქით, თქვენ ხშირად ხმარობთ ტერმინს „ტექსტით სიამოვნება“, რომელიც როლანდ ბარტთან გაახლოებით... როგორდათ კიდევ მის სემინარებზე დასწრება...

— ვფიქრობ, ეს ტერმინი ძალიან ზუსტად გამოხატავს ჩემს ლიტერატურულ თვალსაზრისს სიტყვის ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობებზე. მონტენის ესეების თუ „მთვრალი ხომალდი“ ნაკითხვა ისევე გვამდიდრებს, როგორც დიდი მეგობრობა და სიყვარული, რომელიც ჩვენში გაუცნობიერებლად ბადებს ცხოვრების სტიმულს, იმედებითა და ილუზიებით გვაგებს ნარსულთან და მომავალთან მიმართებაში. სწორედ ეს აფართოებს ჩვენს ცხოვრებულ თვალსაზრისს და საოცარ შთაბეჭდილებათა გავლენით რწმუნდები, რომ ცხოვრება ნვალებად ღირს. დიას, 1970-იანი წლების დასაწყისში თავისუფალი მსმენელის სტატუსით სიამოვნებით ვესწრებოდი სორბონაში როლანდ ბარტის მესამე ციკლის კურსებს. მისი ერთ-ერთი სემინარი მიქმდებდა თანამედროვე ენის საკითხებს სათაურით „მოდის ენა“ და ძალიანაც საინტერესო გამოდგა იმ თვალსაზრისით, რომ ბარტი, რომელიც ხშირად წერდა „ვოგისთვის“, „ელისთვის“, „მარი კლერისთვის“... ისეთი სინატიფით, მოქნი-

ლობითა და გრაციოზულობით ექცეოდა სიტყვებს, როგორც არავინ. მისუნას ახასიათებდა საოცარი, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი ენობრივი თავქარიანობა და ლიტერატურული ნიჭი, რომელიც ყოველთვის გარწმუნებდათ არტურ კოსტლერის სიტყვებში: „ინტელექტუალი გახლავთ ის, ვინც ფიქრობს, აჩვენოს და შეუძლია, აჩვენოს კიდევ ყველაფერი, რისიც თავად სჯერა“. შეიძლება ისე ვერ ვამბობ სათქმელს, მაგრამ თავად როლანდ ბარტი ყველაზე მეტად ამართლებდა კოსტლერის ამ სიტყვებს.

— მეორე თქვენი ფავორიტი მწერალი ანდრე მალროა...

— მალრო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მწერალია და ის მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებების გამო ვერ გახდა ძალიან პოპულარული. ჩემის მხრივ, უნდა გითხრათ, რომ მისი „ადამიანური არსებობა“ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი რომანია და მისი ენის ელემენტურობა და გამჭვირვალობა, რომლითაც ის ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე და ლიტერატურაზე გველაპარაკება, სიცოცხლეშივე აყენებს მას კლასიკოსთა შორის. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო მისი პოლიტიკური დისკურსები, რომლებიც ლიტერატურის ძვირფას სამკაულად შეიძლება ჩათვალოს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ორი სიტყვა: ერთი, ჟან მულენის ფერფლის პანთეონში გადატანისა და დაკრძალვის ცერემონიაზე და მეორე, ლუვრის ეზოში ელ კობრუზის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოთქმული. რომ აღარაფერი ვთქვათ საარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმულ სიტყვასა და მის ცნობილ შეუპოვარ მტკიცებულებაზე: „საოცარი დრო იყო — იტყვიან ჩვენზე მომავლის ისტორიკოსები — მემარცხენეში მარცხენა არ იგულისხმებოდა, მემარჯვენეში — მარჯვენა და ცენტრში კი შუა“.

— პოლიტიკური შეთქმულების მხვერპლი აღმოჩნდით: საოცარია, მაგრამ თქვენ ლიბერალიზმის დაცვაზე გდებენ ბრალს, მაშინ როცა გაბრიელ გარსია მარკესს არავინ ედავება კასტროსთან თანამშრომლობას. ამას რას მიაწერთ?

— დიდი ხანია, მთელ დასავლეთში მემარცხენეობა (იქნებ აჯობებს დავაზუსტო — უკიდურესი მემარცხენეობა, ულ-



EL PAÍS EL PERIÓDICO GLOBAL EN ESPAÑOL. ESCRITOR HISPANOPERUANO CONQUISTA EL GRAN PREMIO DE LAS LETRAS. Nobel Vargas Llosa. Academia Sueca concede la mayor recompensa literaria al compromiso moral e intelectual del autor: "Escribir es mi manera de vivir", dice en Nueva York.





ტრამემარცხენობა, ექსტრამემარცხენობა) ბატონობს კულტურულ ცხოვრებაზე. არტისტთა და მწერალთა უმრავლესობა კორუფციულ ქსელში ებმება და მარგინალიზაციის შიშით გუნდრუკს უკმევს მემარცხენებს. სამწუხაროდ, ჩვენს დროში ეს ფენომენი ერთნაირად მძლავრობს არა მარტო მესამე, არამედ ეგრეთწოდებულ, კარგად განვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყნებშიც.

— **ესპანელ მკითხველს შეუძლია, თქვენს ნაწერებს ადევნოს თვალი „El País“-ს ფურცლებზე, სადაც ესპანურ არჩევნებს აშუქებთ, წერთ ჩავსისზმის (ჰუმო ჩავსის) დასასრულზე... ამჯერადაც იმავე სულიერ გავლენებს ხომ არა აქვს ადგილი, როგორც ეს სარტრისა და კამიუს შემთხვევაში ხდებოდა?**

— მართალია, ჩემი მოწოდება ლიტერატურა და არაფერზე გავცვლი ამქვეყნად, მაგრამ არ ვთვლი, რომ მწერალი კაბინეტში, საკუთარ წარმოსახვებთან ჩაკეტილი უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ჩემთვის ჟურნალისტიკა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდან მოყოლებული, ცოცხალ ისტორიულ და აქტუალურ პროცესებთან ასოცირდება. მთელი ჩემი შემოქმედება სწორედ ამ ისტორიული პროცესებითაა გაჯერებული. წარმოსახვა ყოველთვის უნდა საზრდოობდეს ცხოვრებით. ჩემი ფანტაზია არ გახლავთ წმინდა ინტელექტუალური სპეკულაცია, ჩემს გმირებსა და გარემოებებს უშუალოდ ვიცნობდი.

— **წერილებში ფილიგრანულობით იცავთ ლიბერალიზმის ყველა ნიუანსს, ადამიანურ ასპექტშიც კი. თქვენი რომანის რომელი გმირი ახმოვანებს თქვენს ლიბერალიზმს ყველაზე მეტად? ფელიჩიტო იანაკე ხომ არა, მთავარი ფიგურა „მოკრძალებული გმირიდან“?**

— კარგი მიგნებაა ის, რომ ფელიჩიტო იანაკე, „მოკრძალებული გმირის“ თავმდაბალი მეპატრონე, ლიბერალად წარმოგედგინათ. თუმცა, მან თავად ნამდვილად არაფერი იცის ამის თაობაზე. მართალია, ძალისხმევას არ აკლებს თავის წილსაკეთებელს, მაგრამ მაინც სახელმწიფოს გაუმართაობას აბრალებს ყველაფერს, რადგან, გამხმნეებისა და წახალისების ნაცვლად, ხელისუფალნი ყოველ ნაბიჯზე ფეხს უდებენ და არც მის ექსპლუატაციას ერიდებიან. მიუხედავად ამისა, ის კანონმორჩილი ადამიანია და პატივს სცემს სახელმწიფოს. იცის, რომ ბაზარი საზოგადოებრივი მოწყობის ყველაზე უკეთესი გზაა სამუშაოს მიღებისა და სიმდიდრის დაგროვების თვალსაზრისით. სხვა დოქტრინათა საპირისპიროდ, განსაკუთრებით კი სხვა იდეოლოგიებისაგან განსხვავებით, ლიბერალიზმმა კაცობრიობის გამოცდილების გათვალისწინებით იცის, რომ რეალობა ან სიმართლე უნდა ემსახურებოდეს ან იდეების ტყუილ პროპაგანდას.

— **ამ ალიარების შემდეგ როგორ ხედავთ თქვენს მომავალს?**

— ყოველთვის ვამბობდი, და ახლაც, 80 წელს მიღწეული, სენ ჟონ პერსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი ასაკის“ (იგულისხმება, არა მარტო წლები) ფონზეც იმავეს ვიტყვი, მწერალმა სიტყვის სათქმელად „ბოლომდე“ უნდა იცოცხლოს. არაფერია ჩემთვის იმაზე სამწუხარო, როცა მწერალი ნაადრევად უკვდება ცხოვრებას, სწორედ მაშინ, როცა ის მხოლოდ იწყებს იმის ახლებურად დანახვას და კეთებას, რასაც უნინ ვერ ბედავდა; როცა ცდილობს ინოვაციურ სტრუქტურათა და სიმბოლოთა დანერგვას. მართალია, ჩვენი სიცოცხლე ჩვენ კი არა, ჩვენს ფიზიკურ და გონებრივ ავტართა გადასაწყვეტია, მაგრამ, თუკი მწერალს ოდნავ მაინც უჭრის გონება, ყველაფერს ვაკეთებს იმისათვის, რომ დროზე ადრე ვა იქცეს ქანდაკებად.

— **ასეთი პატიოსნებით ცოცხლად ბალზამირებისა არ გეშინიათ?**

— დიდი იმედი მაქვს, „პლეადაში“ შესვლით ჩემი შემოქმედებას „მუმიფიკაცია“ არ ელის. მართალია, ის მე აღარ მეკუთვნის, მაგრამ როგორც ყველა მწერალი, მეც ვიმედოვნებ, რომ ჩემი ნაწერები მომავალ თაობაშიც იპოვის მკითხველს. და, თუ ეს ახდება, მკითხველი აღმოაჩენს, რომ ჩვენი დროება ერთდროულად მშვენიერიც იყო და სამწინელიც; უგონო უტოპიათა ეპოქა, რომლის სახელითაც მილიონობით ადამიანი იტანჯებოდა და იღუპებოდა; მეც-

ნიერებისა და ტექნიკის კოლოსალურ მიღწევათა ეპოქა, რომელიც წარმატებით ებრძოდა დაავადებებსა და უცოდინრობას, პარალელურად კი ქმნიდა სასიკვდილო იარაღს, რომელსაც შეეძლო, გამოქვაბულში დაებრუნებინა ადამიანი და იმავ დროს გაეხსნა მსოფლიო საზღვრები, გაეერთიანებინა თანამედროვე კულტურული სამყარო ან ის ბნელი დემონური ძალები, რომელთა არსებობა აღარავის სჯეროდა, ტერორიზმისა და რასიზმის სახით მოვლინებოდა ქვეყნიერებას, ისევე სისხლითა და გვამებით მოეფინა სამყარო.

— **როგორც ლიბერალმა და განმანათლებელმა ლირსულმა გამგრძელებელმა ალბათ თქვენებურად შეაფასეთ 13 ნოემბრის ტერაქტი?**

— ტერორიზმი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ტოტალური შეიარაღების ეპოქაში ტერორიზმის მასშტაბები და, შესაბამისად, მხვერვლიც დიდია, როგორც ეს ამჯერად საფრანგეთში მოხდა. ამ მოვლენას მხოლოდ ერთი საიმედო მხარე აქვს —




ის, რომ ისლამისტი ტერორისტები ვერასოდეს მოიგებენ ამ ომს, რადგან ისინი იმ ფანატიკოსთა მცირერიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთი შუასაუკუნებრივი შეხედულებებით ვერასოდეს დააღწევენ თავს ანაქრონიზმსა და მარგინალიზაციას. ამ მოვლენას მეორე, ცუდი მხარეც აქვს — ის, რომ მათი სრულიად ამოძირკვა შეუძლებელია და, შესაბამისად, მსოფლიო ცივილიზაციისათვისაც ყოველთვის აჩრდილივით თანმდევი იქნება ფანატიზმით გამოწვეული სამშრობეები.

— **და, რა დაემართა თქვენი ოცნების პარიზს — რომანტიულს, ბოჰემურსა და თავისუფლებისმოყვარე ქალაქს, სადაც**

შევირდობის წლები გაატარეთ?

— რა თქმა უნდა, დღევანდელი პარიზი ვეღარ იქნება ისეთი, როგორც 1958 წელს. მაშინ ამ ქალაქს შერჩენილი ჰქონდა მითიური ადგილის ყველა სიკეთე და მსოფლიოს თვალში იგი ასოცირდებოდა ფილოსოფიური აზრის სიღრმეებთან, ლიტერატურულ და არტისტულ ბოჰემასთან. ასევე, თავისუფლებასა და კრიტიკულ გონთან. ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ სარტრი, კამიუ და მალრო. საფრანგეთი ინარჩუნებდა ავანგარდისტულ პოზიციებსაც ბეკეტისა და იონესკოს აბსურდის თეატრითა და სინემატოგრაფის ახალი ტალღის მეშვეობით. ეს კოსმოპოლიტური გარემო მთელი მსოფლიოს შემოქმედთა მიზიდულობის ცენტრად იყო ქცეული.

მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა მომავლის ეჭვი, რომელიც ახლა აჩრდილივით თან სდევს ევროპულ ქვეყნებს, განსაკუთრებით კი საფრანგეთს. მიუხედავად იმისა, რომ მისი კულტურული მემკვიდრეობა ძალიან მნიშვნელოვანია თანამედ-



როვე ისტორიისათვისაც, დღევანდელ საფრანგეთში არ არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების ბერკეტები, რაც ძალიან აზარალებს, ფრთხილ კვებს ლიტერატურასა და ხელოვნებას, უქვეითებს მას გამბედაობასა და ამბიციას. ეს ფენომენი დღეს არც ისეთ ევროპულ ქვეყნებს ინდობს ამ მხრივ, როგორცაა დიდი ბრიტანეთი და იტალია.

— **რა გასწავლათ საფრანგეთმა?**

— საფრანგეთმა მასწავლა, რომ უნივერსალიზმი, შუასაუკუნეებისმემდგომი საფრანგეთის განმასხვავებელი ნიშანი სულაც არ იყო უკარება და შეუთავსებელი რამ. პირიქით, ის უფრო და უფრო

ძლიერდებოდა, თვალს უსწორებდა რეალობას, ხელს უწყობდა მწერლების სოციალურ და ისტორიულ გარემოში დამკვიდრებას, ენისა და ტრადიციების განუხრელ დაცვას. რადგან საფრანგეთის დიდი ლიტერატურის კონსტანტები, იქნებოდა ეს პოეზია, რომანი თუ ესე, თავისი თვალსაწიერით სცდებოდა ეროვნულ საზღვრებს, ეფერებოდა მთელ სამყაროს, ყველა გეოგრაფიულ მდებარე და მამრს, ყველა რწმენასა და წეს-ჩვეულებას. თუმცა, ეს უნივერსალიზმი სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ფრანგი მწერლები არადა ადებდნენ ტერორის პრობლემას, ფრანგული საზოგადოების გამოცდილებასა და მანკიერ მხარეებს. ისე არავის უსმენია მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთის ურბანული სხეულისათვის, როგორც ბალზაკს, სტენდალს, ჰიუგოს, ზოლას თუ მოპასანს. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს რომანისტი საფრანგეთის სინამდვილის აღწერისას არასდროს სცდებოდა ეროვნულ პრობლემებზე საზრუნავ



ნიშნულს, განსხვავებული კულტურის მკითხველი მაინც ხდებოდა და გრძნობდა — ეს მწერლები მათ ქვეყნებსაც გულისხმობდნენ.

მე ვფიქრობ, სწორედ ასეთი მიდგომაა ფრანგული ლიტერატურისა და, ზოგადად, მისი კულტურის მთავარი მახასიათებელი და, სწორედ ეს განაპირობებს მის მსოფლიო აღიარებასაც. ამიტომაც, რომ პერუელი მკითხველი თუ არგენტინელი, ახალ-ზელანდიელი თუ კონგოელი, ის ისეთივე მღელვარებით კითხულობს და შეიგრძნობს ბოდლერსა და ვალერის, როგორც საკუთარ ინტიმსა და რეალობას.



დროს ხომ თავისი საზოგადოებრივი მასშტაბები მოაქვს, სიდიდეები, რომლითაც ადამიანი თავის თავს და გარემომცველ სამყაროს გამოხატავს, მაგალითად, რასაც და როგორც რენესანსის დროს აზროვნებდა და ფიქრობდა, იმ სიდიდის (სიმაღლის) სისტემაში დღეს ხომ ვეღარ მოვექცევით. ეს არ ნიშნავს, რომ მაშინ უფრო ჭკვიანები ვიყავით ან ახლა ვართ ძალიან ახლები. ეს მაინც მარადისობაში ტრიალს ჰგავს, როცა — თუკი ფიქრს და აზრს ნაბიჯის საზომით გაზომავ — აღმოჩნდება, რომ ხან დიდი და ფართო ნაბიჯებით მიიბიჯებ, ხან კი ვიწროთი და კისრისმომტებით. მთავარი აქ მაინც სვლაა, ტრიალია, და ამ გაუთავებელ, უსასრულო ბრუნვაში ჩვენი წილი სინათლის გამომუშავება.

ხანდახან კი დრო აირევა ხოლმე და ზოგიერთი იმ ფიქრ-ნაბიჯებით კი აღარ აზროვნებს, როგორცაა მისი თანამედროვეები, არამედ სხვა — ან ძველი და ან ახალი (როგორც პირობითი ცნებებია) ნაბიჯებით — სიდიდეებით.

ეს, პირველ ყოვლისა, მწერლებთან ხდება. ყველაზე მეტად ეს ნაბიჯები მათ „ერევთ“.

და, რაღაც განსხვავებულ, ყოველ შემთხვევაში, არათანამედროვე საზოგადოებრივ წყობასა და სისტემაში მოქცეულები, უპირველეს ყოვლისა — მარადისობის ხმას გამოსცემენ, მარადისობის ველში მუშაკობენ.

გურამ გეგეშიძის ახალი რომანი „ნათლისქრობა“ ასეთი წიგნია — „არათანამედროვე“, ანუ მუდმივი, ისეთი, როგორც ოდესღაც უკვე დაინერა და როგორცაა ოდესმე კიდევ მიუზღუდებელი. მიუზღუდებელი, როგორც საზოგადოებრივი ტრადიციის, ერთგვარ სისტემას, რაც აზრს და ფიქრს (შესაბამისად, შეგრძნებასა და ქცევას) სხვა მასშტაბებს სძენს, სხვა სიდიდეებით ზომავს.

კიდევ ერთხელ ვიტყვი — ეს არ ნიშნავს მის უპირობო უპირატესობას. ეს — მოცემულობა, მყარი ალტერნატივა, რაც თანამედროვე მხატვრულ-საზოგადოებრივ სივრცის პარალელურად არსებობს და ყოველთვის იარსებებს.

ბოლოს და ბოლოს, ეს გურამ გეგეშიძის ხელნერაა, მისი სივრცეა, რომელსაც კარგად იცნობს „ძველი მკითხველი“. აი, ის მკითხველი, კარგი ბუკინისტისთვის იშვიათობა რომ გახდება და, როცა იყო და როცა ცხოვრობდა, რაღაც იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე მხოლოდ მკითხველს ევალუა.

ჰოდა, იცოდა ამ მკითხველმა, რომ გურამ გეგეშიძე ასეთი მწერალია — მასშტაბების, ფართო პლანის და შორი ხედვის, „ტრადიციული“ (ესეც როგორც პირობითი განსაზღვრებაა, რადგან არავინ იცის, ვინ და როდის ჩამოაყალიბა ეს ტრადიცია, ან როგორ უნდა გავიგოთ ის, ვთქვათ, არატრადიციული ლიტერატურის გვერდით). ეს ტრადიცია კი, უპირველესად, ეროვნული თემების, ზოგადად, ეროვნული იდეის ერთგულებაში გამოიხატება ალბათ. მისი მთავარი სამოქმედო არეალი სამშობლოა (ეს „საქართველოზე“ მეტსაც გულისხმობს); მისი მოქმედი გმირი კი — მოქალაქე (და არც ეს ნიშნავს მხოლოდ სახელმწიფოებრივ სტატუსს ან პოზიციას).

„ნათლისქრობა“ სამოქალაქო რომანია, რაღაც რომანი — მთელი საგა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს თავგადასავლისა. როგორც წიგნის ანოტაციაში ნუგზარ წერეთელი წერს: „ხოცვა ნადირთა მცირეთა“, ანუ წერილობითი თემებით გატაცება მას (გურამ გეგეშიძეს) არ ახასიათებს, ამ მხრივ ეს წიგნი გამოირჩევა“.

და, სწორედ ამ დიდი ღლავივით თემებს შეჭიდებულმა, 700-გვერდიანი წიგნი მიუძღვნა იმას, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც მწერლისთვის და როგორც მოქალაქისთვის — სამშობლოს.

აი, ასე. პათეტიკის გარეშე. თუმცა, შეუძლებელია, პათეტიკა გააქრო იმ მხატვრულ-საზოგადოებრივ სივრცეში, რომელშიც გურამ გეგეშიძე ცხოვრობს და მუშაობს. პირიქით — აქ პათეტიკა მთავარი იარაღია გმირების სრულყოფილად დასახატად, მოვლენების ბუნებრივად შესაქმნელად და განსავითარებლად. ხომ გეუბნებით, ეს „ჩვენი“ დრო არაა, ეს სხვა დროა, გურამ გეგეშიძის დრო, რომელიც „ნათლისქრობით“ გვარნმუნებს, რომ ოდესღაც ის ჩვენს ქვეყანაშიც იყო.

თხრობა 1956 წლის 9 მარტის ამბებით

ნინო სადღობელაშვილი სამოქალაქო რომანიდან პიროვნულ არჩევანამდე


ინება და 90-იანი წლების სამოქალაქო ომით სრულდება. მთავარი გმირი — გიორგი უნდილაძე (როგორც ტრადიციულია ეს გვარ-სახელი: გიორგი, თითქოს ყველაზე იდენტური, რაც ქართველ კაცს შეიძლება ერქვას, რაც მას, ზოგადად, წარადგენს სამყაროს წინაშე, და გვარი უნდილაძე — სულხან-საბას განმარტებით, „უნდილი“ „დაჟამბულს“ ნიშნავს, მსმენია მისი სხვაგვარი ახსნაც — უმნიშვარი, ჩამოუყალიბებელი. ეს გვარი ზუსტად გამოხატავს პერსონაჟის სულის და საქმის მთელ ქრონოლოგიას, ის, ათასი რამის მნახველი და გადამტანი, მაინც „დაჟამბულია“, მაინც უმნიშვარი რჩება ყველაზე დიდი და საზედისწერო გამოწვევის წინაშე, ცხოვრებისა და თავისუფლების წინაშე. ის ხომ საქართველოა, სახელად გიორგი — ასეთად ხედავს მას მწერალი) — რომანის დასაწყისში ახალგაზრდა კაცია, ოცნებებით, იდეალებით სავსე, ძლიერი და მიზანსწრაფული, ბოლოს კი...

მაგრამ, ვიდრე ბოლოს ამბავს ვიტყვით, ჯერ მისი თავგადასავალი უნდა გაიხსენოთ. უფრო სწორად, ერთი ეპიზოდი, რაც საზედისწერო იგავად მიჰყვება ნიგნსაც და პერსონაჟების ცხოვრებასაც: 1956 წლის მარტში, სტალინის კულტის შეურაცხყოფის გამო აბუნტებულნი და დახვრეტლი (სინამდვილეში, ეს პირველი ანტისაბჭოთა გამოსვლა იყო და სტალინი აქ არაფერ შუაშია — გვარნმუნებენ პერსონაჟები) მიტინგების დროს, გიორგი უნდილაძე რამდენიმე მეგობართან ერთად ერთი ბერის ანაბარა დარჩენილი მომღვიმის მონასტერში ფიცს დადებს, რომ, რაღაც არ უნდა დაუფუძვს, დაიწყებს და ბოლომდე გაიყვანს ბრძოლას საქართველოს გათავისუფლებისათვის...

1924 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმმა სწორედ შიომღვიმის მონასტერში დადო ასეთივე ალტქმა... საბჭოთა ეპოქის ახალგაზრდობა სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ ღვათებრივ, საიდუმლო სიტყვებს საქართველოზე და თავისუფლებაზე... ამ ფიცის შემდეგ კი, რამდენიმე დღეში პირველივე ყველაზე ხალას, მხიარულ და გულანთებულ ერთ-ერთ „შეფიცულ“ მეგობარს კლავენ თბილისში, მიტინგის დროს...

და, ინება სიკვდილის კონცერტი. იშვიათად მაგონდება წიგნი, სადმე იმდენი სიკვდილი იყოს, რამდენიც „ნათლისქრობაში“. იტყვიან კიდევ, ბოლოს და ბოლოს, 700-გვერდიანი რომანი სიკვდილიც 7-ჯერ

მეტი იქნებაო, მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე. აქ ყველა სიკვდილი სხვანაირადაა დაქცენებული, ხაზგასმული, თითქოს იმ ბოლო აკორდისთვის აღებული მძიმე და რთული ნოტებია, რამაც წიგნის საფინა-



„ნათლისქრობაში“ ყველაფერი ბევრია დიდი დოზითაა, მათ შორის — ქალები და სექსი. ოღონდ, სანთლით უნდა ეძებოთ ქალი-იდეალი (ან რატომ უნდა ეძებოთ, ეს ხომ ცხოვრების წიგნია!); ქალი — ოცნების მწვერვალი, სრულქმნილი თავისი თავდაპირველი აზრით — სიცოცხლის მშობიარე, ღვათებრივი, დიდებული... ასეთი ქალები, უფრო სწორედ, ასეთი საზრისი მხოლოდ სანყის ეტაპზე, ან ძალიან ახალგაზრდობაში, ან რაიმე ტრაგიკულის შემდეგ გამოკრთება ხოლმე „ნათლისქრობის“ ქალებში, რომლებსაც ერთმანეთზე უცნაური, ძველი და ლამაზი სახელები ჰქვიათ — უტანდარი, მარეხი, მირანდა... ისინიც იმ უღვთო და ჭაობიანი ნყობის — საბჭოეთის ღვიძლი შვილები არიან, ანუ ცოდვიანები, მანკიერები, ზოგი მეტად, ზოგიც ნაკლებად, საბოლოოდ კი, — განსაზღვრული, რომელსაც ხშირად სწორედ ქალები უდებენ სათავეს, ახლა მათგანაც შორსაა, ხოლო სიყვარული, საიდანაც იბადება ქალიც და კაციც — მორიგი ქი-მერაა, ზუსტად ეპოქის მსგავსი, ისიც, ღმერთით, სულ არის — ერთი გულის-განვდენაზე, თუმცა ამ გულს მუდმივად რაღაც აკლდება, რომ მისწვდეს და დაიუნჯოს.

და ამ გამაყრუებელ ორომტრიალში, სულაც აღარ გიკვირს, რომ ერთადერთი ბავშვი იბადება. 700-გვერდიანი რომანში ერთადერთი ბავშვი ჩნდება, როგორც იმედი, მომავლის შუქი. ჯერ ისიც უნდოდა, მაგრამ მაინც — ახალი სიცოცხლე (ისაც „უკანონო“, არატრადიციული გზით შობილი) — გიორგის ძმიშვილი ნათელა. ბავშვის სახელში ნათელია — ესე იგი, შეიძლება ჩაეჭიდო. შემთხვევითი სულაც არაა, რომ რომანის დასასრულს, გიორგი სწორედ ნათელაზე ფიქრობს. ერთადერთი იმედი ამ ბავშვშია ანთია.

ნათელაზე, ანუ ნათელზე.

და, მთავარ სათქმელსაც მივადექით: რომანი, ყველა კანონიკური წიგნისა და ტრადიციის მსგავსად, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრების და სამყაროს კანონის მსგავსად, ორადორამება — ნათელზე და ბნელზე. ამ ორის ბრძოლაზე. აი ასე, ორი სიტყვით რომ ვთქვათ. და ამ ბრძოლის უცნაური, ორზოვანი ფინალი კი ვისაც როგორ უნდა, ისე წაიკითხოთ. ვისაც როგორი რწმენა და ხედვა ექნება. ცხოვრებაც ხომ ეგაა — მუდმივი არჩევანი და ხელის(გულის) განვდენა სასურველისკენ, განზრახულისკენ.


მე კი, სწორედ ამ ორზოვანებამ შემძრა. ისეთი მწერლისგან, როგორც გურამ გეგეშიძეა, და ისეთი „ტრადიციული“ მხატვრულ-საზოგადოებრივი სისტემისგან, როგორცაა ეს თავის შემოქმედებით სამყაროს ქმნის, სწორედ ეს ორზოვანება ყველაზე სულისშემძვრელი, საშიშიც და მოულოდნელიც.

თუმცა, ამდენგამოცდილებიან, ამდენ-ნანახ და განცდილ მწერალს (და მოქალაქეს) სწორედ ეს დაეჯერება.

ჩიხი, საიდან გამოსვლაც მხოლოდ პირადი არჩევანის ნებაა. მწერალი ამას ვერ გიკარნახებს. ვერც ფუჭად განუგებებს.

მწერალი ვერც აგინთებს, ან ჩაგიქრობს შუქს.

ეს შენ უნდა შეძლო. და უნდა იგრძნო — იმ ერთი ხელის განვდენამდე სწორედ მან გიბიძგა.



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004